ნინო ჭელიძე

ჩემი
ქვეცნობიერიდან

ლიტერატურული ჩანახატები



წინასიტყვაობა

პირველად ადამიანი რომ შევიცანი ჯერ დედის გულს ვეხვეოდი პატარა, დაუკოჟრავი ხელებით... რომ დავიბადე და შევიგრძენი, ჩემმა ქვეცნობიერმა საკუთარ მეში მარადიულობად აქცია ადამიანის ფენომენი. რომ არ შემშინებოდა, თვალებზე ხელები ავიფარე და ისე გავუდექი ჰორიზონტს, მიღმა მიმავალ გზას...

ჩემი ლიტერატურული ჩანახატები უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მისი შინაარსი მუდამ სევდიანია, რისი მიზეზიც არაერთხელ უკითხავთ ჩემს მკითხველებს, თუმცა მე პასუხი არ მაქვს. ეს ალბათ უფრო ადამიანის მიმართ უდიდესი სიყვარულია, რომელსაც ჩემი გონება და ჩემი ქვეცნობიერი დაატარებს.

ჩემი ფრაზები თავად მოდიან, აწყობილი და გადმოსაცემად გამზადებული.
ვწერ ყველგან: გზაში, სამსახურში, რიგში...
ის რაც ყოველთვის მაქვს - ფურცელი და კალამი.
განსაკუთრებით რა მიყვარს ჩემს ჩანახატებში?
მრავალწერტილი.

რა მხატვრულ სახეებს ვქმნი? მე არ ვქმნი. თავად შემქნეს...
რადგან ჩემი მხატვრული სახეები ადამიანების გრძნობები და ემოციებია.

სად არსებობენ ? - ყველგან, სადაც სიცოცხლეა!

ჩემი თითოეული ჩანახატი თუ ნოველა ერთი მთლიანის ნაწილია, რომელსაც ჩემი ქვეცნობიერი ქმნის...

ამიტომ ნებისმიერ მათგანში ყველა იპოვის საკუთარ თავს...
ან საკუთარ ცხოვრებას, ან საკუთარ შეგრძნებებს იცნობს...
შენც, ისიც და სხვაც...

ISBN 978-9941-8-6273-1

ჩემს მერცხლის ბუდეში გეპაᲯ
ჩემი მერცხლების ნაშენ ბუდეში...
.....
თითო-თითოს...
ზოგს გამთენიისას,
ზოგს შებინდებისას,
ზოგს მო-დღე-ვებისას მოჰქონდათ ადამიანური ამბები.
.....
ზოგს ბუმბულად ქცეული სევდა,
ზოგს პურის ნამცეცების ძებნაში გა-ავებული შიმშილი...
ზოგი ქვად ქცეულ დარდს ვერ ერეოდა და ბუდეში მოფრენამდე
უვარდებოდა ძირს...

ტეხდა ტოტებს:

გაზაფხულის ხისას...
ზაფხულის ხისას...
შემოდგომის ხისას...
ზამთრის ხისას...
ეცემოდა ძირს...
ხის ძირში ელოდებოდნენ ადამიანები.
საკინძეგახსნილი დედები,
წელში მოხრილი მამები.
დაღლილი შვილები დედის ძებნაში გაზრდილი გულებით.
სადღაც იქვე ისმოდა წყლის ჩუხჩუხი...
ურცხვად რომ ერწყმოდა ადამიანური ცრემლის არა-ადამიანური
ხმა...
.....

ჩემს მერცხლის ბუდეში გეპატიჟები, ჩემს გულში.
შუასაყრიდან ამოვარდნას რომ ლამობს მუდამ
ჩიტად ქცეული სული რომ ჭიკჭიკებს...
ადამიანური გასაჭირის მოჭიკჭიკე სული...

✹ ✹ ✹

სუნთქვაშეკრული უსმენდა.
სადღაც ჩიტი გალობდა თითქოს.
სამყაროს ხმებში გამორჩეული იყო ეს გალობა...
ხან ჭიკჭიკს, ხან ჟღურტულს, ხან ლოცვას ჰგავდა.
სხვადასხვა ხასიათზე მყოფს განსხვავებულად ჩაგესმოდა
და გულის პასუხიც სხვა იყო.
დიდხანს ისმოდა საღამო ჟამს.
ხან წვიმას, ხან დარს მოასწავებდა თითქოს.
.....
ბოლოს მიხვდა.
ჩამავალი მზის სხივებზე ჩამომჯდარი ჩიტი,
იავნანას უმღეროდა გულს...
ჩიტი, რომელიც არასოდეს ჰგავდა სხვა ჩიტებს.
რადგან ის,
ქალის გონებაში გაზაფხულად ქცეული ჩიტი...
იავნანას უმღეროდა მწუხარე გულს.

✹ ✹ ✹

მზენატრული...
ვიცი რომ სუნთქავდა.
მაგრამ არ ვიცი რა ფერის იყოს მისი სუნთქვა...
ალიონშერეული ნარინჯისფერი თუ გაფითრებული
ტუჩებისფერი.

სუნთქვაშეკრული სუნთქავდა და გაძვალტყავებული ხელებით ცდილობდა მზეს მოსჭიდებოდა, მაგრამ არ შეეძლო, მზე შორს იყო თითქოს...
სინამდვილეში ხელები უკანკალებდა. მზეს ვერ იჭერდა...

მზე კი დადიოდა ხელიდან ხელში, სულიდან სულში, სხეულიდან სხეულში, მაგრამ მას შორდებოდა...
მზის მოყვარულ მზენატრულს...
სუნთქვას რომ ცდილობდა, ხან ნარინჯისფრად, ხან კი უფეროდ.
თვალდახუჭული, მზერადქცეული გრძნობით კვდებოდა მზენატრული.
წამწამებით ელამურებოდნენ თავდახრილი ლილიფარები, ათრთოლებულ პირ-სახეს!
უცებ, ძლიერად შეირყა დედამიწადწოდებული გული... და!
ჩიტად ქცეული სული ჭიკჭიკით გაფრინდა მზისკენ, მზენატრულისთვის ამბის მოსაყოლად...
წიოკით ბრუნავდა დედამიწა დაღონებული მზის ირგვლივ...
.....
რცხვენოდა მზეს... გვერდზე გაწეული სიცოცხლის გამო.
საკუთარი ჩრდილივით მუდამ თან სდევდა ლილიფარების მოყვარული მზენატრული...

✷ ✷ ✷

თვალხატულა ერქვა.
მაშინ, როდესაც დედამისმა შვილის შობისას...
მისი არსებობა დედამიწისთვალება მზეს შეავედრა და მაშინაც...
როდესაც საუკუნის ზღვარს გადავლებული ცისთვალა მზეს ეკედლებოდა ქვეცნობიერად.
.....

თვალხატულა მზეს არ ჰგავდა, უფრო დედამიწას.
მზესავით მწველი მხოლოდ ტკივილი ჰქონდა.
მისი დაღლილი ხელისგულები დედამიწას გაგონებდათ,
ბორცვებივით გასჩენოდა კოჟრები ყოველი თითის ბოლოს,
ხელისგულებზე გავლებულ ხაზებში რომ იწვეთებოდა
სისხლისფრად.
ფეხის ტერფებში, თითებსშორისი ბაყაყურას ყვავილებით
ამოვსებულიყო,
საკუთარ ნაჩხვლეტს რომ მალავდნენ უტიფრად ფეხის გულებში.
თვალხატულა ფრთხილად გადადიოდა ქვიდან ქვაზე...
ნატეხიდან ნატეხზე.
სოფლის შარაზე, ალაგ-ალაგ,
კაკლის ნამტვრევი მიმოებნიათ ონავარ ბავშვებს...
მაგრამ თვალხატულა, დაჩხვლეტილი ფეხისგულებით
ვერც ამჩნევდა,
ისე მიემართებოდა წინ.
უსასრულობისკენ, მარადიულობისკენ...
მარადიული უსასრულობისკენ.
ცისა და მიწის გზაგასაყარზე ხვდებოდა სევდა,
განსაკუთრებით რომ წუხდა მისი დასერილი ფეხისგულების გამო.
.....
თვალხატულას მზე ორნაირია...
დედამიწის და ცისთვალება.
დედამიწას ერთი საკუთარი მზე ჰყავს, ცასაც.
მხოლოდ თვალხატულას ჰყავდა ორივე.
.....
თვალხატულა ერქვა.
მაშინ როდესაც დედამისმა შვილის შობისას...
მისი არსებობა დედამიწისთვალება მზეს შეავედრა და მაშინაც...

როდესაც საუკუნის ზღვარს გადავლებული ცისთვალა მზეს ეკედლებოდა ქვეცნობიერად.

✹ ✹ ✹

ყაყაჩოებად გადაქცევას ლამობდნენ...
წელში გადაწყვეტილი სამყაროს სისხლის წვეთები .
.....
დედამიწის ძარღვებიდან გადმოწვეთებულ ტკივილს
ადამიანის გამხმარი, დაუძლურებული ხელები შემოხვევია...
მაგრამ გაუსხლტა ტკივილი...
დედამიწის ნახეთქებს გაჰყვა,
დამშრალ ნაკადულებს აუყვა აღმა,
კლდეს შემოუარა და გამოქვაბულში შესრიალდა...
თუმცა ვერც იქ გაძლო დიდხანს...
სიცივესა და ნესტს ვერ გაუძლო და სვლა განაგრძო...
თბილ ადგილს ეძებდა...
მზისკენ იკვალავდა გზას.
მზეს ტკივილი არ უყვარდა.
შორს, ცის სიღრმეში ემალებოდა...
ტკივილი მას ვერ სწვდებოდა,
ამიტომ ეძებდა დედამიწაზე მზეს...
დედამიწის მზეს,
მზისფერ ყვავილებს, მზისთავებიან ლილიფარებს.
ტკივილს კი ყველა უფრთხოდა...
მხოლოდ გულს ეცოდებოდა შავ მიწაზე უგზო-უკვლოდ
მოხეტიალე ტკივილი...
იქნებ დედის ტკივილიაო?! - ფიქრობდა გული...
დუმდა ტკივილი, მხოლოდ ჭექაქუხილის ხმა ისმოდა
ფერფლისფერ დედამიწაზე...

მას შემდეგ დადიან ერთად, ერთმანეთს შეწყობილი...
გული და ტკივილი, ტკივილი და გული...
.....
ყაყაჩოებად გადაქცევას ლამობდნენ...
წელში გადაწყვეტილი სამყაროს სისხლის წვეთები...

✷ ✷ ✷

მაინც რა უცნაურად მიყვარს,
ეს ეკლიანი ბაყაყურები.
მთის სიდიადეს მიკედლებული,
ზეაღმართული მადლიერებით რომ აივლ-ჩაივლიან
ზაფხულის ველ-მინდვრებს...
მზეს მიუშვერენ სიცოცხლედასრულებულ ულამაზეს ყვავილებს...
იასამნისა და ვარდის ფერებად შერეული თავდახრილი
ყვავილები
მდუმარედ დაჰყურებენ ქვის ღობეზე გადალეწილ საკუთარ
ეკლიან ღეროებს...
.....
შხაპუნა წვიმას ჩამოერეცხა სისხლით შეფერილი ქვები...
ალაგ-ალაგ ხვლიკების თავშესაფრად რომ ქცეულიყო...
ბაყაყურების წაწყვეტილი თავებით ამოვსებულიყო
ტყის ოღრო-ჩოღრო გზა...

✷ ✷ ✷

ღიღილოების ველს რომ გასცდები...
იქვე, ტყის პირას შეგხვდება,
დედის დარდი, მოკრძალებული.
ხავსიან ქვებს ამოფარებული.
ჩუმი, ძლიერი, მარტოსული.

უხმო ნაბიჯებით გამოგყვება უკან...
შენს გულისძგერას მიყვება ფეხდაფეხ.
დროდადრო წინ შემოგხვდება..
ოღრო-ჩოღრო გზას გადაფენილი, ან ხრამის პირას...
ციცაბო ბილიკზე.
.....
შებინდებისას ჩაიმუხლებს ...
დაკოჟრილ ხელებს გადაგატარებს...
ძილ-ღვიძილის ზღვარზე მყოფს...
დაჟინებით აცქერდება მილულულ ნაკვთებს...
ჯერ შეუცნობელი სამყაროს დარდს ეძებს,
დედის დარდს შვილის სახეზე.
გამთენიისას ჩასძინებია წამწამების თვლაში გართულს.
ხის საწოლთან...
.....
ღიღილოების ველს გასცდენია დედის დარდი...

✹ ✹ ✹

მაშინ გადაიღო წვიმამ, ცამ ცის სარტყელი რომ დაიდგა გვირგვინად...
ცის სიღრმეში ათასფერებად მოლივლივე ცისარტყელა ამაყად დაჰყურებდა მზის გაფერმკრთალებულ ბაგეებზე მიძინებულ ღიმილს...
გაღვიძების და თვალებში ჩახედვის რომ ეშინოდა...
ჩუმი შიში ეუფლებოდა მასზე გაფიქრებისას ...
ძილ-ღვიძილის ზღვარზე მყოფი მაინც გრძნობდა მის მოახლოებას...
ამიტომ ეშინოდა...
შორეული სევდა უახლოვდებოდა ადამიანებს...

თანდათან იპყრობდა გონებას, ღრმად აღწევდა ქვეცნობიერში და ნერვული იმპულსებით გადაეცემოდა იქ, სადაც ადამიანები გულს უმალავენ სამყაროს...
დიდხანს ეძებდა დამალულ გულს.
ბოლოს იგრძნო, უხილავად, იცნო.
მიუალერსა და მიატოვა უტიფრად...
დიდრონ თვალებს მიადგა უკითხავად.
არც უკითხავს, არც უთხოვია, არც უფიქრია.
ისე მიადგა,
დედამიწას წამწამები დაუნამა და დილაადრიან ჩაიმუხლა...
.....
გზა დატკეპნილა სოფლის სასაფლაოსკენ...
მას შემდეგ ლოცულობს დიდრონ თვალებში,
სიცოცხლის ხატის წინ დაჩოქილი სევდა.
მაშინ გადაიღო წვიმამ, ცამ ცის სარტყელი რომ დაიდგა
გვირგვინად...

✷ ✷ ✷

შენ ხომ უსინათლო არ ხარ...
უბრალოდ თვალდახუჭული ზიხარ და...
მზე შენს თვალებში შემოღწევას ლამობს...
მზის გულზე ზიხარ...
მაგრამ მწველია შენთვის!
თვალდახუჭულად მოვლენილი...
წარსულსა და მომავალში განტოტილი შეგრძნებებით...
ბაბუაწვერებით შემოსილი...
მზისკენ მიფარფატებ ჭრელაჭრულა პეპლების მსგავსად.
მზესუმზირების მომძიფებულ თავებს დამსგავსებია დედამიწა...

დედობისთვის მომწიფებული...
კაშკაშა მზეზე მოკიაფე სულიერებით...
.....
შენ ხომ უ-სინათლო არ ხარ...
უბრალოდ თვალდახუჭული ზიხარ და...
მზე შენს თვალებში შემოღწევას ლამობს...
მზის გულზე ზიხარ... მაგრამ მწველია შენთვის!

✹ ✹ ✹

გადაქელილ პურის ყანას ღიღილოები რომ შეერია,
ჩემი სხეული ისე უჩვეულოდ დადუმდა...
თითქოს მისი ნატერფალი სტკიოდა თიბათვის ყანებს.
.....
სისხლის წვეთებს ერთი ცალი სისხლის წვეთი რომ მოსწყდა,
ჩემმა გულმა მორცხვად თავი დახარა,
საკუთარი ნაჭრილობევი კარი დახურა და...
ტკივილი მოენატრა.
ჩემს ფიქრებში ქვეწარმავალმა რომ გაირბინა,
ჩემს ქვეცნობიერს გაზაფხულის პურის ყანა მოენატრა.
მოენატრა და...
თავწაწყვეტილი ღიღილოები გაახსენდა მინდვრის პირას...
შარშან, ამ დროს რომ იგრძნო ანაზდად.

სისხლის წვეთებს მოწყვეტილი ერთი ცალი სისხლის წვეთი,
დედამიწას რომ დაეცა,
სიფრიფანა ყაყაჩოებს,
გაზაფხულის ველ-მინდვრებზე,
გული აუფანცქალდათ.

აბიბინებულ ყანებს ნიავმა რომ გადაუარა,

სიფრიფანა ყაყაჩოებს ფოთლები დასცვივდათ...
მხოლოდ ერთი ცალი,
გამჭვირვალე რომ იყო ის,
შიშველ სხეულს შემოეხვია...
არ ვიცი სიშიშვლის შერცხვა თუ...
მხოლოდ სისხლისფერ ფურცლებს ერჩოდა ქვეცნობიერი.
.....
გადაქელილ პურის ყანას ღიღილოები რომ შეერია...
ჩემი სხეული ისე უჩვეულოდ დადუმდა...
თითქოს მისი ნატერფალი სტკიოდა თიბათვის ყანებს.

✹ ✹ ✹

ისე ძალიან სტკიოდა გული...
დედამიწის შუაგულში ჩამავალი გზა აბნევიათ თაფლისფერ თვალებს...
სხეულის ნაფლეთებს შორის მოქცეულს არ ჰგავდა ეს ტკივილი.
ეს სხვა ტკივილი იყო...
გულის ტკივილი, ასე ძალიან რომ სტკიოდა ის გულისტკივილი.
მან არ იცოდა, იგი გრძნობდა...
მტკივანი გულიდან გადმოღვრილ წვეთებს...
დიდხანს სტკიოდა. იმდენად დიდხანს,
ჩაგუბებულ სისხლის წვეთებში,
დაგლეჯილ ნერვებს ხავსი მოედო...
შეშლილობის ზღვარს მიღწეული მისი გონება ნოყიერ ნიადაგს
დამსგვასებოდა გზაარეული
მისი ფიქრებისთვის. გული კი ისევ სტკიოდა.
.....
ისე ძალიან სტკიოდა გული...

თითქოს თიბათვის ხმელი ბალახი მოეფინებათ მისთვის
საკურნელბლად ნაჭრილობევზე,
ისე ძალიან სტკიოდა გული...
თითქოს გაადამიანებული სული დაეგლიჯათ მისთვის...
სადღაც შორს კი...
მზესუმზირის თავებს შორის...
თაფლისფერ თვალებს გამოჰპარვია უტყვი მზერა...
ტკივილს მიჯაჭვული უტყვი მზერა.
ფართოდ გაუხელია გულისტკივილს თავისი მიწისფერი
თვალები...
მის თაფლისფერ მღვიმეებში ჩაბუდებულა შეშლილობის ზღვარს
მიღწეული.
თვალებში კიოდა ტკივილი...

* * *

იქ იჯდა ქვაზე,
ეს ქვა ყველგან იყო. დარდიც.
ქვა ძლიერი იყო. დარდი ჩუმი, მეტყველი თვალებით.
მარადისობაგამოვლილი დარდით დამძიმებულა ქვა.
ალაგ-ალაგ ჩამოსცვენია ნატეხები...
ადამიანის დარდს ატარებდა თითოეული ნატეხი.
ამიტომ სტკიოდა დედამიწას სული...
უჭირდა ქვის ნატეხების ცქერა,
მის ხორცს ჩხვლეტდა და სულს უმძიმებდა...
დიდხანს უვლია დარდს. ადამიანის სულისა და ხორცის ყველა
კუთხე-კუნჭული შემოუვლია.
ხან აზრად დაბადებულა მის გონებაში,

ხან ფიქრებად ჩაჰყოლია სიზმარში...
ხან ვნებაარეული ძუძუსთავებს მიჰპარვია...
და დედამიწის დედობისთის გამზადებულ ორ სანიშნეს
დასცხრომია ანაზდად.
მაგრამ დუმდა დარდი. გრძნობდა, როგორ იხლართებოდა
სულისა და ხორცის ჭიდილში.
შემდეგ გული მოუკვდა დარდს.
ქვაზე ჩამოჯდა და ნატეხებს დაუწყო ცქერა...
მისი სიმძიმის გამო ჩამოტეხილ ნატეხებს
.....
ჩუმია დარდი.
ნატეხებს შორის ფესვი გაუდგამს დარდად გაბნეულ ცისფერ
ყვავილებს...

✹ ✹ ✹

ფიჭვი ტყის პირას იკლაკნებოდა.
არც მორაკრაკე რუს ჰგავდა, არც მოღიღინე ნაკადულს.
დროდადრო დინებას წყვეტდა და სადღაც,
ეკლიან ბაყაყურებსა და ტყის პირას მიმობნეულ მინდვრის
მარწყვებს შორის იკარგებოდა...
შემდეგ ღრმად ამიოხრებდა, ქვებს მიხეთქებული...
ტკივილისგან აკივლდებოდა და სვლას განაგრძობდა.
თითქოს მე მგავდა.
ჩემს გულისცემას, ჩემს გულისტკენას. ჩემს დაკოჟრილ ხელებს...
ხარბად იწოვდა გულგახეთქილი დედამიწა ჭანგა ბალახზე
მიმობნეულ ნამს...
გამომშრალი, დანაპრალებული ტუჩებით ელამუნებოდა წვეთებს...

ჩემს სხეულში ახმაურებული სისხლის ხმა მისწვდა გონებას...
მძარფრად აღიქვა გონებამ... გულს უხმო საშველად.
გული კი მომკვდარიყო. თითქოს.
ყვავილებს თავი დაეხარათ სიკვდილმისჯილი სიცოცხლის წინაშე...
სიცოცხლე განაჩენს ელოდა...
ჩემი სიცოცხლე.

✷ ✷ ✷

ზაფხულს რომ სევდა დაეტყო, მაშინ გაიღვიძა.
მის სილაღეს საზღვარი არ ჰქონდა, არც ჰორიზონტი...
ვერ ეტეოდა, ვერც ჩემს სულსა და ვერც ჩემს სხეულში.
ცდილობდა ჩემს ამოსუნთქვასა და ჩასუნთქვას ამოჰყოლოდა.
უკან, გულთან ჩაჰყოლოდა.
მიეყრდნობოდა გულისფორმის გულს და დამშვიდდებოდა.
სულ ჩემთან იყო.
ჩემს თაფლისფერ თვალებში.
ჩემს უდიერად ჩაწნულ ნაწნავებში...
დაკოჟრილ ხელებში...
ჩემს მუდამ ორ სულ ქვეცნობიერში...
სისხამ დილაზე მოპარულა შენთან...
ჭანგა ბალახით და მოცელილთავიანი ბაყაყურებით მოფენილი
ბილიკით გამოუგნია გზა...
ჩუმად შემოუღია ხის ფიცრულის ჭრაჭუნა კარი
.....
მას ძალიან უყვარდა შენი შემოდგომაშერეული სახის ნაკვთები...
გვალვიანი ზაფხულის დახეთქილ დედამიწას რომ ჰგავდნენ
შებინდებისას...
.....

ჩემი ტკივილი დაიარეობოდა შენს თვალებში...
ქვებს შორის გაპარული წყლის კლაკნილივით გამოყვებოდა
ფარულ ცრემლს და...
ჩამოყვებოდა...
დედა-მიწად ქცეულ შენს ხორბლისფერ პირ-სახეს...
გამომშრალ ტუჩებს, მკვრივ სანიშნეებს
.....
ზაფხულს რომ სევდა დაეტყო, მაშინ გაიღვიძა.
მის სილაღეს არ ჰქონდა საზღვარი,
არც ჰორიზონტი...

✹ ✹ ✹

გულს გაუცინია.
ამოხტომას ლამობდა თურმე,
დაღლილი ხორბლისფერი სხეულიდან ამოსუნთქვისას
ამოჰყოლია შენს თბილ მზერას,
მთებში ჩაკარგული სულის საძებნელად გაჰყოლია
შენს ყოვლისშემძლე მზერას...
ფეხდაფეხ მისდევდა უღრანი ტყის ბილიკებზე.
.....
ცას სწვდებოდა შენი მზერა,
ცის სარტყელში დამალულ სულს უხმობდა ქვეცნობიერად.
.....
გამთენიისას...
მზეს ამოსვლის რომ ეშინია ისეთ ავდრიან ამინდში...
სწორედ მაშინ ჩამოჰყოლია ცრემლს თვალიდან.
გულს გამოჰპარვია, განაწყენებული
გზას დასდგომია ტყისკენ მიმავალს...
როგორც დიდედა ამბობდა: გათენებულზე რომ მოდღევდება..

წვიმას მოუსწრია კოკისპირულს.
სეტყვა მოჰყოლია სიტყვასავით მძიმე და მტკივნეული.
სიტყვით განაწყენებულს, სეტყვის შეშინებია და...
ცას შეჰფარებია უკითხავად.
.....
შენს თბილ მზერას შეუნიშნავს ცისარტყელაში დამალული სული.
მის წინაშე დაუჩოქია გულს. გაუცინია.
შეშფოთებულა ჩემი გახლეჩილი გონება...
მოუსვენრობა დასტყობია ქვეცნობიერს.
სულს ღაფავდა... განაწყენებულს
სულის წინაშე დაჩოქილ გულს,
ადამიანი ენატრებოდა.

✹ ✹ ✹

შემოდგომის ბოლოა მის ცხოვრებაში.
იცის, მაგრამ ვერ გრძნობს. ან არ უნდა იგრძნოს.
მხოლოდ იცის, გულმა შეკუმშულმა,
შუასაყარში ჩავარდნილმა, მზის წნულთან ახლოს.
განსაკუთრებულად ამიტომ სტკიოდა.
განსხვავებულად.
შენებურად.
შენთვის.
.....
შენს მზერას ელოდება გული.
ის გული, შუასაყარში რომ ჩავარდნილა. მზის წნულთან.
.....
ელვას ჰგავდა.
მზის ამოსვლისას გაელვებულს.

მზის ჩასვლისას დამშვიდებულს.
მძიმედ სუნთქავდა.
თითქოს უფრთხოდა წვიმის წვეთებით დამძიმებულ ჰაერს...
.....
როგორ, როგორ იხვეწებოდა სული სიმშვიდეს...
გონიერებავ გული გიხმობს, იქ შუასაყარში.
მზის წნულთან ახლოს.
მძიმეა ტკივილი.
.....
გრძნობის გაზაფხულებას ელოდა ქვეცნობიერი...

✹ ✹ ✹

არ ვიცი ფიქრი განვაგრძო ჩემს ვაზისა და მაყვლის ტოტებით შემოსილ სამყოფელში თუ გამთენიის ჟამს გრძნობაარეულ ქვეცნობიერს ვანდო საკუთარი ბედი...
.....
პატარა, ხის ჭიშკარში, შემოიჭრა ჩემს ეზოში
მოცეკვავე, ტანწერწეტა ნიავი...
ჯერ ვარდებს შემოუარა,
შემდეგ ახლად მოცელილი ჭანგა ბალახი მიმოაბნია
და ღამის წყვდიადში თეთრად მოელვარე გვირილებს მიადგა.
ყვითელგულა გვირილები ოდნავ შეარხია და
ყვითელგულა მზესუმზირებს შეეფარა ჩემსკენ მომართული
ფართო ფოთლების ქვეშ...
.....
მე კი ისევ არ ვიცი... ფიქრი განვაგრძო ვაზისა და მაყვლის ფოთლებით შემოსილ სამყოფელში, თუ გამთენიის ჟამს გრძნობაარეულ ქვეცნობიერს ვანდო საკუთარი ბედი.
.....

ფართოდ გახელილი თვალებით მიმზერდა ქვეცნობიერი,
თითქოს პასუხს სთხოვდა ჩემს ხორბლისფერ სხეულს.
ვცდილობდი მისი მზერისთვის გამეყოლებინა თვალი.
ასე უტიფრად რომ ამხელდა ჩემს ზრახვებს.
ის კი შორს ჩემი სხეულის მიღმა,
ჩემი თვალების სიღრმეში იხედებოდა.
არ ვიცი რატომ. ალბათ გულს ეძებდა, ჯერ ცოცხალს.

✹ ✹ ✹

არა, მე მაინც შენთან მინდოდა.
შენი თბილი მზერის შეგრძნება მენატრებოდა
სხეულის ტკივილამდე.
ეს დუმილი და თბილი მზერა მასულდგმულებდა თითქოს.
სხვას არც არაფერს ითხოვდა ქვეცნობიერი.
მხოლოდ ჩუმი მზერა,
ალაგ-ალაგ მეტყველიც...
თავისუფლება სწყუროდა სულს, გრძნობის თავისუფლება.
მოკრძალებულად იქცეოდა სხეული...
მზერისა და დუმილის მარადიულობა ერჩივნა...
გახლეჩილი გონების ვნებაალეწილი ფიქრები ჩაეხშო გონიერებას.
.....
სიგიჟის ზღვარს მიეღწია . . .
უმოწყალოდ ჩხვლეტდნენ შიშველ ტერფებს
ქვის ღობის მიღმა...
სოფლის შარაზე წაქცეული ბაყაყურები,
ირგვლივ მიმოფანტული მოწყვეტილი თავებით...
.....
მე, მაინც შენთან მინდოდა.
ჩემს გონებასაც შენი მზრუნველი დუმილი ერჩია სამყაროს
გაშმაგებულ ორომტრიალს...

✷ ✷ ✷

თითქოს გათენდა.
მამლის ყივილი აპობდა სივრცის სიჩუმეს.
მუქი ფარდა ჩიტების ლანდს აუჭრელებია,
გამჭვირვალე ქსოვილის ნაჩვრეტებიდან ალაგ-ალაგ
მზის სხივი იპარებოდა...
ჩემს სახეს ელამუნებოდა დაღლილ ნაკვთებზე.
.....
მზერა არ ასვენებდა ჩემს ქვეცნობიერს...
ჩემი მზერა, შენსკენ მომართული.
ცნობიერება ქვეცნობიერს ეომებოდა შენთვის.
მხოლოდ შენი სულისთვის.
ორმაგია ადამიანის ცხოვრება,
ამიტომ გახლეჩილა გონება.
ერთი აძლიერებს მეორეს.
ზოგჯერ სული გიყვარს ადამიანის მხოლოდ.
სხეული სხვისია... ქვის ღობის მიღმა მიმავალს ჰგავს.
.....
გამჭვირვალე ქსოვილის ნაჩვრეტებიდან გაპარული სხივი
დაგეძებდა ჩემს პირ-სახეზე,
ჩემს თვალებში
უპოვიხარ...
იქვე ჩამომჯდარა შენთან.
სევდად ქცეულა და თვალის ფსკერზე
ჩაჰყოლია კაპილარებს, შიგნით... ჩემი გულისკენ გაუკვალავს გზა.

✷ ✷ ✷

და როგორ უყვარს შენი თბილი მზერა ჩემს მოუსვენარ გულს,

აქეთ-იქეთ რომ ეხეთქება შუასაყარში და
ამოხტომას ლამობს ჩემი სახელის დაძახებისას.
თითქოს მარადიულობას დაატარებს
ჩემს გრძნობადაშრეტილ სხეულში.
ნაზამთრალ დედამიწას ათბობს შენი მზერა.
ასეთი თბილი, უტყვი, ჩემეული...
განტოტებული არტერიებისა და სისხლძარღვების მსგავსად
ჩემში ჩამავალი და მარადიულობის ზღვარს მიღწეული.
.....
და როგორ უყვარს შენი თბილი მზერა ჩემს მოუსვენარ გულს...
ასეთი თბილი, უტყვი, ჩემეული...
ღიღილოების ველს რომ მისდგომია საკუთარი საიდუმლოს
შესაცნობად.

✹ ✹ ✹

დაისის ბგერები რომ გავრცელდა მდუმარე სამყაროში,
სევდამ ხელები გაშალა საცეკვაოდ.
იმდენად ფართოდ...
მრგვალი დედამიწა საკუთარ ხელებში რომ მოემწყვდია,
საკუთარი გულისცემის მოსასმენად.
გაზაფხულს უგრძნვნია პირველად...
წამში დამდნარა თოვლი მორაკრაკე რუების პირას,
კვირტები დასკდომია ხეებს. ფიქრები დაბადებულა ორსულ
გონებაში.
.....
თავბრუ ესხმოდა შეყვარებულ გაზაფხულს, მოცეკვავე სევდის
მოახლოებას გრძნობდა... ქარივით დაჰქროდა სევდა დედამიწის
ირგვლივ, საკუთარ გაზაფხულს დაეძებდა...

ფართოდ გაშლილი, ზეაღმართული ხელებით.
.....
მინარნარებდა გაზაფხული...
თან მიყვებოდა გრძნობამორეული სევდა,
ჩვილ ყვავილებს მიმოაბნევდა უტყვი ნიავი...
სინამდვილეში სულია. მოცეკვავე, დაისისთვის გამზადებული.
ტკივილმა მაშინ მოკლა ჩემი გული, გონებამ შეშლილობის ზღვარს რომ მიაღწია.
გულს სუნთქვა შეეწყვიტა, მხოლოდ ფეთქავდა და...
ისე გმინავდა...
შუასაყარში, საკუთარი ფრთის ქვეშ შეყუჟული სული გააღვიძა.
.....
მგონი გავგიჟდი.
საკუთარი გულის გადარჩენა გადაუწყვეტია ჩემს ქვეცნობიერს.
ბედნიერების შეგრძნება შეჰპარვია ჩემს დაუძლურებულ ნაკვთებს...

✹ ✹ ✹

თითქოს ცოცხლობდა...
სინამდვილეში თვითონაც ვერ ხვდებოდა...
ცოცხლებში ჩაეთვალა საკუთარი თავი თუ მკვდრებში...
ადამიანური დარდით შეპყრობილი დაიარებოდა დედამიწაზე...
ცასა და დედამიწას შორის...
დამშრალ რუსა და მორაკრაკე წყაროებს შორის.
გონების მსგავსად, ცხოვრებაც ორად გაეყო მისთვის ქვეცნობიერს.
ვნებააღრეული, ცეცხლოვანი ქვეცნობიერში ღრმად გადგმული ფესვებით და..
პეპელასავით მოფარფატე სულით...
ოდნავ რომ შეეხებოდა მის გრძელ წამწამებს და...

გაფრინდებოდა იქ...
სადაც ჰორიზონტი წითლად შეფერილიყო...
დახეთქილი ტერფებით მოსიარულე ადამიანების სისხლისგან...
.....
დედის კალთაში მოკალათებულიყო მზეკულულებიანი.
პატარა, ფაფუკი ხელებით ელამუნებოდა
დედის პირმცინარ სახეს...
თითზე დედის თმის ღერი დაეხვია და ეთამაშებოდა...
ღვთისმადლიერი სახით შეჰყურებდა დედა...
ვერ გრძნობდა ტკივილს.
.....
შორს ჰორიზონტზე კი წითელ ხაზი მოჩანდა მუდამ
და არავინ იცოდა...
რომ იქ ტერფდახეთქილი ადამინები მიემართებოდნენ
სამუდამოდ...

✹ ✹ ✹

საკუთარი გულის ნაფლეთებს დაეძებდა დედამიწაზე...
მაშინ როდესაც სივრცის შეგრძნებას კარგავდა ქვეცნობიერი...
დაღლილ კიდურებს მტკივანი ტოფუსი მოსვენებას უკარგავდა
და...
უსასრულობისკენ მიაქანებდა საკუთარი ტკივილის
დასავიწყებლად...
ტკივილამდე დაკაწრული ხელ-ფეხით...
მზით გამომშრალი მარილიანი ტუჩებით,
სველი მაყვლისფერი თვალებით და ცარიელი შუასაყრით...
ცდილობდა საკუთარ გულს დასწეოდა...
დედამიწაზე რომ დაგორავდა...
კლდიდან უფსკრულში, მთიდან მდელოზე...

ცნობიერიდან ქვეცნობიერში.

.....

საკუთარი გულის ნაფლეთებს დაეძებდა დედამიწაზე...
მაშინ როდესაც სივრცის შეგრძნებას კარგავდა ქვეცნობიერი...

.....

უტიფრად დუმდნენ მზისთავიანი ლილიფარები ცისარტყელას მოლოდინში...
ჩემს გულს დასტიროდა დედამიწა, ჩემს დაკემსილ გულს.

* * *

როცა დავბერდი, თავი მაშინ ვიგრძენი ახალგაზრდად...
ასაკს ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ დაბადებიდან განვლილი წლები ჩქეფდა ჩემს ძარღვებში.
თავს გაზაფხულის დედამიწის ტოლად ვთვლიდი...
მთელი სიცოცხლე რომ წინ აქვს.

.....

ჯერ არარსებული ფიქრი ცდილობდა ჩემს ქვეცნობიერში ჩაეღწია...
თუმცა ალაგ-ალაგ შემორჩენილი შიშის ნაფლეთები ხელს უშლიდა და ისე იმზირებოდა ტვინის ნერვულ წნულებს შორის თითქოს დედიშობილა დაიარებოდა ჯერ არშობილი...
მიწისფერ დედამიწაზე.

.....

სხვადასხვა მზერით უმზერდნენ სხვადასხვა ფერის თვალები...
მწვანე, ცისფერი, ლურჯი, აუმღვრეველი ტეხურასფერი, სევდისფერი, დაღლილი სულისფერი...

.....

მე კი, ულმობელ გზას გავყურებდი,

ჩემს ირგვლივ, ჩემს მიღმა, ჩემს გვერდით რომ იკლაკნებოდა მთის ბილიკებად...
ალაგ-ალაგ კლდიდან ჩამოგორებული ნატეხები დაღლილ კოჭებს სტკენდა და სვლას უშლიდა დაბადებიდან წამოსულ გზაზე...
მაინც მიდიოდა. დაბადებიდან გარდაცვალებამდე.
გზად ცხოვრობდა... გზად დაბადებიდან გარდაცვალებამდე.
ჩამოგორებული კლდის ნატეხები კი ძალიან სტკენდნენ კოჭებს...
ყვითელ ყვავილებს შორის იპარებოდნენ მზის ურჩი, კაშკაშა სხივები.

✷ ✷ ✷

მათ შორის მეც ვიყავი.
მათ შორის, სევდას გონებით რომ დაატარებდნენ.
ვეღარ გრძნობდნენ, მაგრამ ვერ ივიწყდებდნენ.
.....
ჩემს გონებაში მოხეტიალე ფიქრებს...
თითქოს მფარველად ევლინებოდა და ზღვარგადასულ, მიწისა და ცის წიაღში გამოსასვლელად გამზადებულ ფიქრებს შემოეკლაკნებოდა და გზას უკვალავდა...
ეს გზა კი...
ცნობიერიდან ქვეცნობიერში იხლართებოდა უამრავ ნერვულ წნულებში.
ქვეცნობიერი მხოლოდ საკუთარ თავს ანდობდა ეულ სევდას...
მასში ფესვებგადგმულს.
მუდამ, სადღაც კუნჭულში მალავდა, სხვა რომ არ დაენახა და სხვას რომ არ დაენახა.
დროდადრო თვალს შეავლებდა...
თითქოს ილეოდა, წუხილი შეპარულიყო ქვეცნობიერში.
სევდა კი ილეოდა. თითქოს სამუდამო სამყოფელს ეძებდა.

.....

საკუთარ მაყვლისფერ თვალებს უფრთხოდა ქვეცნობიერი.
ნაცნობ მზერას გრძნობდა სხეულის ტკივილამდე...
მასში განლეული სევდის ეშინოდა...
თვალებში რომ უპოვია მარადიული თავშესაფარი...
მათ შორის მეც ვიყავი.
მათ შორის, სევდას გონებით რომ დაატარებდნენ.
ვეღარ გრძნობდნენ, მაგრამ ვერ ივიწყდებდნენ.

✹ ✹ ✹

ვერასოდეს იფიქრებდა,
საკუთარ თავს თუ დაუმალავდა საკუთარ თავს.
ზოგჯერ ისე იღლებოდა მისი გონება,
თანახმა იყო სადღაც,
მისივე სხეულის შუასაყარში ჩაეღწია,
გულს უკან,
გულის გვერდით ან მის მახლობლად დამალულიყო.
მაგრამ გულს დაემალებოდი განა?
იგრძნობდა თუ არა შენს მიხვრა-მოხვრას,
შენ სუნთქვას,
შენს სევდას,
შენს ტკივილს...
დაინახავდა თუ არა შენს მზერადაკარგულ თვალებს...
შენს დამშრალ ნადედარ სანიშნეებს.
დაკოჟრილ ხელებს,
დახეთქილ ტერფებს,
დედამიწად ქვეულ,
შენი მტევნების ჩიტის ბუდეებს,

დასერილ მკლავებს...
დახეთქილ ტუჩებს,
ტუჩის კუთხეში დამშრალი ცრემლით...
.....
ჩემი სხეულის მზის წნულს,
თანდათან სტკიოდა ნერვები.
ერთი ნერვი მეორეს გლეჯდა მაშინ,
როდესაც, ჩემში ფესვებგადგმული სევდა,
ჩემს ჭრილობებს სისხლს წმენდდა.
ჩემი სხეულის მზის წნულს,
მაშინ ჩამოტყდა მზის სხივი...
როდესაც საკუთარ სხეულში დამალული
საკუთარი თავი კივილით დაიარებოდა ჩემს სისხლძარღვებში,
ჩემი წილი დედამიწის გულს მაშინ კლავდა და მაშინ
აცოცხლებდა,
როცა შეშლილობის ზღვარზე მყოფი ჩემი გონება,
უკმეხად გმობდა მზერადაკარგული თვალების სიცარიელეს,
.....
ის კი,
ვერასოდეს იფიქრებდა,
თუ ოდესმე საკუთარ სხეულშიც ჩაუტყდებოდა
მწველი მზის სხივი...

✹ ✹ ✹

ისე დანარნარებდა უკვდავება ფერფლისფერ სამყაროში,
როგორც ჩემს სულში ეული ფიქრი,
ჩემს გონებაში დაბადებული,
ქვეცნობიერში ჩაზრდილი ნერვული წნულებით.
.....

ზოგჯერ გონება გტკივა,
სისხლძარღვები ისე პულსირებს,
როგორც გული შუასაყარში.
კოჟრიან ხელებში საკუთარ თავს მოიქცევ
და თვალებს დახუჭავ.
თვალწინ შენი,
მარადიულობად ქცეული ბავშობა ჩაივლის და...
უფსკრულს მიადგება.
შენი მზერა, მისკენ მიმართული,
უნებურად უფსკრულის სიღრმეში ჩასრიალდება
და ქვის ნატეხებს შორის დაიდებს ბინას...
ჩემი მაყვლისფერი თვალები მის გარეშე დარჩება...
თვალები მზერის გარეშე
ცარიელი,
შუშისფერი,
ფსკერზე შავი წერტილით.
.....
საკუთარ მზერას დაეძებენ მზერადაკარგული თვალები.
.....
ისე დანარნარებდა უკვდავება ფერფლისფერ სამყაროში,
როგორც ჩემს სულში ეული ფიქრი, ჩემს გონებაში დაბადებული,
ქვეცნობიერში ჩაზრდილი ნერვული წნულებით.

✹ ✹ ✹

როცა ვერ გხედავ...
თითქოს სამყარო ხელისგულებით თვალებს მიხუჭავს...
როცა ვერ გხედავ...

თითქოს დედამიწა საკუთარ თავს აცლის ჩემს დაღლილ მუხლებს...
როცა ვერ გხედავ...
თითქოს ჰაერი ბაბუაწვერებს ემსგავსება და ამოსუნთქვისას გადაეფინება გადახრუკულ ნაბალახარ მინდვრებს...
.....
რომ მიდიოდი...
შენ ნაფეხურებში მზის სხივი კიაფობდა დაუსრულებლად,
რომ მიდიოდი შენს გზაზე...
ჩიტი-ჩიორა ჭიკჭიკ ჭიკჭიკით გზას უკვალავდა ჩემს ქვეცნობიერს.
რომ მიდიოდი...
შუსაყრიდან გადმოვარდნილი გული, გამჭოლი მზერით შენს ლანდს ეხვეოდა და მხოლოდ მაშინ რომ მოიხედე, ის დაინახე, რაც...
სინამდვილეში ზურგზე აკიდებულს მიგქონდა...
.....
ხელს თითი მოსტეხოდა ერთი,
შემდეგ მეორე,
შემდეგ მესამე.
მარჯვენა ხელის თითები ყოფილა სამივე.
მარცხენა ხელი, გულის ხელი...
გადასერილი ნერვული წნულებით,
მოტეხილ თითებს, დაწყვეტილი ნერვებით...
ეფერებოდა, სრესდა...
საკუთარი მზის წნულის ჩამოტეხილი მზის სხივებით უთბობდა გაყინულ თითებს...
.....
ორივე ხელით ეჭირა საკუთარი შუასაყრიდან გადმოვარდნილი გული,

ათი თითის ნაკვალევი აჩნდა გაცოცხლებულ გულს.
.....
როცა ვერ გხედავ...
თითქოს სამყარო ხელისგულებით თვალებს მიხუჭავს...

✹ ✹ ✹

მე რომ წვიმა მეგონა,
ცის სევდა ყოფილა სინამდვილეში...
.....
დიდხანს ვერ უსწორებდა თვალს, საკუთარ სიღრმეში
ჩამალულ მზეს.
მხოლოდ მისი ჩამოტეხილი სხივების ჩხვლეტას გრძნობდა
ქვეცნობიერში...
ალაგ-ალაგ ნაპერწკალივით რომ გაიელვებდა მის სხეულში
და დიდხანს ტოვებდა
მოსიარულე ტკივილს.
ფიქრი ტკივილს ჰგვრიდა.
ხელების და გონების ტკივილს.
გონებას მასზე ფიქრი ეკრძალებოდა,
ხელებს შეხება.
მხოლოდ ერთის უფლება ჰქონდა.
თვალებს აფარებოდნენ.
ცა რომ არ დაენახათ.
ცის ტკივილი რომ არ აღბეჭდილიყო მის თვალებში.
.....
ჩიტს დავაბარე მოჭიკჭიკეს.
ცის გული გელოდება, მე არა.
ჩემი ზეაღმართული დედამიწის
ცის გული თქო...

✷ ✷ ✷

ისე ხმამაღლა კვნესოდა სული,
ჩემი სხეულის ძარღვებში სისხლს ჩქეფა შეეწყვიტა შეშინებულს...
მდორედ, წვეთ-წვეთობით იწვეთებოდა კაპილარებში და
ჩერდებოდა ისე...
თითქოს ჩემს სხეულს მის გარეშე შეეძლო არსებობა,
მისი სუნთქვის,
მისი მოძრაობის,
მისი ხმის...
თითქოს ჩემს გულს მის გარეშე ფეთქვა შეეძლო...
თითქოს ჩემს ქვეცნობიერს მის გარეშე წარმოსახვა შეეძლო,
თითქოს ჩემს გონებას მის გარეშე აზრთა შობა შეეძლო . . .
შენ, სისხლო ჩემო...
ჩემს სულს რომ აკვნესებ...
მე, სისხლი შენი...
შენს ძარღვებში მდინარი...
.....
ქვეცნობიერში რომ წვეთობით ჩაიწრიტება ჩუმი ტკივილი,
ჩემი ჩუმი სევდა საკუთარ მარწუხებში მოიმწყვდევს და
გაირინდება ორივე...
წამით შეჩერებულ წისქვილის ქვას დაემსგავსება გომარეთისას,
ცოტა ხანში რომ დატრიალდება,
დატრიალდება დაუსრულებლად.
ტკივილი სევდას წნეხს,
სევდა ტკივილს...
მხოლოდ წისქვილის ქვა ბრუნავს,

გარინდებული სისხლივით...
საკუთარი გულის ირგვლივ.

✷ ✷ ✷

გრძნეულო ტკივილო!
მაინც რა გინდა?
კივილის სურვილით რომ აგივსია ჩემი
გონება და ნერვულ წნულებზე დასეირნობ პეშვი მიწით
ხელში?
მაინც სად მიგაქვს?
იქნებ შუასაყარი გინდა ამოფინო...
ფაფუკად რომ დაიარებოდე ზედ...
შენი ამბავი რომ ვიცი ტკივილო...
წითელ-ყვითელ ყვავილებსაც მოინდომებ, ზეცად მოფარფატე
პეპლებით...
ისიც ვიცი...
უტიფრად ჩამჩურჩულებ ყურში: „მორწყვა?
მორწყვა არ უნდაო? ყვავილებმა რა დალიონო?“
უკვე მესმის შენი მქუხარე ჩურჩული. ნუ ყვირი ტკივილო!
რეტი დაესხა დაუძლურებულ დედამიწას...
ნუ ფარისევლობ ტკივილო, თავად არ მითხარი, წყალი დაშრა
და სისხლძარღვებში სისხლიც შრებაო?!
მაშ მითხარი, რაღას მთხოვ ტკივილო, შუასაყარში ჩათესილი
ყვავილების მოსარწყავად?!

✷ ✷ ✷

გამოდი აზრო...
ფიქრებს დაუტოვე ჩემი გონება!

უმოწყალო ორთაბრძოლა რომ გაგიმართავს...
და ბრძოლის ველად გიქცევია...
გამოდი აზრო, გარეთ გამოდი!
ჩემს ამოსუნთქვას ამოჰყევი თუნდაც...
ჩემს ცრემლს ჩამოჰყევი თუნდაც...
ჩემს გულს შემოეხვიე თუნდაც...
ჩემს ქანცგაწყვეტილ ნერვებს,
ჩემს ნადედარ სანიშნეებს,
ჩემს სულს დედამიწაზე გართხმულს...
.....
აზრო ჩემო! კეთილ ყოფილო... თითქოს!
აზრო ჩემო! დაღლილო... თითქოს!
აზრო ჩემო! გრძნობაარეულო... თითქოს!
.....
ხმელ ბალახზე წამოწოლილს მომდგომიხარ თიბათვის თვეში...
დუმილის დარღვევას ცდილობდი თითქოს!
ქვის სიმტკიცეს მიკედლებული გიპოვივარ...
ღალატს მსაყვედურობდი თითქოს!
ვნებაალეწილს შემხვედრიხარ...
თავდებად დამდგომიხარ თითქოს!
.....
ჩემს ხორბლისფერ სხეულს მიაქანებ,
თავჩაქინდრული ხორბლისთავებით სავსე მინდორში.
ჩემს მაყვლისფერ თვალებში ბუდობ ტყის მაყვლოვანში...
ჩემი დაკოჟრილი ხელები, ჩემი სანიშნეები...
შეუცნობლად შეგყვარებია თითქოს!
.....
გამოდი აზრო, გარეთ გამოდი...

ფიქრებს დაუტოვე შენი შობისთვის გამზადებული...
მუდამ ორსული ჩემი გონება!

✹ ✹ ✹

ვიცი რომ გრძნობ. სწორედ ეს მიყვარს შენში.
პურის ყანას ჰგავს ეს გრძნობა...
მშვიდი, გრძნობამორეული, ჩუმი...
ან მეტყველი გაზაფხულის ხმებით...
სავსე სულიერებით...
და ქვეცნობიერებაში ჩაძირული ხორციელი სურვილებით.
.....
პურის ყანას მივუყვებოდი...
თან მდევდა მზერა,
მე რომ ძალიან მიყვარს სწორედ ის...
უხილავად რომ გიბიძგებს წინსვლისკენ...
კლდედ რომ გეფარება ღვარცოფის დროს...
მუხის ფესვებად რომ გევლინება უფსკრულთან დგომისას...
.....
ეკლიან ღობეში შეუღწევია ვნების ყვავილს...
შემოხვევია... და უხმოდ დამორჩილებია საკუთარ ბედს...
.....
ვიცი, რომ გრძნობ...
სწორედ ეს მიყვარს შენში...
უხმო თანადგომა... მარადიულობის შეგრძნებით.
.....
ვნებისყვავილის მსგავსი საათი წიკწიკებს ჩემს გახლეჩილ
გონებაში...

✹ ✹ ✹

ასე რატომ აკივლდა ჩემი სული...
იქნებ სილა გამაწნა უხილავმა ხელმა...
.....
თვალი რომ გაახილა,
გული სისხლძარღვებს მოსწყდა და შუასაყარში ჩავარდა.
უცხო სხეულად აღიქვა შუასაყარმა.
ნერვებმა საკუთარ წნულებში მოიქციეს და...
სამყაროს გადაუმალეს.
.....
ჯერ ცალი ფეხის გადადგმას ეცადა,
მაშინ როდესაც მის გონებაში...
მისთვის შეუცნობელი აზრი იკლაკნებოდა მდუმარედ.
ოქროსფერ კულულებს დედამიწა შემოხვეოდა,
ბუთქუნა თითებს ჭანგა ბალახი.
მეორე ფეხის გადადგმაც რომ შეძლო...
საიდანღაც...
თითქოს დედამიწის წიაღიდან,
მიწისფერი ხელი მის კოჭებს შემოეხვია...
თვითონ...
დედის ხელებს დაეძებდა ქვეცნობიერად.
ისე გმინავდა მიწა,
ძეხორციელის კვნესა-გოდება,
ღამის წყვიადში იკარგებოდა.
დედა გაახსენდა ანაზდად,
თითქოს ხედავდა კიდეც...
ოღონდ არ იცოდა,
მისი იყო ეს დედა, თუ
დედამიწის.

მის მიღმა რომ გაიხედა შუშის თვალებით,
მაშინ მიხვდა...
დედამიწის იყო ეს დედა.
მისი დედა,
ალბად იქ...
ბარში,
ღიღილოების ველს რომ გასცდები,
იმ ველის ბოლოს ელოდებოდა.
.....
ასე რატომ აკივლდა ჩემი სული...
იქნებ სილა გამაწნა უხილავმა ხელმა...
.....
ტბორში, ტყის პირას.
საკუთარ ნასახარ სახეს რომ ჩახედა...
მარჯვენა ლოყაზე ეტყობოდა,
გულის მხარეს,
ტალახიანი ხელით გაეწნათ სილა.

✹ ✹ ✹

არსებობდა და იცოდა ამის შესახებ...
მარტივად უყურებდა საკუთარ არსებობას,
კდემამოსილი გრძნობებით იტანჯებოდა,
თუმცა ტანჯვა სიამეს გვრიდა...
აზვირთებულ ტალღებში მთის სიდიადეს გრძნობდა...
კმაყოფილიც იყო, შმაგიც და მორჩილიც.
ხანი გავიდა, გაწლებიანდა.
მაშინ როცა ჭექა-ქუხილი საუკუნის გახდა...

ის დანებდა.

.....

შებინდებისას დაბერდა სიკვდილი.

ყვავილები დამჭკნარა სოფლის გზის პირას.

✹ ✹ ✹

შეგრძნებებით ცხოვრობდა.

მზეუხილავი თვალებით გრძნობდა მზეს ჩამოტეხილ ნარინჯისფერ სხივებს.

თვლა უყვარდა.

დაუსრულებლად თვლიდა მდინარის კენჭებს,

დედის თითებს.

ჯერ დღეებს თვლიდა,

იქამდე, სანამ ლოდინად ქცეული დღეები,

სამყაროს სევდამ შეისრუტა და ერთ დიდ ლოდად უქცია მის დედას, შუასაყარში.

გულთან ახლოს, გულის წინ და გულის უკან.

თანდათან გულს რომ შეეზარდა ცოცხალი ქსოვილივით.

.....

თვალებზე აიფარებდა ხელებს.

მიძინებულ მზერას შეისიხლხორცებდა თითქოს,

მთელი ქვეყნიერების ამბავს შეჰპირდებოდა მზეუხილავს...

დედის სახეს განსაკუთრებით.

დედას დააფიცებდა, დედის სახის ამბავი არ დავიწყებოდა.

მისი ჭაღარის რაოდენობა აინტერესებდა განსაკუთრებით.

საკუთარ ასაკს ვერ გრძნობდა.

ლოდინად ქცეული დღეების ასაკის იყო თითონ.
გამთენიისას შეპირდებოდნენ ხელები.
ესეც მათ იცოდნენ მხოლოდ. ერთ სიბრტყეში განლეულიყო დღე
და ღამე მზეუხილავისთვის.
.....
სხეულს სიგრილე მოჰპარვოდა. დაღამება იგრძნო მზეუხილავმა.
დაჟინებით ეკითხებოდა დედის ამბავს თვალის ბუდეებზე
აფარებულ ხელებს.
.....
დუმდნენ ხელები. დუმდნენ უძრავად. ქვის ნატეხებად
გაბნეულიყო სივრცეში ლოდად ქცეული დედის გული...
საკუთარი ასაკი იგრძნო მზეუხილავმა.

✹ ✹ ✹

ვერ გაიგებდი,
ეს ხუჭუჭა თმა დაბადებიდან ჰქონდა თუ...
ოფლისა და ჭუჭყის დახმარებით გამხდარა ხუჭუჭა.
არც მან იცოდა,
რადგან
საკუთარი თავი სულ ასეთი ახსოვდა.
არც საკუთარი წლოვანება იცოდა,
რადგან
საკუთარი თავი სულ ასეთი და სულ ახსოვდა.
ამიტომ არც ის იცოდა საკუთარი დაბადებიდან,
რამდენი საუკუნე გადაჩეხილა კლდოვან ნაპრალებში.
საკუთარ სახეს ვერ ცნობდა,
ვერც ჭაობში ჩახედვისას.
ჭაობში სხვის სახესაც ვერ სცნობდა,

მხოლოდ ყნოსვა უმძაფრდებოდა...
აქამდე უცნობი შეგრძნება მისთვის...
.....
ბოლოს რომ ნახა არც ის დღე ახსოვდა.
რომ ნახა ის ახსოვდა მხოლოდ.
ხუჭუჭა თმა რომ გადაუწია და თვალები დაუკოცნა,
არც ის ახსოვდა,
მხოლოდ ის ახსოვდა უცნაური სითბო რომ იგრძნო.
სადღაც რომ წაიყვანეს ისიც ახსოვდა...
და ყვავილები ახსოვდა ბევრი.
საკუთარი მზერა ახსოვდა კიდევ,
აი ყვავილებს რომ გააყოლა ის მზერა...
დანახული მის თვალებში აღბეჭდა სამუდამოდ.
მას შემდეგ არ უყვარდა სარკეში ჩახედვა.
არც წყალში,
საკუთარ თვალებში დაბუდებული მზერის ეშინოდა.
.....
შემთხვევით დაადგა ხვლიკს ფეხი.
ხვლიკმა კუდი დატოვა და გაიქცა.
ძველ ნანგრევებში შეძვრა.
ხავსმოკიდებულ ნანგრევებში.
ნანგრევებს შორის იყო ის ჭაობი...
ვერც საკუთარს და...
ვერც სხვის სახეს რომ ვერ სცნობდა ჩახედვისას.

✷ ✷ ✷

მძლავრმტევნიანი ხელით მიმობნეული ახლადაყვავებული ხის ყვავილები...
ცეცხლით გადამწვარი, უკეთურობით და-ნაპრალ-ებული დედა-მიწის აღორძინებას ამცნობდა სამყაროს...
.....
ტირილი შეეწყვიტათ ჩვილებს, კოცნით ამოეშრო დედას დილის ნამი, სამყაროშეუცნობელ თვალებში...
ფაფუკი თითებით, ჩუმი ღუღუნით ეალერსებოდნენ უშრეტ წყაროებად ქცეულ, დედის ცრემლიან თვალებს...
.....
გაზაფხული დამდგარიყო დედა-მიწაზე.
უკეთურობის დადუმებას გვაუწყებდნენ მიწას ჩაბღაუჭებული, ჭანგა-ბალახის ამოხეთქილი წვეროები...

✹ ✹ ✹

იქნებ მართალიც იყავი,
ბეწვის ხიდზე გავლილს...
საკუთარი გული საკუთარ ხელებში რომ გეჭირა და საკუთარ მზერას არიდებდი ქვეცნიბიერად.
.....
იქნებ მართალიც იყავი,
შიშისფერ მზერას თვალს რომ ვერ უსწორებდი შიშისგან და საკუთარ თავში ჩაკეტილი საკუთარ ქვეცნობიერს არწმუნებდი:
შიშს მხოლოდ საკუთარი გარდაცვალების და
ადამიანების უშიშობის ეშინიაო!
.....

იქნებ მართალიც იყავი ჩემს შუასაყარში შეღწეული შენი მზერა
ჩემს სულს რომ აფორიაქებდა ურცხვად და შენ კი...
საკუთარ გულს უკან დამალული მდუმარედ და
დაკვირვებით ათვალიერებდი ჩემს ნერვებს...
.....
ნერვულ წნულებში გახვეული ჩიტი-ჩიორა,
ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ით ცდილობდა გზის გაკვლევას,
მაგრამ...
ჩაწყვეტილ ნერვებს დაკიდებული ჩიტი-ჩიორა უძლური მზერით,
თავჩაქინდრული, დაუძლურებული სამყაროს მიღმა იმზირებოდა..

✹ ✹ ✹

ჩემს ჩიტისგულისოდენა გულში მზემ რომ შემოიხედა,
სამყაროს აღმოსავლეთში ალაგ-ალაგ
ციცინათელები ციმციმებდნენ ისევ...
.....
შემოიხედა და ხავსმოდებულ სარქველებს შორის
დამალულ სევდას დაუწყო ძებნა.
დიდხანს ეძებდა,
ხან ნაკადულივით მჩქეფარე სისხლს შეერეოდა
და ირგვლივ შემოუვლიდა მთელ სხეულს,
ხან ნაკვერჩხალივით აგიზგიზდებოდა
და ცეცხლის ალში გაახვევდა გულს,
მწველ ტკივილს გრძნობდა,
ძალიან უჭირდა გულს,
მაგრამ ერთგულად ინახავდა საკუთარ სევდას,
მის განუყოფელ ნაწილად რომ ქცეულიყო...
.....
ნაკადულივით მჩქეფარე სისხლში

ლივლივებდნენ მზის სხივები...
სამყაროს აღმოსავლეთი კი მზის ამოსვლას ელოდა...
ჩემს გულში ჩამალულ მზეს!

✹ ✹ ✹

ისე ვერ მოვკვდები, ერთხელ მაინც რომ არ ვიცეკვო შენთან
დაისო...
. . . . . .
მზის გზას რომ დაადგა არ იცოდა მისი არსებობა,
თუმცა გრძნობდა, გამუდმებით.
მუდამ ცისკენ ჰქონდა ცალი თვალი...
იქამდე , სანამ მლაშე ცრემლმა მის შუასაყარში ჩააღწია და...
გაზაფხულის მინდორ-ველივით დანამა არემარე.
წვეთები ალაგ-ალაგ გულსაც შეხებია.
მერე ნახა... მერე იგრძნო...
ტკივილის ნაცვლად სითბო რომ ეღვრებოდა გაყინულ ძარღვებში,
სევდამ ფერი რომ იცვალა და...
მზის გზას რომ გაუყვა ქვეცნობიერად.
.....
ის, სადღაც იქ იდგა.
მზის გზაზე ან... იჯდა გზის პირას ან...
წინ მიდიოდა. ალიონზე მზესთან შესახვედრად.
ვიცი, რომ მხედავდა.
ღამის წყვიადში ირეკლებოდა ჩემი სხეული.
ის წინ მიდიოდა, რადგან იცოდა...
ჩიტის ბუდედ იქცეოდა მისი ნაკვალევი.
.....
მზის გზას ვადექი, ჩიტების ჟღურტული მიკვალავდა გზას.
.....

ისე ვერ მოვკვდები, ერთხელ მაინც რომ არ ვიცეკვო შენთან
დაისო...

✹ ✹ ✹

ფიქრებს მოეხატათ მისი სახე...
ტუჩის კუთხიდან სევდაშერეულ თმის ღერებამდე აღუბეჭდიათ
დედამიწის დანაპრალ-ებული ღარები...
თვალთან ტყის ნაკადული მოუხატავს, სამუდამო სამალავად რომ
ქცეულა ჩუმი ცრემლისთვის...
მაყვლისფერ თვალებს ალაგ-ალაგ დიდედას ზღაპრისფერი
მონატრება შერევია და ღრმად დალექილა იქ...
სადაც განსაკუთრებით გენატრება წისქვილის ხმა,
საკუთარ ქვეცნობიერს რომ მოსვენებას არ აძლევს
და მუდამ ზღვარზე ხარ...
ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის,
ძილსა და ღვიძილს შორის...
სიკეთესა და სიკეთეზე ფიქრებს შორის.
ფიქრებს ხატვა უსწავლიათ...
სულის ხატვა. არა მხოლოდ საკუთარი.
სხვისი სულის ხატვა უსწავლიათ შენს სახეზე.

✹ ✹ ✹

ისე მლოცავდა,
მზის სხივებს ფესვები გაუდგამს
ჩემი წილი დედამიწის ნახეთქებში...
იქ, სადაც გული ცხოვრობდა...
იქ, სადაც სიცოცხლე იწყებოდა...
იქ, სადაც ტკივილი იბადებოდა...
.....
გვირილებს თეთრი ფურცლები რომ გასცვივდათ,

ის საღამო იყო...
მკათათვის ნიავს ახლად მოთიბული ბალახის სუნი მოჰქონდა,
სადღაც იქვე...
გვირილების გარეშე დარჩენილი მინდვრებიდან.
გონებით თავწაწყვეტილი გვირილები გენანებოდა,
ქვეცნობიერში თივის ზვინები ილექებოდა,
მკათათვის სევდით სავსე,
სული...
სული კი დაქროდა...
მკათათვის ზვინებს მიმოფანტავდა,
იდუმალ ზრახვებს მიმოაბნევდა,
რაკრაკა რუებს გზას აუბნევდა და...
ისევ მე მომადგებოდა...
სევდისფერ თმას ამიწეწავდა უნებლიედ თითქოს,
მაყვლისფერ ნაწნავს მომიქაჩავდა უნებლიედ თითქოს,
მზის წნულს რომ მიადგებოდა დამშვიდდებოდა თითქოს და...
იქვე, გულს უკან მიიძინებდა...
.....
ისე მლოცავდა,
მზის სხივებს ფესვები გაუდგამს
ჩემი წილი დედამიწის ნახეთქებში...
იქ, სადაც გული ცხოვრობდა...
იქ, სადაც სიცოცხლე იწყებოდა...
იქ, სადაც ტკივილი იბადებოდა.

✹ ✹ ✹

ჯერ ჩავიმუხლე
მერე დავიჩოქე და ჩოქვით გავუდექი გზას.
.....

გზა ყველაფერს ჰგავდა,
კლდის მახვილ ნატეხებს,
მთის ბილიკებს
მოთიბულ მჩხვლეტავ მინდორს.
ალაგ-ალაგ მზეს ემსგავსებოდა ამოსასვლელად გამზადებულს.
.....
ის თან მომყვებოდა,
არსად ჩანდა, ვერავინ ხედავდა.
მხოლოდ ჩემს გულს ჩასდგომოდა შიში,
ფართოდ გახელილ თვალებში,
სისხლი რომ წმენდდა ცრემლებს.
.....
ყველგან იყო ჩემში.
შენშიც.
მასშიც რომ არ ეგონა,
რომ არ იცოდა, ჯერ რომ ვერ გრძნობდა.
.....
ზოგჯერ ბასრი კბილებით რომ გაგლეჯდა საძილე არტერიას,
ცოტა ხნით მიყუჩდებოდა...
უცნაურად გტკიოდა ჭრილობა.
ვერ გრძნობდი სად, ვერც ჭრილობას ხედავდი,
მაშინაც კი უტიფრად სახეში რომ გცემდა
სულის გაფითრებამდე.
მხოლოდ თვალებს და მუხლებს არ ეხებოდა ჩემსას,
გზის გაგრძელება რომ შემძლებოდა ჩოქვით.
.....
სადღაც იქვე,
ყველაფერს რომ ჰგავდა იმ გზის პირას,

ქვაზე ჩამომჯდარი ელოდებოდა...
ჩუმი სინანული...
ის,
კლდეებს შორის ჩაჩეხილა.
ნაფლეთებად ქცეულა უტყვი ტკივილი.
.....
გზა, რომელიც ყველაფერს ჰგავდა,
განსაკუთრებით ჰგავდა მზეს.

✹ ✹ ✹

ხელები მტკივა.

დაკოჟრილი.
შეშუპებული.
ნაოჭებში ჩამალული დაღლილობით.
.....
უნებლიედ გადაისვა მიწიანი ხელი,
ალაგ-ალაგ ჭაღარაშეპარულ თმაზე.
სევდას უფრო ჰგავდა, ვიდრე დარბაისლობაში მიმავალ ბილიკს.
შემდეგ ნაწნავს ჩამოაყოლა ხელი.
ჩამოვარდნილი თმის ღერი სწრაფად გადამალა ყურს მიღმა.
.....
ალაგ-ალაგ შეერია მიწის ნაფშვენი.
მირკანი თვის დედამიწას დაემსგავსა
ნაზამთრალ რუსთან შემორჩენილი თოვლით.
.....
წყურვილი კლავდა.
წყლისა და სიცოცხლის.
ხარბად დაეწაფა ნაზამთრალ რუს.
გამომშრალი ტუჩებით სრუტავდა სიცოცხლეს,

წვეთობით.
.....
მტკივანი ხელებით მოუკიდებია ზურგზე სამყაროს დარდი.
წინ, გულისკენ.
ნადედარი სანიშნეებისკენ გადმოუგდია შავი ნაწნავი.
ზურგზე რომ იკლაკნებოდა, ის.
.....
ხელები კი ძალიან მტკიოდა.
დედამიწის ამოგლეჯილი გული მეჭირა ხელში

✹ ✹ ✹

როგორ არ მინდოდა ჩემი დასერილი ხელისგულები რომ გენახა,
თანდათან რომ იცლებოდა სისხლისგან...
წვეთობით გადმოდიოდა ალისფერი სისხლი...
და თითებს შორის, ნაკეცებში იღვრებოდა.
დასერილ ხელისგულებში ქანცგაწყვეტილი ნერვი მოჰყოლია
ერთი...
თითებს ხელისგულებთან რომ აკავშირებდა ის ნერვი...
თითქოს სულს ჰგავდა...
ცნობიერებით ნაცრისფერს,
ქვეცნობიერით ჭანგა-ბალახით გარშემორტყმულს..
გასაქანს რომ არ გაძლევს...
ნერვულ წნულებს რომ წყვეტს,
ჩამოტეხილი მზის სხივებით საკუთარ მზის წნულს რომ
ჩხვლეტს...
დასერილ ხელისგულებს მლაშე ცრემლით რომ წმენდს და...
მოძრაობა შეუწყვეტიათ თითებს.
ჯერ საკუთარი თავი დაუჩეხიათ.
მერე ერთმანეთი.

დიდხანს ებრძოდნენ თურმე ტკივილს.
გულმა მომიტანა ამბავი,
თვალების ფსკერში ჩაღწევას ლამობდაო სიკვდილი.
ძლივს სუნთქავდა ჩემი ქვეცნობიერი.
.....
როგორ არ მინდოდა ჩემი დასერილი ხელისგულები რომ გენახა,
თანდათან რომ იცლებოდა სისხლისგან.

✹ ✹ ✹

მძიმე იყო მისთვის ცხოვრება,
იმდენად მძიმე...
თვალის კუთხიდან გამოპარული ცრემლი...
ტუჩის კუთხეში იკარგებოდა უმალ.
ცისარტყელას ჰგავდა მისი ბედნიერება,
თითქოს იყო და თითქოს არ იყო.
ძალიან უნდოდა ცისარტყელას მისწვდომოდა...
ხან მზის სხივს გაყვებოდა თვალდახუჭული
ხან ჩიტებს...
ხან წვიმის წვეთებს შეერეოდა ხოლმე მისი არაადამიანური
სევდა...
.....
საკუთარ სხეულში ადამიანის გული ჩაედგა ტკივილს,
ჩემთვის რომ მოეპარა ის გული.
ბედნიერების თამაში შეეწყვიტათ ჩიტებს.
ნაცრისფერ ჰორიზონტს შერწყმოდა ნაირფერება ცისარტყელა.

✹ ✹ ✹

თვალი დაუხუჭავს გონებას...
ქვეცნობიერისთვის მიუნდია საკუთარი აღსასრული...
გაზაფხულის გამთბარ მიწაზე უეცრად აფუსფუსებულ
ჭიანჭველებს დამსგავსებია მოუსვენარი აზრები...
ნელი სვლით იკლაკნებოდა თვალდახუჭული გონებიდან
ქვეცნობიერში...
ერთი, უკეთური აზრი...
სამარადჟამო სამყოფელს ეძებდა.
გაუსაძლისად სტკიოდა გონებას...
ეს ერთი, გზააბნეული აზრი!
დუმდა გონება, თვალი დაუხუჭავს. თვალის გუგების ტკივილს
გრძნობდა.
მძიმე იყო, გუგებს დაწოლილი სამყაროს ხელი.
ისე აწვებოდა თითქოს დედამიწის კაპილარებზე დაკიდებული...
შავკაკლიანი გუგების ჩაწყვეტას ლამობდა...
საუკუნეებს შორის, უფსკრულში ჩაჩეხილ გულს რომ დასწეოდა...
.....
ქვეცნობიერის კივილს ჩაეხშო მდუმარება.
ნერვებზე აკიდებული გული დაგორავდა...
ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის... უკეთური აზრი დარაჯობდა
ერთი... მოფუსფუსე ჭიანჭველები გაუჩინარებულიყვნენ
დედამიწის ნაპრალებში... თვალი დაუხუჭავს გონებას.
მძიმედ აწვებოდა სამყაროს ხელი.

✷ ✷ ✷

პატარა იყო. დიდი სამყაროს წინაშე.
დიდი გული და დიდი კაცის მხრები ჰქონდა.
გულს უკან დამალული დიდი ტკივილი.
დიდრონი თვალებიდან რომ იმზირებოდა დიდ სამყაროში.

.....
ცისარტყელა უყვარდა.
დედის კალთაში თავს ჩადებდა და დაუსრულებლად გაჰყურებდა ჰორიზონტს...
სხეულით დედის გულის ფეთქვას გრძნობდა...
მარადიული რომ ეგონა.
დედის თბილ ტუჩებს...
კისერში რომ ჰკოცნიდა გამუდმებით.
დედის დაკოჟრილ ხელებს...
მხოლოდ ჰორიზონტს გაჰყურებდა, თვალს არიდებდა მის ფერფლისფერ სახეს...
.....
თანდათან შორდებოდა მარადიულობის შეგრძნება,
თითქოს აღარც ცისარტყელა უყვარდა ისე ძალიან...
ახლაც იქ დგას. მზედქცეული ცისარტყელას წინაშე.
გუშინაც იქ იდგა. არც ხვალ აპირებს წასვლას.
ჩვენ, მხოლოდ ზურგს ვხედავთ.
სამყაროსხელა გამხდარიყო მისი გული.

✹ ✹ ✹

საკუთარ სულში რომ ჩაიხედა,
ჩიტების ჟღურტულის ხმა ცისარტყელას შემოეხვია ცის კაბადონზე...
საქანელასავით ირწეოდა ცისარტყელა ზედ შემომსხდარი მოჟღურტულე ჩიტებით.
სხვადასხვა ფერს სხვადასხვა ჩიტი დაჰპატრონებია.
ფერიდან ფერზე რომ გადახტებოდა,
ცის სარტყელისკენ მიმავალი მარადიული გზა ტყის პირიდან,
გვერდით ხორბლისთავთავებიანი მინდვრისკენ გადაუხვევდა
მწიფე თავთავების სანახავად, დედამიწისკენ რომ დაეხარათ
მოკრძალებით თავი.

.....
ხელ-ფეხ გაშლილი იდგა ადამიანი,
მზისკენ პირ-სახით. თვალდახუჭული.
დაკოჟრილ ხელისგულებზე ელამუნებოდა ღრუბლებს შორის...
გამოპარული ერთი ცალი სევდის მზის სხივი.
გამომშრალ ტუჩებს ნახეთქებში ეწვეთებოდა მარადიული ცრემლი.
ცის და ადამიანის.
ცისარტყელისკენ მიმართული მზერა,
მოჟღურტულე ჩიტების მსგავსად ფერიდან ფერზე გადადიოდა...
ხან შემოდგომა დგებოდა მასში, ხან გაზაფხული.
ღრუბლებმა ცა რომ გადაიარეს,

ცალ მუხლზე ჩაიმუხლა ადამიანმა,
შიშველ ტერფებს ალაგ-ალაგ,
გაზაფხულის მიწის ნაფშვენი შემორჩენოდა,
ცის ცრემლი რომ ეწვეთებოდა ზოგჯერ.
დედამიწაზე მოსიარულე სევდა...
მარცვალ-მარცვალ ეზიდებოდა სიკეთეს და მადლიერებას,
მარადიულად ქცეულ ტკივილს.
ადამიანური გრძნობებით შეემოსა სევდას ადამიანი.
.....
საკუთარ სულში რომ ჩაიხედა,
ჩიტების ჟღურტულის ხმა ცისარტყელას შემოეხვია ცის
კაბადონზე...

✹ ✹ ✹

ორი თვალი ჰქონდა, როგორც ყველას.
მაგრამ მისი თვალები არ ჰგავდა სხვის თვალებს.
ერთ თვალში ცა ჩანდა,
მეორეში დედამიწა...

როცა ერთ თვალში წვიმდა,
მეორე, ფართოდ გახელილი თვალი...
ხარბად ისრუტავდა საკუთარ ცრემლგამშრალ ფსკერში ჩამავალ წვეთებს.
.....
ნაცრისფრად მოქუფრულა ცა,
ელვას და ჭექა-ქუხილს გულის კედლები გაუხეთქია,
შუასაყარში გადმოწვეთებულ სისხლს,
ცის თვალი წითლად შეუღებია.
.....
დიდხანს უმზერდა დედამიწის თვალი...
მზის სხივებს დაეძებდა მასში,
ლილიფარას რომ ჰგავდა იმ მზის სხივებს...
შუაზე გაეხლიჩა მზე ელვას,
ლილიფარას მარცვლებივით სცვიოდა ნატეხები.
.....
დუმდა დედამიწის თვალი,
ტკივილს გრნობდა,
მზის წნულს დაეძებდა სხეულში ჩამოტეხილი სხივი,
გზა გაუკვალავს დედამიწის თვალს.

✹ ✹ ✹

ხელები:
ერთი წყვილი... ორი, სამი, ოთხი.
.....
ვეძებ.
ვაკვირდები.
ვპოულობ.
ვათვალიერებ: უსიცოცხლო, საოცრად უცნაური.

ძარღვებით და ნერვებით დამძიმებული.
დედამიწის შუაგულს რომ „ჩაწვდება“, ისეთი გრძელი თითები, განსაკუთრებით საჩვენებელი (მხოლოდ განგებამ თუ იცის მისი დანიშნულება). აქა-იქ ჩაქცეული სისხლი. თრომბები, ირგვლივ კაფსულებით („პათოლოგიურ ორგანიზაციას“ უწოდებს მედიცინა)
მკვდარი ხელია. გასული საუკუნის.
შიში მიპყრობს.
ცოცხალ ხელს ვეძებდი, თან ერთს კი არა, წყვილს... ერთს, ორს, სამს... სიცოცხლით სავსეს.
.....
უცებ ამოძრავდა. დედამიწას ჩაებღაუჭა.
არ მეშინოდა. ვიცოდი, ასე ღრმად სიკვდილის შეგრძნება მხოლოდ ერთხელ თუ შეიძლებოდა.
შეკრთა დედამიწა. იუცხოვა.
ვერ აღიქვა: მკვდარში ცოცხალი.
ეფერებოდა, სრესდა, ამაოდ იკლაკნებოდა ადამიანის მკვდარი ხელი.
მხოლოდ იფშვნებოდა მიწა.
.....
წარსულმა იფეთქა ჩემში. კვლავ შევიგრძენი როგორ დაკარგეს სისხლძარღვებითა და ნერვებით სავსე ადამიანის ხელებმა სულიერება.
ცოცხალი ხელი ადამიანის ჩონჩხის ერთ-ერთ ანატომიურ ნაწილად „manus“-ად იქცა, რბილ ქსოვილებსა და მგრძნობიარე ბოჭკოებს მოცილებულ მტევნად.
შეირხა დედამიწა.
დანებდა. შეიცხადა.
იგრძნო: აგონიაში იყო... ახლა კვდებოდა.

აღარ იფშვნებოდა დედამიწა. ვნება აღეძრა.
იტანჯებოდა. ცივი სხეული ეხებოდა.
უგრძნობი ხელი... მისგან ტკივილს გრძნობდა,
უსიამოვნოდ გაქვავებულ თრომბებს...
არ ეშვებოდა. გაცოცხლდა თითქოს.
დედამიწა უკვე ტიროდა.
იქაურობა თითქოს ვნების და ტკივილის სამყაროდ იქცა...
.....
უცებ მოეშვა ხელი.
გაიბრძოლა.
დადუმდა მიწაც. გუგუნი ისმოდა.
ადამიანის სულს გლოვობდა მიწის სული...
ხელები:
ერთი წყვილი... ორი, სამი, ოთხი.
.....
ვეძებ.
ვაკვირდები.
ვპოულობ.
ვათვალიერებ:
მოძრაობენ: საოცარი სისწრაფით, სხარტად...
მიზანმიმართულად.
ნაოჭებს ვუპირებ დათვლას... ვერ ვასწრებ.

* * *

„ჩემი მახინჯი ფეხები...
მიმაქანებენ... ასე მგონია, სამყაროს აღსასრულისკენ
.....
შიგნით, უსასრულო სივრცისკენ შებრუნებული მუხლები.

წვივების ნაცვლად ძვლები...
ზედ გადაკრული ნახევრად მკვდარი, აქერცლილი კანით...
ირიბად დაკლაკნილი ვენებით, დედამიწას მიჯაჭვული ტერფები...
თითები არათანაბარი სიგრძის...
ერთმანეთში გადახლართული...
მკაფიოდ გამოხატული ტოფუსები...
შემაწუხებელი პოდაგრა.
თითქოს ჩემთვის მოუცლია-ო განგებას...
.....
თვალებით მივხვდი.
თვალებმა თვალები იაზრეს ღრმად...
მათში დანახული შიმშილი, სიკვდილი, ცრემლი...
სიცოცხლის სურვილი... უძლიერესი... უდიდესი ცეცხლისფერი მზე.
მოღიმარი სახე... ღიმილის ღარებში ჩაბუდებული ტანჯვით.
.....
ისევ მე... მახინჯი.
გაყინული გონებით და გაყინული გულით.
გუმანით ვხვდები... მე, მახინჯი - ადამიანი.
სხვისი მზერით... ნაუბრით.
.....
„ადამიანებისადმი უნდობლობა მღუპავს, მაგრამ ისინი იმსახურებენ მას“, - უკეთური აზრი გამოთქვა სხეულის რომელიღაც ნაწილმა.

ჩემს გონებაში ურჩხულმა დააღო პირი და გადაიხარხარა: ხა-ხა-ხა
კვლავ გაყინული გული და ცეცხლით დამწვარი ტვინის უჯრედები.
.....

„ჩემი მახინჯი ფეხები... მიმაქანებენ...
ქვეცნობიერად სამყაროს აღსასრულისკენ.
სინამდვილეში... პური, პური!
უამრავი მარცვალი... თავთავიდან მიწაში ჩაყრილი...
უსასრულოდ მზარდი რაოდენობა მწიფე მარცვლების“
იქ... სადღაც.
ხორბლისა და მზის სუნი... სამყაროს დახუთულ სივრცეში.
ადამიანი - ტკივილი,
ჩემი მახინჯი ფეხები... კვლავ უსასრულოდ მიმაქანებენ...

✹ ✹ ✹

ძველი, ხავსიანი კედელი.
უღალატო ბინადარი... ხვლიკი.
ჩრდილოეთით: კედელს მიპარებული, ჩაგუბებული წყალი.
უკვე ჭაობი - თავისებური სამყარო ცოცხალთათვის.
დანაოჭებული ნაპირი,
ჩამოგორებული ნატეხები. ქვის.
.....
გონება-თითქოს გძინავს.
სინამდვილეში: გაორებული ფსიქიკა.
ძილ-ღვიძილის ზღვარს გადასული მამრი სხეული გადაჭდობილი მდედრთან...
როგორც ქვეწარმავალი თხილის ფესვებთან.
ფხიზელი გონება. a - ალფა რიტმით.
მეორე გონება.
როგორც ხვლიკი... კუდით და უკუდოდ.
უკიდეგანო ზიზღი ხვლიკისა, საკუთარი სხეულის მოღალატე ნაწილის მიმართ.

ზიზღი და შეგრძნება მისი...
აღქმა ქვეყნიერების ცეცხლად, მიწად, წყლად.
...არსიც ეს არის...
ჰალუცინაციებისგან გამორკვეული ხვლიკი,
ფხიზელი გონება, მაგრამ კვლავ:
დამსკდარი დედამიწა, ალაგ-ალაგ ნაჩვრეტებით.
შიგ ჩამავალი და ამომავალი ქვეწარმავლები.
ძირითადად ხვლიკები.
ერთმანეთში იხლართებიან, ჩქარობენ, ღელავენ...
გაღიზიანდნენ კიდეც.
სრული ქაოსი.
მათ შორის მძიმე ნაბიჯებით დააბიჯებს ადამიანი.
ხვლიკებს ადამიანობა სურთ!
ხვლიკებს ადამიანობა სურთ!
ადამიანს ხვლიკების „ადამიანობა“ სურს...
თვითონ? - თვითონ ნებდება.
ამიტონ აღელდნენ „კაცობრიობად“ ქცევის ეშინიათ.
გაუჩინარდნენ. ხარხარებს ადამიანი.
მიუხვდა ხვლიკი სხეულს ღალატის მიზეზს...
საქციელს რთულს, ღრმას, ფსიქოლოგიურს, საუკუნეებით ნააზრევს.
სხეული გადაარჩინა. თვითონ?!
როგორც დედა თავის პირმშოს: საკუთარი სხეულისა და სულის ნაწილს.
პირმშო - თითქოს მოღალატე. რად დასტოვა კაცობრიობის უზარმაზარ მგრძნობიარე ნაწილად ქცეული დედის მუცელი?
.....
მკვდარი სხეულებით სავსე დედამიწა.
მკვდარი სულებით დამძიმებული ჰაერი.

გაორებული სამყარო და...
უღალატო ბინადარი მისი, ადამიანი...
უშველებელი მზითა და ბრძენი ქვეწარმავლებით გარემოცული.
.....
ძველი, ხავსიანი კედელი.
უღალატო ბინადარი... ხვლიკი.
ჩრდილოეთით: კედელს მიპარებული, ჩაგუბებული წყალი.
უკვე ჭაობი - თავისებური სამყარო ცოცხალთათვის.
დანაოჭებული ნაპირი,
ჩამოგორებული ნატეხები. ქვის.

✹ ✹ ✹

გახლეჩილი გონება
სიგიჟე და სიმშვიდე.
გაორებული პიროვნება, როგორც სამყარო
მე და შენ.
დრო-და-დრო...
მე და მე. ჩემში საკუთარი თავი დანახული გარედან შიგნით...
დედამიწიდან მის წიაღში.
ვხედავ... მას.
მის ბუნებას.
შეშფოთებული ვაკვირდები. ნუთუ?! - ადამიანი!
ის არის. ვიცანი.
ნაოჭები და ცრემლიანი თვალები...
მძიმე შრომისგან უკვე წელში მოხრილი და მაინც...
შავი მიწისთვის უკოცნია სულ ახალგაზრდას...
ბაგეებს შერჩენია ალაგ-ალაგ მიწის ნაფშვენი.
მიყუჩებული ცოცხალი ვიგრძენი ჩემში.

სული!
დაღლილი, გამოფიტული... ჯერ მშვიდი.
შეშლილობამდე მისული დაღლილობა სულისა.
მეც ვიგრძენი, მანაც.
კვლავ: მე და მე
ზღვარს მიღწეული გაორება.
.....
გამჭოლი მზერა... ჩემიდან
თაფლისფერი თვალები.
მათში გამომკრთალი სხივი ნათელი.
დედამიწის გასათბობად წამოსული.
კვლავ ზღვარი.
სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი.
სიგიჟე და სიმშვიდე.
ამბობენ: უზარმაზარი თვალები აქვსო სიმშვიდეს!
მე და შენ.
ცეცხლი და წყალი.
ხორბლისფერი კანი და ჩრდილისფერი სული...
.....
საკუთარი სხეული ვიგრძენი.
დედად აღვიქვი. საკუთარ დედად.
დედამიწა კი სხეულის დედობას ითხოვდა...
ერთი უჯრედი ბუმბერაზ სამყაროში.
დასაღუპავად გამიზნული... მაგრამ.
საოცრად სწრაფი... სავსე ძალით და სიცოცხლით.
სული კვლავ ეული... შეშლილობის ზღვარს მიღწეული.
ზღვარი უშველებელი.
შავი და თეთრი... დედამიწის ბჭესთან.

✷ ✷ ✷

მშიერი თვალები

ვხედავდი თვალებს... უზომოდ ღრმას.

ვგრძნობდი მისი სიღრმიდან წამოსულ უცნაურ ტკივილს.

.....

ტკივილი! ასეთი მწველი და ასეთი ნაცნობი.

გრძნობა განსხვავებული და მედიდური.

ნერვულ ბოჭკოთაგან აღმოცენებული და გაზრდილი...

და მაინც... საოცრად შორი... სულიერი

.....

ტკივილი!

ტ-კივილი.

კივილი! ტ ანის თუ ტ ვინის,

გონების თუ სხეულის?

სივრციდან, დედამიწიდან გავყევი იქ...

თვალების სიღრმეში, ფრთხილად ჩავუყევი ფესვებივით

დაკლაკნილ და განტოტებულ არტერიებს, ვენებს...

იმპულსებით ვიგრძენი გული, აორტა.

„ტ“-მ იკივლა მასშიც.

მდუმარედ შემხვდნენ, უსიტყვოდ...

ხმა თუ ისმოდა სისხლის... მდორედ მოედინებოდა ისიც.

სიმშვიდე დამეუფლა ავისმომასწავებელი.

.....

გულის შეკუმშვამ გამომაფხიზლა თითქოს. ჩანჩქერივით

გადაისროლა სისხლი მოდუნებულ აორტაში...

შიშმა შემიპყრო...

უჯრედებისკენ ეჩქარებოდა სისხლს, ორგანოებისკენ.

საკვები მიჰქონდა დედამიწის მშიერი შვილებისთვის.

.....
ახლაღა მივხვდი. სწორედ ეს ჩანდა იქ... თვალებში: ურცხვად იმზირებოდა სამყაროში შიმშილი...
გაფაციცებით ათვალიერებდნენ გზა-შარას მშიერი თვალები.

✹ ✹ ✹

მაშინ,როდესაც...
უთქმელად გრძნობდა გადახრუკული მინდვრების სევდას..
მაშინ, როდესაც ტკბილმოუბარი ჩიტი-ჩიტუნა თავს აწონებდა, დაფრთხიალებდა...
და საკუთარი ბუდეს დასტრიალებდა...
ის იდგა. უფრო სწორად ცდილობდა მინდვის ბოლომდე მიეწვდინა თვალი...
თითქოს მისი ცხოვრების წუთები იქ ილეოდა...
ბოლო წამის შეგრძნება სურდა...
თიბათვეში შემთხვევით მოცელი ბაყაყურების მსგავსად.
ნაბიჯ-ნაბიჯ იწევდა წინ...
ფეხის თითებით ცდილობდა ფხვიერი მიწის შეგრძნებას, ალაგ-ალაგ კენჭები ხვდებოდნენ... მისი მზერა კი მინდვრის ბოლოში იკარგებოდა...
.....
მდინარე მორაკრაკებდა მთის...
წყლისფერი შხეფები ქვებს ეხეთქებოდნენ ავისმომასწავებლად...
მხოლოდ ერთი, მორაკრაკე მდინარის ყაყაჩოსფერი კლაკნილი იპარებოდა სევდიანად კენჭებს შორის...
თავწაწყვეტილი ბაყაყურები მოჰყვებოდნენ მდუმარედ.

✹ ✹ ✹

დაიბადა და ერქვა სირცხვილი.

დაბერდა, გაწლებიანდა, გარდაიცვალა,
მაგრამ მაინც სირცხვილი ერქვა.
დადიოდა, დალასლასებდა,
სუნთქვაშეკრული დაიპარებოდა:
აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის
სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის.
ხან ჟანგბადს შეჰყვა ჩასუნთქვისას,
დაუღალავად ეჭიდებოდა არტერიებს, ვენებს, კაპილარებს...
ხან ქარაშოტად მოევლინა ადამიანებს და მათი, ქვიშითა და ცრემლით ამოვსებული თვალებით ტკბებოდა თვითკმაყოფილი.
ხან ყანაში იმალებოდა და გადათელილი, ყაყაჩოებით გადასისხლიანებული მდელოც არაფრად მიაჩნდა...
ერთხელ ლილიფარასაც დაემსგავსა...
მაგრამ ჩიტებმა მარცვალ-მარცვალ ამოკორტნეს მზის თავი!
ასე დადიოდა!
სანამ დედამიწამ, უტიფრობით უგონოდ მთვრალს მკვახედ არ მიაძახა:
„იქნებ მოვიდა სირცხვილო, დრო შენი?..“

✹ ✹ ✹

„ასე ვერ იქნებოდა“- ხმამაღლა გაიძახოდა დედამიწაზე უგზო-უკვლოდ მოხეტიალე მზერა, საკუთარ თვალებში ჩაბუდებული სევდის დანახვისას...
თითქოს იცნო,
თითქოს „არა“
თითქოს „ვერა“
.....

სევდა კი ფართოხელისგულებიანი მტევნებით მოსჭიდებოდა თვალის გუგებს. ქვის ხანა დაბრუნებულა თითქოს.

.....

კლდოვან ნაპრალებს დამსგავსებია მობიბინე ყანები...

ქვის სვეტებად ქცეულიყვნენ მზე-გამწყრალი ლილიფარები.

მზერა კი ხმამაღლა, მთელი სამყაროს გასაგონად გაჰკიოდა საკუთარ გუგებს მოჭიდებული სევდის დანახვისას...

„ასე ვერ იქნებოდა“,

„ასე ვერ იქნებოდა“,

„ასე ვერ იქნებოდა“

.....

ქვის ნატეხები ურცხვად ჩხვლეტდნენ ადამიანების აუძლურებულ გულებს!

✹ ✹ ✹

ჩიტს ჰგავდა. პატარას. პატარა გული პატარა ჩიტს.

შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა შიშისგან...

შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა სიხარულისგან...

შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა სევდისგან,

შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა ტკივილისგან და...

ფრთამოტეხილი პატარა გული...

ბოლოს ისევ საკუთარ გულისთქმას უგდებდა ყურს...

დაიარებოდა საკუთარ სხეულში, თავად რომ აცოცხლებდა...

დაიარებოდა საკუთარ ქვეცნობიერში, მისსავე არსებობას რომ ახსენებდა...

დაიარებოდა ფიქრებში, შენზე ფიქრს რომ უკრძალავდა...

და თავად, კი ძალიან ჰგავდა ჩიტს. პატარას.

პატარა გული პატარა ჩიტს...

✷ ✷ ✷

სულო ჩემო, ჩემი სახის მწერლად რომ ქცეულხარ და...
ადამიანებისთვის მიგინდვია მისი ამოკითხვა.
.....
სულო ჩემო, მოუსვენარო...
ათასგვარ ფიქრში გამობრძმედილო,
ჩემი წარსულიდან ჩემს მომავალში,
დედობის სურვილიდან დედობამდე,
თვალუწვდენელ ველებზე მოხეტიალე...
.....
სულო ჩემო, ჩემო მტანჯველო...
ჩემს გახლეჩილ გონებაში რომ შეგიღწევია..
დიდი სიფრთხილით ათვალიერებ დალექილ მოგონებებს,
ვნებაალეწილ სურვილებს,
მზერას აყოლებ თვალს...
და უტიფრად ეზიარები ჩემს საიდუმლოს...
შებინდებისას ჩემს სახეს რომ მიაწერ მალულად...
.....
სულო ჩემო, ჩემო ფაქიზო...
ჩემს გულისცემას რომ უსმენ,
ჩემს გულის ჩქროლვას...
და დუმხარ იქ...
სადაც ზღვარს მისდგომია...
ჩემი სხეულის მოკრძალება...
სულო ჩემო,
ჩემი სახის მწერლად რომ ქცეულხარ და...
ადამიანებისთვის მიგინდვია მისი ამოკითხავა...

.....
მწიფე მაყვლისფერი ნაწნავი იკლაკნებოდა,
ხორბლისფერ ზურგზე...
ქვევით მიემართებოდა... დედამიწისკენ...

✹ ✹ ✹

ფერი შესცვლია ტკივილებს,
შემოდგომის ოქროსფერი დასდებია დარდისგან
გაფერმკრთალებულ ნერვებს...
წინ მიმავალს, მზის ჩამოტეხილი სხივი დასთამაშებდა ზურგზე,
ალაგ-ალაგ ნაცრისფერი სამოსის ნაკეცებში რომ იკარგებოდა.
მისი, მარადიულად ქცეული ნაწნავიც უჩვეულოდ უძრავად
გარინდულიყო სივრცეში...
თითქოს დედამიწის ზურგზე მოთამაშე მზის ჩამოტეხილ
სხივისთვის დაეთმო ადგილი...
ის კი, წინ მიდიოდა. ამაყად, თავმომწონედ.
ან უკან დასაბრუნებელი გზა წაელეკა უეცრად მოვარდნილ
ღვარცოფს.
გზა რომ წაულეკავს და მისთვის გვერდი აუვლია,
თითქოს მზის ჩამოტეხილი სხივს უფრთხილდებოდა.
ის კი, წინ მიდიოდა. ჰორიზონტს უახლოვდებოდა უკვე.
.....
საკუთარ გულს დაეძებდნენ ადამიანები.
დაკარგულ გულს.
.....
ფერი შესცვლია ტკივილებს,
შემოდგომის ოქროსფერი დასდებია დარდისგან
გაფერმკრთალებულ ნერვებს.
მზისფერს ყვავილებს ეპარებოდა მზის ჩამოტეხილი სხივი...

✷ ✷ ✷

თითქოს კოჟრები გასჩენოდა მის დაღლილ გონებას...
გა-ცა-მტვერ-ებულ სივრცეში გაბნეულა მისი ნატიფი ქვეცნობიერი...
ასეთი სავსე მადლიერებით... ზურგზე აკიდებულს რომ დაატარებს დედამიწა...
.....
მისი მაყვლისფერი თვალებიდან იმზირებოდა...
და ტყის ბილიკებს მიუყვებოდა მორცხვად.
უღრან სივრცეში იკარგებოდა ეს ბილიკები...
იქ, სადაც საკუთარ ცნობიერებას საკუთარი ქვეცნობიერი...
ურცხვად ედავებოდა მიწისფერ გრძნობებს, ალისფერ ვნებას, ნერვულ წნულებში გაბმულ ტკივილებს..
მდუმარე დუმილს, ასეთ ხმამაღალს საკუთარ შუასაყარში ჩახედვისას...
გულთან ახლოს, ან გულის უკან...
იქ, სადაც სამყაროს დედას სამყაროს ხერხემალი გამრუდებია მძიმე შრომისგან...
ან იქ, სადაც სამყაროს დედას ორსული დედამიწა უტარებია შენი შობისთვის...
ან იქ, სადაც ვნებაარეულს გზააბნეულისთვის სწორი ბილიკი გისწავლებია...
უღრანი ტყის დაკიდულ ფესვებს...
ან ნერვულ წნულებში გაბმულ ტკივილებს რომ არ დამსგავსებოდა.
ის კი იჯდა... მის მაყვლისფერ თვალებში...
.....
თითქოს კოჟრები გასჩენოდა მის დაღლილ გონებას...
გაცამტვერებულ სივრცეში გაბნეულა მისი ნატიფი ქვეცნობიერი...

ასეთი სავსე მადლიერებით... ზურგზე აკიდებულს რომ
დაატარებს დედამიწა...

✹ ✹ ✹

ტკბილო ჩემო...
დაჰღიღინებდა გახლეჩილი გონება მის ცხოვრებაში უეცრად
შემოჭრილ დუმილს...
საკუთარი გახლეჩილი გონების ხმა ჟრუანტელს გვრიდა და მისი
გონების გზააბნეულ ნაწილს ბაბუაწვერების ბუსუსებივით
ეკვროდა...
არასოდეს რომ დაგვიწყებოდა...
საოცრად სურდა ღრმად ჩაბეჭდოდა ქვეცნობიერში...
შუასაყარში ჩაჰყოლოდა, გულთან ახლოს.
.....
ტკბილო ჩემო...
დაიარებოდა სისხლძარღვებიდან უჯედებამდე,
ხან დარდს, ხან ტკივილს ხან მარადიულობას დაატარებდა...
თვალებში ჩაიმუხლებდა და წამწამებს მოეჭიდებოდა...
ცრემლს რომ არ გადმოჰყოლოდა.
.....
ტკბილო ჩემო...
ახლად შემოჭრილი, მტკიცე, სამუდამო...
საუკუნეებში ჩამავალი და...
ხავსივით მოდებული მის კლდოვან ნებას...

✹ ✹ ✹

დამჭკნარ ყვავილებს მისტიროდა მთის ძარღვიანი მდინარე...
აწითლებულ მდინარეს რომ მოჰყვებდნენ...
ტანმოწყვეტილი გვირილები, შერცხვენილი ყაყაჩოები,
მზისმსგავსი ლილიფარები...

ხავსმოკიდებულ ქვებს გარს ეხვეოდნენ და მდინარის ფსკერზე
დაშვებას ლამობდნენ...
მაგრამ...
გაბრაზებულ, აქაფებულ ტალღებს მხოლოდ მზისთვის
ემეტებოდა ეს ქანცგაწყვეტილი ყვავილები...
.....
ხელებგამოწვდილი ელოდებოდა მზე.
სიკვდილი ენაცვლებოდა დარჩენილ სიცოცხლეს.
ნანინასავით ესმოდა ღამეს:
მზესუმზირა, მზის თავები, მზის გული.

✷ ✷ ✷

წისქვილის ქვასავით ლეწავდა მასში ჩამოწოლილ სიჩუმეს...
დიდხანს დუმდა. ჩემში. ის.
უსახელო შიშნარევ მზერას რომ კლავდა გამუდმებით...
ირგვლივ მიმოიხედა,
უცხოს ეძებდა თითქოს,
მაგრამ ჩემი თვალების სიღრმეში ჩაბუდებულ შენს მზერას
წააწყდა...
.....
დაიმონნა ის.
დაემონა მას.
ნაკუწებად ქცეული სიჩუმის ნაწილაკების ძებნას შეუდგა
.....
საკუთარ თავს უმალავდა, საკუთარი სისხლის ჩქეფას
საკუთარ თავს უმალავდა ჩემი სისხლის ჩქეფას.
წისქვილის ქვასავით ლეწავდა
მასში ჩამოწოლილ სიჩუმეს ის,
უსახელო შიშნარევ მზერას რომ კლავდა ჩემში გამუდმებით.

✷ ✷ ✷

ადრე უნდოდა დაბადება. რომ დაიბადა და გაწლებიანდა მერე მიხვდა.

გულმა მიახვედრა. გული ქვეცნობიერმა.

.....

ობობას ქსელს ჰგავდა ფიქრებში გახვეული მისი ქვეცნობიერი...

ზურგშექცევით ედგა გონიერებას.

მზის წნულს გრძნობდა მხოლოდ.

საკუთარ ქვეცნობიერში მოკიაფე მზის წნულის ნერვებს.

მისი მაყვლისფერი თვალებიდან რომ ლამობდნენ ამოხტომას.

თვალდახუჭული იდგა. შეუმჩნეველი ხალით ლოყაზე.

ტ-კივილს რომ გაგონებდათ. არსებულს და შეუმჩნეველს.

.....

თვალის ფსკერს შეზრდია.

კაპილარებს შესისხლხორცებია,

მზის წნულის თვალებში მოკიაფე ულმობელი სხივი...

.....

შენს თვალებში შემოღწევას ცდილობდა...

მზის წნულის გასხივოსნებული ნერვი...

ამიტომ იდგა თვალდახუჭული. ის.

საკუთარ თვალის ფსკერს შესისხლხორცებულ ულმობელ სხივებს გიმალავდა.

შენ რომ არ გტკენოდა. შენს მზეს რომ არ ჩამოსტეხოდა სხივი.

ნამდვილ მზეს.

.....

ადრე უნდოდა დაბადება. ერთი წამით. თვალს დახუჭავდა ერთ წამში.

✷ ✷ ✷

თბილი თვალები ჰქონდა.
წაბლისფერი გუგებით.
მეტყველი დუმილით.
ადამიანური სევდით ირგვლივ.
საკუთარ თავს რომ იტევდა ისეთი...
საკუთარ თავს რომ დაინახავდი ისეთი...
.....
შუაზე გაყოფილი მუქი თმა ჰქონდა.
ზურგზე ჩაკლაკნილი ნაწნავით.
გაზაფხულის დედამიწას ჰგავდა...
ხორბლისფერ სხეულზე ამოტვიფრული სანიშნეებით...
.....
ხალი ჰქონდა ლოყაზე. პატარა. შეუმჩნეველი.
ადამიანურ ტკივილს მოგაგონებდათ.
შეუმჩნეველს და არსებულს.
.....
დაკოჟრილი ხელები ჰქონდა. თბილი.
დედამიწის გულს რომ შემოეხვევა ისეთი.
მიწანაფერები იყო ეს ხელები...
ფესვებივით იკლაკნებოდა ხელისგულებზე ხაზები...
თითებს შორის ჩაედინებოდა მორაკრაკე რუს კლაკნილები...
.....
საკუთარი გულისცემა ჩქეფდა მის ხმაში...

✷ ✷ ✷

შენ რომ გინდოდა...
ნაჩქარევად გადაწყვეტილს ჰგავდა
რადგან მხოლოდ მისი უკმეხი პასუხები მესმოდა,
შენ რომ ბავშვობაში სიჩუმედ მიგაჩნდა
ძილღვიძილის ზღვარზე მყოფს,

სინამდვილეში საათის წიკწიკი იყო...
სწორედ ის არ ასვენებდა შენს ქვეცნობიერს.
ურცხვად გითვლიდა უჯრედებს...
საათებში ზომავდა შენი სიცოცხლის გზას!
შენ რომ აღმავლობად მიგაჩნდა,
გიორგობისთვის გაშიშვლებულ ხეზე აცოცებას ჰგავდა.
შენი დაჩოქილი კვნესა ესმოდა სამყაროს...
შენ რომ...
შენ რომ...
შენ რომ...
საკუთარი გული ხელით გეჭირა,
მაინც ცდილობდი გეცოცხლა, რადგან...
შენ, ზურგზე აკიდებული სევდით დაირები სოფლის წყაროდან,
ახლდაგადახნულ მიდვრებამდე... სოფელ-სოფელ...
როგორც დედამიწის წიაღიდან ამოხეთქილი ლავა.

✹ ✹ ✹

კაცის ცრემლი...
მძიმედ დაგორავდა თვალის ფსკერზე,
ტკივილით შეწებებულ ქუთუთოებს მიღმა...
ბოლოს გზა მოძებნა და წამწამებს გამოყვა...
სახეზე ნაოჭებს ჩამოჰყვა, ტუჩის კუთხესთან დაგუბდა და
დადუმდა!
.....
კაცი კი იდგა!
თვალდახუჭული. მუშტებშეკრული.
ძირს, დედამიწაზე ჩამოგორებული გულით...
დამსკდარი ალვეოლებით სუნთქავდა უკეთურობით დამძიმებულ
ჰაერს!

იდგა, თითქოს მუხლმოსადრეკად გამზადებული,
ირგვლივ მიმოფანტული კლდის ნატეხებით!
უტიფრად იბრძოდა ჭექა-ქუხილი ელვით დასერილ ცაზე...
უხვად მოფენილიყო სველ დედამიწაზე მეხდაცემული ხეები!
.....
კაცი კი იდგა!
დადუმებული ცრემლით ტუჩის კუთხეში...

✷ ✷ ✷

ჩემს ცეცხლმოკიდებულ ეზო-კარს ისე აუარე გვერდი...

ვიცოდი, არ იცოდი სამყაროს დარდი რომ იწვოდა...
არც მაშინ მოგიხედია, თავჩაქინდრულმა ვარდებმა ბოლო
ამოსუნთქვის კვამლისფერი სურნელი რომ შემოგაფრქვიეს...
ნასაუკუნარ გზას მიყვებოდი და ქვებს თვლიდი...
ერთი საუკუნე, ორი საუკუნე, სამი საუკუნე...
მალულად იხედებოდი უკან.
ოხშივარი ასდიოდა შენს სურვილებს, შენს ვარდდალეულ ვნებას!
სქესი თავისას ითხოვდა, დედამიწა შობას...
.....
მაგრამ შენ, სოფლის აღმართს მიუყვებოდი და გამალებით
ცდილობდი სამყაროს სევდას მოსჭიდებოდი...
შენ ხომ არ იცოდი, რომ ჩემს ეზო-კარში სამყაროს სევდა იწვოდა...

✷ ✷ ✷

სისხლი დუღდა, იბრძოდა...
გაშრა. შეჩერდა, არ მოედინება...
არწივი სულთმებრძოლი...
დავარდნილი, დატანჯული...
სისხლიანი ალიონი.

ძარღვებში სისხლი გაშრა...
ადამიანის კვნესა. წითელი წვიმა.
სისხლი ატბარდა, აგუბდა. დაღამდა.
რატომ? - ერთობა? - არა. - ნდობა? - არა. - აბა რა ?!
.....
დრო, წლები. ძარღვებში სისხლი აჩქეფდა... ამოძრავდა, ამდინარდა. მთის ანკარა წყაროსავით აჩუხჩუხდა, მტკვარივით ადუდუნდა და აბობოქრდა...
აკვანი დაირწა... ბავშვი ატირდა!..
რატომ? - სისხლი სუფთა, წმინდა, სპეტაკი. ერთობა?! - კი, ერთობა!!! გათენდა...“

✹ ✹ ✹

მშიერი თვალები
ვხედავდი თვალებს... უზომოდ ღრმას.
ვგრძნობდი მისი სიღრმიდან წამოსულ უცნაურ ტკივილს.
.....
ტკივილი! ასეთი მწველი და ასეთი ნაცნობი.
გრძნობა განსხვავებული და მედიდური.
ნერვულ ბოჭკოთაგან აღმოცენებული და გაზრდილი...
და მაინც... საოცრად შორი... სულიერი
.....
ტკივილი!
ტკივილი.
კივილი! ტ ანის თუ ტ ვინის,
გონების თუ სხეულის?
სივრციდან, დედამიწიდან გავყევი იქ... თვალების სიღრმეში, ფრთხილად ჩავუყევი ფესვებივით დაკლაკ-

ნილ და განტოტებულ არტერიებს, ვენებს...
იმპულსებით ვიგრძენი გული, აორტა.
„ტ“-მ იკივლა მასშიც.
მდუმარედ შემხვდნენ, უსიტყვოდ...
ხმა თუ ისმოდა სისხლის... მდორედ მოედინებოდა ისიც.
სიმშვიდე დამეუფლა ავისმომასწავებელი.
.....
გულის შეკუმშვამ გამომაფხიზლა თითქოს. ჩანჩქერივით
გადაისროლა სისხლი მოდუნებულ აორტაში...
შიშმა შემიპყრო.
უჯრედებისკენ ეჩქარებოდა სისხლს, ორგანოებისკენ.
საკვები მიჰქონდა დედამიწის მშიერი შვილებისთვის.
.....
ახლაღა მივხვდი. სწორედ ეს ჩანდა იქ... თვალებში: ურცხვად
იმზირებოდა სამყაროში შიმშილი... გაფაციცებით ათვალიერებდნენ
გზა-შარას მშიერი თვალები.

✹ ✹ ✹

ქვეწარმავალი
ძველი, ხავსიანი კედელი.
უღალატო ბინადარი... ხვლიკი.
ჩრდილოეთით: კედელს მიპარებული, ჩაგუბებული წყალი.
უკვე ჭაობი-თავისებური სამყარო ცოცხალთათვის.
დანაოჭებული ნაპირი.
ჩამოგორებული ნატეხები. ქვის.
გონება. თითქოს გძინავს.
სინამდვილეში: გაორებული ფსიქიკა.

ძილღვიძილის ზღვარს გადასული მამრი სხეული, გადაჭდობილი მდედრთან...
როგორც ქვეწარმავალი თხილის ფესვებთან.
ფხიზელი გონება a-ალფა რიტმით.
მეორე გონება.
როგორც ხვლიკი... კუდით და უკუდოდ.
უკიდეგანო ზიზღი ხვლიკისა...
საკუთარი სხეულის მოღალატე ნაწილის მიმართ.
ზიზღი და შეგრძნება მისი...
აღქმა ქვეყნიერების ცეცხლად, მიწად, წყლად.
...არსიც ეს არის,
ჰალუცინაციებისგან გამორკვეული ხვლიკი.
ფხიზელი გონება, მაგრამ კვლავ : დამსკდარი დედამიწა.
ალაგ-ალაგ ნაჩვრეტებით.
შიგ ჩამავალი და ამომავალი ქვეწარმავლები.
ძირითადად ხვლიკები. ერთმანეთში იხლართებიან. ჩქარობენ, ღელავენ...
გაღიზიანდნენ კიდეც
სრული ქაოსი. მათ შორის მძიმე ნაბიჯებით დააბიჯებს ადამიანი.
ხვლიკებს ადამიანობა სურთ!
ხვლიკებს ადამიანობა სურთ!
ადამიანებს ხვლიკების „ადამიანობა“ სურს...
თვითონ? ...თვითონ ნებდება.
ამიტომ აღელდნენ. „კაცობრიობად“ ქცევის ეშინიათ.
გაუჩინარდნენ.
ხარხარებს ადამიანი.
.....
მიუხვდა ხვლიკი სხეულს ღალატის მიზეზს:

საქციელს რთულს, ღრმას, ფსიქოლოგიურს,
საუკუნეებით ნააზრევს.
სხეული გადაარჩინა. თვითონ?
როგორც დედა თავის პირმშოს.
საკუთარი სხეულისა და სულის ნაწილს.
პირმშო-თითქოს მოღალატე.
რად დასტოვა კაცობრიობის უზარმაზარ მგრძნობიარე
ნაწილად ქცეული დედის მუცელი?
მკვდარი სხეულებით სავსე დედამიწა.
მკვდარი სულებით დამძიმებული ჰაერი. გაორებული სამყარო და...
უღალატო ბინადარი მისი, ადამიანი...
უშველებელი მზითა და ბრძენი ქვეწარმავლებით გარემოცული.
ძველი, ხავსიანი კედელი.
ერთგული ხვლიკი.
ჩრდილოეთით: კედელს მიპარებული, ჩაგუბებული წყალი
უკვე ჭაობი - თავისებური სამყარო ცოცხალთათვის.
დანაოჭებული ნაპირი.
ჩამოგორებული ნატეხები... ქვის.

✹ ✹ ✹

ხელები.
ერთი წყვილი... ორი, სამი, ოთხი...
ვეძებ
ვაკვირდები
ვპოულობ.
ვათვალიერებ... უსიცოცხლო, საოცრად უცნაური.
ძარღვებითა და ნერვებით დამძიმებული.
დედამიწის შუაგულს რომ ჩასწვდება, ისეთი გრძელი თითები.
განსაკუთრებით საჩვენებელი

(მხოლოდ განგებამ თუ იცის მისი დანიშნულება)
აქა-იქ ჩაქცეული სისხლი. თრომბები. ირგვლივ კაფსულებით („პათოლოგიურ ორგანიზაცია“-ს
უწოდებს მედიცინა)
მკვდარი ხელია. გასული საუკუნის.
შიში მიპყრობს. ნაოჭებს ვუპირებ დათვლას... ვერ ვასწრებ!
ცოცხალ ხელს ვეძებდი, თან არა ერთს: წყვილს...
ერთს, ორს, სამს... სიცოცხლით სავსეს.
უცებ ამოძრავდა. დედამიწას ჩაებღაუჭა.
არ მეშინოდა. ვიცოდი ასე ღრმად სიკვდილის შეგრძნება მხოლოდ ერთხელ თუ შეიძლებოდა.
შეკრთა დედამიწა. იუცხოვა.
ვერ აღიქვა მკვდარში ცოცხალი.
ეფერებოდა, სრესდა, ამაოდ იკლაკნებოდა ადამიანის მკვდარი ხელი. მხოლოდ იფშვნებოდა მიწა.
წარსულმა იფეთქა ჩემში. კვლავ შევიგრძენი როგორ დაკარგეს სისხლძარღვებითა და ნერვებით სავსე ადამიანის ხელებმა სულიერება.
ცოცხალი ხელი, ადამიანის ჩონჩხის ერთ-ერთ ანატომიურ ნაწილად manus-ად იქცა, რბილ ქსოვილებსა და მგრძნობიარე ბოჭკოებს მოცილებულ მტევნად.
შეირხა დედამიწა.
დანებდა.
შეიცხადა.
იგრძნო.
აგონიაში იყო... ახლა კვდებოდა.
აღარ იფშვნებოდა დედამიწა. ვნება აღეძრა.
იტანჯებოდა. ცივი სხეული ეხებოდა.
უგრძნობი ხელი... მისგან ტკივილს გრძნობდა.

უსიამოვნოდ გაქვავებულ თრომბებს.
დედამიწა უკვე ტიროდა.
იქაურობა თითქოს ვნების და ტკივილის სამყაროდ იქცა.
უცებ მოეშვა ხელი.
გაიბრძოლა.
გველივით დაიკლაკნა.
დადუმდა მიწაც. გუგუნი ისმოდა
ადამიანის სულს გლოვობდა მიწის სული...
ხელები.
ერთი წყვილი... ორი, სამი, ოთხი...
ვეძებ
ვაკვირდები
ვპოულობ.
ვათვალიერებ...
მოძრაობენ: საოცარი სისწრაფით, სხარტად...
მიზანმიმართულად...
ნაოჭებს ვუპირებ დათვლას... ვერ ვასწრებ!

✹ ✹ ✹

დედა, თოვლის ქვეშ თბილა...
.....
საფლავის ჯვარს დამხობილი დედის ლანდი, შვილის ნაკვთების აღდგენას ცდილობდა თითქოს...
ეშინოდა, რამე არ გამორჩენოდა.
მერამდენედ თვლიდა გონებაში მისი თმის ღერების რაოდენობას, მის წელთა სიმრავლეს...
გამალებით ეძებდა ერთს... ცელქობისას სიყვარულით მოწიწკნულს, მონატრებულს.
.....

ტკივილი კლავდა მეხსიერებას!
კივილი ტკივილს!
.....
ხმის, ნერვებჩაწყვეტილი იოგების ხრიალი ახშობდა მარადისობად ქცეულ „შვილოს“.
ისიც დუმდა, „შვილო“
დედის ლანდიც დუმდა, ჯვარს შემოხვეული დედის ლანდი.
მხოლოდ თოვლის ჭრიალი ისმოდა.
ფეხაკრეფით მოიპარებოდა ის...
დედის მარადისობა რომ უნდოდა.
.....
დედა, თოვლის ქვეშ თბილა!

✷ ✷ ✷

შიში,
ჩუმად, მკვლელივით შემოპარული ადამიანის სულში...
შიში...
წვიმის წვეთებად ჩაწვეთებული, ცრემლებად ქცეულ ნაკადულებში,
ურცხვად გადალესილი თვალების ფსკერზე...
დიდრონი, ნამიანი თვალებით რომ იმზირება სამყაროში...
.....
გრძელ, ფართო მტევნიან ხელებს აფათურებს ირგვლივ...
მტკივანი ეკლიანი თითებით ებღაუჭება დღეს, ღამეს...
ულმობლად ჩხვლეტს ცაზე მოკიაფე ვარსკვალებს...
შემდეგ ელვასავით ეძგერება ადამიანის გონებას და...
იწყებს... ღვთისა და ადამიანებით აკრძალულს...
კლავს... თანდათან... ერთს, ორს... სამს...
ჯერ უჯრედებს... შემდეგ სულს სწვდება...

მკვდარი უკრედებით გაჯირჯვებულ სისხლს მიყვება...
.....
დიდრონი თვალები კი დუმს...
ნერვებდაწყვეტილ გონებას ელოდება...
ნეირონების გაჯარისკაცებას...
ავისმომასწავლებლად დადუმებულა შიში...
დედამიწის ნახეთქებიდან ამოზრდილა...
ხელფეხშეკრული დაიარება ადამიანი...

✹ ✹ ✹

ცალ მხარს მიათრევდა...
მტკიცე ნაბიჯებით.
სწრაფი ნაბიჯებით...
თითქოს დარდს გაურბოდა...
ჰორიზონტს მიღმა ცდილობდა დამალვას.
ტკივილით დასერილი დარდი კი თანსდევდა...
უკანმოუხედავად მიმავალს.
წამიერი ელვა და ჭექაქუხილი უნათებდა წყვიადს...
უჭირდა გზის გაგნება. მაინც მიდიოდა წინ...
ფეხშიშველი, მიწას შეჩვეული ტერფებით...
ალაგ-ალაგ სიმსუბუქეს გრძნობდა...
თითქოს დამალობანას ეთამაშებოდა ის.
დარდად წოდებული...
ჩუმი ნაღველი,
ჰორიზონტს მიღმა ელოდებოდა...
დედიკოსთვალება, წინგამოწვდილი ხელებით...
.....
ქალის სილუეტი მოსჩანდა წინ... გაელვებისას...

გამთენიისას გამოჩნდა აწითლებული,
უკან დარჩენილი ღიღილოების ველი...

✹ ✹ ✹

ისიც ცოცხალია. ჩემსავით.
ისიც იქ. სადღაც სიღრმეში არის მოქცეული...

შუასაყარს, დედამიწასა და სისხლძარღვებს შორის...
როგორც მე, მიწის ფერებაში დაკოჟრილი ხელებით.
ისიც თბილსისხლიანია...
როგორც მე, გულიდან გადმოწვეთებული სისხლის წვეთებით.
მასაც ის ჰქვია, რაც ჩემში არსებულს...
გულისტკივილი.
.....
დედის წიაღში დაბადებული, კივილით მოვლინებია სამყაროს
და უტირია..საკუთარი არსებობის გამო.
.....
მას შემდეგ დაიარება დედის შვილი გულისტკივილი...
დედამიწას შეურჩევია სახელი,
ხან გონებას ებღაუჭება,
ხან ნერვებს ჩამოუვლის შეუცნობლად,
სისხლს შეერევა და სუნთქვაშეკრული სულს ამოჰყვება
ამოოხვრისას...
გულისტკივილი დედის.

✹ ✹ ✹

ვიცი რომ შენც გრძნობ...
სოფლის შარაზე მარგალიტებად გაბნეულ სიტყვის ძალას...

ვიცი რომ შენც გრძნობ ხრიოკ ველებზე მიმობნეულ მადლიერებას...
ვიცი რომ შენც გრძნობ შენს სულს შემოვლებულ ჩემს გულის ბიძგებს...
მიწისძვრის მსგავსად რომ ამოხეთქავს ლავად ქცეულ მდუმარე სურვილებს...
ვიცი რომ შენც გრძნობ ყაყაჩოსყვავილებიან კაბაში ჩამალულ მორცხვ ნაკვთებს.
. . . . . .
სიჩუმეს გუგუნი არღვევდა მხოლოდ, მიწის გუგუნი.
უტყვი მიწის უსიტყვო გუგუნი...
კაბაში ჩამალულ მორცხ ნაკვთებს რომ დამსგავსებია...

✹ ✹ ✹

არავინ იცის რომ დაბერდება, როგორ შეიცვლება მისი ნაკვთები...
არავინ იცის რომ დაბერდება, რას იტყვიან მისი თვალები...
არავინ იცის ჭაღარა თმაში...
მდუმარე, ჩუმი, ქანცგაწყვეტილი ერთი ჭაღარა რამდენ წელს ითვლის...
.....
გამთენიისას დაბერდა სიკვდილი,
მაშინ როდესაც სამყაროს ცრემლით დანამულ სახეზე...
მიწანაფერები კოჟრიანი ხელები აუფარებია სამყაროს დედას...

✹ ✹ ✹

დედას მიყვებოდა, წინ მიმავალს. დახეთქილი ტერფებით რომ ტოვებდა სისხლიან კვალს.

წინმიმავალი დედა სუსტი, მზე-გამწყრალი ხელებით ცდილობდა თითქმის შიშველი სხეულის დაფარვას... თუმცა მწველი მზე მაინც ახერხებდა დაღის დასმას... და იწვოდა დედის სხეული მწველი მზისგან და სული... უკეთურობისგან...
დედა ტკივილს არ იმჩნევდა. არც შვილი. დედას შვილის ტკივილი სტკიოდა, შვილს დედის.
დედა არასოდეს ეძახდა შვილს. მისი სახელი მდუმარედ იმზირებოდა დიდრონი თვალებიდან... ცრემლებად მოუყვებოდა დედის დანაოჭებულ ნაკვთებს...
პურ-მონატრებულ ბაგეებთან შეჩერდებოდა.. დამშრალ, დამსკდარ ტუჩებს დაუნამავდა.
დიდხანს რჩებოდა მისი გემო.მხოლოდ სულს კვებავდა.
.....
დედის თვალებში ჩაბუდებული სევდა კი... მის სისხლიან კვალს მოყვებოდა და უხმობდა. მდუმარედ. დედა გრძნობდა. შვილის შიმშილს. თვალებში ჩახედვის ეშინოდა. შვილის თვალებს და ნიბლია ჩიტებს უფრთხოდა...
.....
პურის ნამცეცებს უგროვებდა საკუთარ სევდას. ჯერ ცალი მუხლით.
წინ მიმავალი დედის ლანდი გაქრა გამთენიისას.
შვილი კი ღიღილოების ველს დაეძებდა, დედის დარდი რომ ელოდა...

✷ ✷ ✷

გამთენიისას გამოჩნდნენ ლანდები...
მაშინ როდესაც მხოლოდ მშიერი მგელი დაძრწოდა...

თოვლით დაფარულ დედამიწაზე...
სამნი იყვნენ, წელში მოხრილები.
ერთმანეთის მიყოლებით მხოლოდ ციცაბო კლდეზე ჩადიოდნენ.
ველ-მინდვრებზე გვერდი-გვერდ,
ხელიხელჩაკიდებულნი მიემართებოდნენ...
არ ვიცი საით.
დედა, მამა, შვილი.
გაცრეცილი პირი-სახე, გაფითრებული ტუჩები,
თვალებში ჩამდგარი სიკვდილი.
თითქოს სისხლი გაყინულიყო სამყაროს სისხლძარღვებში.
გული გაუჩერდა დედამიწას.
შიმშილის ფერი დასდებოდა ადამიანის სიცოცხლეს.
შვილი დროდადრო ჩაიმუხლებდა.
ცალფეხსაცმლიანი, გახსნილთასმიანი...
დედის საკინძეს დაეძებდა...
მთაში, ბარში, მგლის ნაფეხურებში.
დედის თვალები შვილს ვერ ხედავდნენ.
სამყაროს მიღმა სწვდებოდა მისი მზერა...
ყვრიმალებს შორის გამოპარული სიკვდილჩამდგარი თვალებიდან.
.....
გამალებით დასტრიალებდა მგელი ერთ ლანდად ქცეულ,
გაყინულ დედ-მამას შორის გასათბობად მოქცეულ შვილს,
ოდნავ რომ უფეთქავდა გული.
.....
აყვავებული ნუშისფერიყვავილები მიმოებნიათ მათ საფლავებზე.

✷ ✷ ✷

ღიღინით მიუყვებოდა ბილიკს,
სადღაც შორს წყვიადში რომ იკარგებოდა დღესა და ღამეს შორის...

მე ზურგს ვხედავდი მხოლოდ...
ფაქიზს, სუსტს, მოხრილს, თავაწეულს...
თითის წვერებზე, ცეკვა-ცეკვით მიდიოდა.
გზააბნეული გეგონებოდათ. წინ მიდიოდა.
მსუბუქი ნიავი თმას უწეწავდა...
შემდეგ საკინძეს გადაუხსნიდა... მუდამ სველს.
ჩიტის ბარტყები დასტრიალებდენ,
ჯერ ისევ ასდიოდა რძის სუნი, ალბად ამიტომ.
.....
თითის წვერებზე...
ცეკვა-ცეკვით მიდიოდა სიგიჟის ზღვარზე მყოფი სხეული
დამჭკნარი ზამბახებით ხელში,
შვილის საფლავზე რომ დაეკრიფა შებინდებისას...
მიწას შეჰყვარებია მოცეკვავე სხეული...
საუკუნო ადგილი მიუჩენია მისთვის...
მდუმარედ შერევია გამხმარი ზამბახები...

✷ ✷ ✷

ზეაღმართული ხელებით სწირავდა მადლობას უფალს.
ჯერ დაბადებისთვის.
ზეაღმართული ხელებით სწირავდა მადლობას უფალს მოციმციმე
დიდრონი თვალებისთვის...
ზეაღმართული ხელებით სწირავდა უფალს მადლობას
დაუვარცხნელი კულულებისთვის.
.....
ჩუმად, მძიმედ მიაბიჯებდნენ მისი ტერფები...
გულს ვერ გრძნობდა.
ვერც ხელებს. ვერც ტორსს.

ვერც ოღროჩოღრო გზას ხედავდა მისი შუშის თვალები, გაყინული მზერით.
უბრალოდ მიდიოდა. თითქოს. ზეაღმართული უგრძნობი ხელებით. დამოკლებული თითებით ცდილობდა მის ტარებას. პატარა, დამოკლებული თითებით პატარა სხეულის ტარებას... შავი გამეფებულიყო დედამიწაზე. ფერფლის დრო დამდგარიყო...
.....
ქვის ღობეს უახლოვდებოდნენ.
მოწიფული ასაკის ცოცხლადყოფილი...
და ის...
ვისაც ზეაღმართული ხელებით დაატარებდა...
ჩვილობაში დარჩენილი მისი...

✷ ✷ ✷

მის დაღამებულ თვალებს რომ შეხედავდი,
მაშინ ხვდებოდი როგორ სერავდა მწველი ტკივილი მზერას...
შენსკენ ან შენს სიღრმეში მიმართულს...
იმდენად მტკიცეს, რომ შენს ნაკვთებში ასახულ გრძნობებს შუაზე კვეთდა...
.....
შუასაყარში დამალულ გულს უფრთხოდა მწველი ტკივილი...
გამალებით რომ ცემდა მასთან მოახლოებისას...
.....
ნახევრად დანგრეული ღობის ძირში იჯდა თავჩაქინდრული, ჩამოშლილი ნაწნავით...
მზის ხელისგულებზე დადებული საკუთარი გულით...
საკუთარი ხელითვე დარგული კაკლის ხის ტოტები იცავდა სამყაროს უკეთურობისგან...

ღობეს ჩამოცვენილ ქვებს ეფერებოდა დაკოჟრილი ხელებით...
ვერც ერთი გრძნობდა.
ქვეცნობიერში გაცოცხლებული წისქვილის ხმა ენატრებოდა...
.....
მოღალატე მაყვისლფერი თვალები უყვარდა საკუთარ თავში.

✹ ✹ ✹

მას არ ჰყავდა მხოლოდ იმ სოფელში.
თუმცა გრძნობდა მის უარსებო არსებობას.
ძილის წინ განსაკუთრებით. პაწაწინა ხელებს რომ ამოიდებდა
თავქვეშ და გამჭვირვალე ფარდის მიღმა, ვარსკვლავებით
განათებულ გზას გაჰყურებდა უიმედო მოლოდინით...
შემდეგ თვალებს მილულავდა და მის გონებაში საიდანღაც
უეცრად აღმოჩენილ მოკიაფე ვარსკვლავს დაუგდებდა ყურს...
გათენებამდე მასთან რჩებოდა, მის გონებაში.
მის სამყაროშეუცნობელ ქვეცნობიერში.
მაგრამ თენდებოდა და ის...
მას არ ჰყავდა მხოლოდ.
.....
ტკივილს ჰგვრიდა. ფიქრი არა. არც ლოდინი. არც უიმედობა.
წაშლილი მოგონება. გარდაცვლილი ან ვერგაცოცხლებული.
კიბესთან იჯდა ხშირად. ბალახზე.
მოკეცილი მუხლებით. მოკეცილ მუხლებზე თავს დადებდა და
შუბლის სრესას შეუდგებოდა.
.....
ჩიტებთან მეგობრობდა...
დილის ჟღურტულს უთანხმდებოდა...
.....

შებინდებისას ფეხის ხმას ელოდა...
მსუბუქი, ჩიტისტოლას ნაბიჯების ხმას.
ალბად ნიბლია ჩიტს ჰგავდა ის, მას რომ არ ჰყავდა.
ერთი პაწაწინა ჩიტი უყვარდა განსაკუთრებით,
მას ამსგავსებდა.
მოფრინდებოდა, ჩამოჯდებოდა კიბის კიდეზე
და მასთან ერთად ელოდა...
დაღამებამდე ელოდა მასთან ერთად,
შებინდებისას მოკიაფე ვარსკვლავი გამოჩნდებოდა,
ცის კაბადონს გამოსცდებოდა და მის გონებაში შეიპარებოდა...
.....
არ ენატრებოდა. არ იცოდა როგორი იყო მონატრება.
მხოლოდ უცნაური შეგრძნებით ცხოვრობდა.
მდინარის პირას, პატარა კენჭებს რომ ყრიდა წყალში,
ისეთ კენჭებს გრძნობდა პატარა გულში...
მდინარის წყალში დალექილა ბავშვის დარდი...
ქვებს შორის ჩაჩეხილა და დალექილა.

✹ ✹ ✹

აბა, რა გითხრათ?
ჩუმი, ნარნარა საყვედურით ეღუღუნებოდნენ ღიღილოები...
ველზე შემოპარულ სევდას,
წვიმის წვეთებს რომ ჩამოჰყოლია ციდან.
დამსკდარ, დანაპრალებულ დედამიწას,
ისე შეესრუტა ადამიანის სულში,
თანდათანობით დაგროვილი სევდა,
როგორც ნაცრისფერ ღრუბლებს ცის კაბადონი.
.....

დუმდა სევდა, მოკრძალებულად იქცეოდა.
უჭირდა სამყაროს მზერა.
ხან მილულავდა დაღლილ თვალებს,
ხან შიშისგან ფართოდ გახელილი თვალებით ცდილობდა
სამყაროს აღქმას.
ღიღილოებს ველსაც ამიტომ ესტუმრა,
საკუთარი მარადიულობის ეშინოდა.
დამალვას ცდილობდა თითქოს...
თვალუწვდენელ ველს გაჰყურებდა,
თუმცა უჭირდა ნაბიჯის გადადგმა.
ისე შეესისხლხორცებინა დედამიწას.
ცალი ფეხი ჩავარდნოდა ნახეთქებში...
.....
თვალუწვდენელ ველებს შერეული ღიღილოები,
მორცხვი მოკრძალებით შეჰყურებდნენ...
როგორ დაეძებდა სევდა მათში ჩამალულ ტკივილს.
ხან შიშით, ხან გაოცებით...
არარსებული ხელის თითებით ცდილობდა ეგრძნო,
არარსებული მაჯებით ცდილობდა მოემწყვდია საკუთარ
გულთან,
ადამიანს რომ არ გასჩენოდა სახის ნაპრალები...
.....
აბა რა გითხრათ?
ჩუმი, ნარნარა საყვედურით ეღუღუნებოდნენ ღიღილოები...
ველზე შემოპარულ სევდას,
წვიმის წვეთებს რომ ჩამოჰყოლია ციდან.
დამსკდარ, დანაპრალებულ დედამიწას,
ისე შეესრუტა ადამიანის სულში,

თანდათანობით დაგროვილი სევდა,
როგორც ნაცრისფერ ღრუბლებს ცის კაბადონი.

✹ ✹ ✹

მაშინ როდესაც გონება გტკივა...
მუდმივი ფიქრისგან,
სახეს ნაოჭებად აჩნდება წყლის კლაკნილები,
დედამიწას ჩამოქროლებული ფიქრების კორიანტელი
მიწის ნაფშვენებით ავსებდა ღრმა ნაოჭებს,
ნაფლეთებად აქცევდა უკიდეგანო სივრცეში მიმართულ
ტეხილ მზერას,
ურცხვად რომ იმზირებოდა ჩემს გონებაში,
ძალიან რომ უნდოდა ჩემს გულს ჩასწვდომოდა...
გულს მიღმა,
შუსაყარში ჩათესილ ბაყაყურებს კარს მისდგომოდა და...
ელეწა დაუსრულებლად...
ჩემს გულს,
ჩემს სხეულს,
ჩემს კოჟრიან ხელებს რომ ჩასობოდა ეკალი,
ჩემს მიყუჩებულ სულს რომ დასტყობოდა სევდა,
ადამიანის დაკარგვის შიშისგან მარადიულად ქცეული.
.....
ფერა ეცვალა. მასსაც, მის სულსაც.
ტერფებდატეხილ ბაყაყურებსაც,
წყვეტილ-წყვეტილად რომ ეყარნენ სოფლის შარაზე.
ზოგჯერ ფეხს დაადგამდა ადამიანი.
იგრძნობდა, ეტკინებოდა.
ან ვერ იგრძნობდა ისე ეტკინებოდა.
ჩხვლეტას მხოლოდ გულთან იგრძნობდა.

კვნესად ექცეოდა სამყაროს,
ღიღილოების ველზე მოღუღუნე ღიღილოების ღუღუნი...
მაშინ როდესაც გონება გტკივა...
მუდმივი ფიქრისგან,
სახეს ნაოჭებად აჩნდება წყლის კლაკნილები,

✹ ✹ ✹

ცალი ხელი დედამიწისთვის შემოუხვევია,
ცალით კი ცისფერ ცაში დაატარებდა
საკუთარ თავდახრილ მზერას...
ცის სიღრმეში სხვა სამყარო ყოფილიყოს თითქოს.
.....
სინანული მაშინ იგრძნო,
მისმა გულმა კვნესა რომ დაიწყო... და
შვება რომ იყო ჩუმი ტკივილისთვის.
თბილ ხელისგულებს გადაუსვამდა ჩემს გულს
გაირინდებოდა ტკივილის მოლოდინში და
მომაჩერდებოდა დიდრონი თვალებით.
მივხვდი რასაც ეძებდა...
დაჟინებით ათვალიერებდა ყველაფერს ჩემში არსებულს.
განსაკუთრებით მზის წნულს.
მზის წნულში მზის სხივები გახვეულიყო.
ზოგი მთელი, ზოგი ტეხილი...
ტეხილ სხივებზე ადამიანური დარდები დაეკიდა ჩემს
ქვეცნობიერს...
ჰორიზონტამდე რომ აფრიალებდა სული ტკივილი...
ზოგგან დედის, ზოგგან შვილის.
ზოგჯერ კი სიცოცხლე დაიარებოდა ნაიარევი გულით.
სული რომ დამშვიდდებოდა,

მზის წნულს სხივები უმთელდებოდა.
ჩიტებმა ჟღურტული რომ შეწყვიტეს,
მაშინ მივხვდი...
სევდას დაეძებდა.
ჩემში არსებულს,
ჩემს გულსშემოხვეულ სევდას.
.....
თავდახრილ ადამიანს, თავი რომ მაღლა აუწევია
მზერა ვერაფრით მოუწყვეტია საუკუნეებად ქცეული ქვებისთვის...

✷ ✷ ✷

წვეთი...
ვაზის ფოთოლს მოწყვეტილი...
დილის ნამად გაბნეული კორძიან დედამიწაზე...
თითქოს უსუსური...
სინამდვილეში კლდეს ფარულად ჩამოყოლილი და ღვარცოფს
შერეული...
უშიშარი და უჩინარი...
.....
წვეთი, ბასრი... როგორც მახვილი,
როგორც სიტყვა... ჰორიზონტს მიღწეული მზერით.
შორს გასროლილი.
.....
ერთი წვეთი, ერთი სიტყვა, ერთი წამი.
მრავლად ქცეული.
დედამიწის ნაპრალებში ჩაგორებული გულის ნატეხებით...
წვეთი... სისხლის წვეთად ქცეული.

✷ ✷ ✷

მძლავრმტევნიანი ხელით მიმობნეული ახლადაყვავებული ხის ყვავილები... ცეცხლით გადამწვარი, უკეთურობით დანაპრალებული დედამიწის აღორძინებას ამცნობდა სამყაროს...
.....
ტირილი შეეწყვიტათ ჩვილებს, კოცნით ამოეშრო დედას დილის ნამი, სამყაროშეუცნობელ თვალებში...
ფაფუკი თითებით, ჩუმი ღუღუნით ეალერსებოდნენ უშრეტ წყაროებად ქცეულ, დედის ცრემლიან თვალებს...
.....
გაზაფხული დამდგარიყო დედამიწაზე.
უკეთურობის დადუმებას გვაუწყებდნენ მიწას ჩაბღაუჭებული, ჭანგა-ბალახის ამოხეთქილი წვეროები...

✹ ✹ ✹

შიში, ჩუმად, მკვლელივით შემოპარული ადამიანის სულში...
შიში... წვიმის წვეთებად ჩაწვეთებული, ცრემლებად ქცეულ ნაკადულებში
ურცხვად გადალესილი თვალების ფსკერზე...
დიდრონი, ნამიანი თვალებით რომ იმზირება სამყაროში...
.....
გრძელ, ფართო მტევნიან ხელებს აფათურებს ირგვლივ...
მტკივანი ეკლიანი თითებით ებღაუჭება დღეს, ღამეს...
ულმობლად ჩხვლეტს ცაზე მოკიაფე ვარსკვლავებს...
შემდეგ ელვასავით ეძგერება ადამიანის გონებას და...
იწყებს... ღვთისა და ადამიანებით აკრძალულს...
კლავს... თანდათან... ერთს, ორს... სამს...
ჯერ უჯრედებს... შემდეგ სულს სწვდება...
მკვდარი უკრედებით გაჯირჯვებულ სისხლს მიყვება...

დიდრონი თვალები კი დუმს...
ნერვებდაწყვეტილ გონებას ელოდება...
ნეირონების გაჯარისკაცებას...
ავისმომასწავლებლად დადუმებულა შიში...
დედამიწის ნახეთქებიდან ამოზრდილა...
ხელფეხ შეკრული დაიარება ადამიანი...

შვილის გულზე დადებული ხელით გრძნობ სამყაროს
გულისცემას...
მის თვალებში ჩამდგარი აისით თენდება დედამიწაზე...
უგზოუკვლოდ მიიკლაკნება ტყის ბილიკები...
ქალის სხეულში...
.....
დედის სიყვარულს დამსგავსებია...
ღრმად, ნოყიერ ნიადაგში ფესვებგადმული შრიალა არყის ხეები...

✷ ✷ ✷

დამჭკნარ ყვავილებს მისტიროდა მთის ძარღვიანი მდინარე...
აწითლებულ მდინარეს რომ მოჰყვებდნენ...
ტანმოწყვეტილი გვირილები, შერცხვენილი ყაყაჩოები,
მზისმსგავსი ლილიფარები...
ხავსმოკიდებულ ქვებს გარს ეხვეოდნენ და მდინარის ფსკერზე
დაშვებას ლამობდნენ...
მაგრამ...
გაბრაზებულ, აქაფებულ ტალღებს მხოლოდ მზისთვის ემეტებოდა
ეს ქანცგაწყვეტილი ყვავილები...
.....
ხელებგამოწვდილი ელოდებოდა მზე.
სიკვდილი ენაცვლებოდა დარჩენილ სიცოცხლეს.

ნანინასავით ესმოდა ღამეს:
მზესუმზირა, მზის თავები, მზის გული.

✷ ✷ ✷

დედამიწაზე დაღამებულიყო...
ყოვლისმჭამელ ყვავებს დასდგომოდათ ნათელი...
სისხლიანი ხელებით მოსჭიდებოდა სამყაროს... და გულს
კორტნიდა.
გადმოწვეთებული სისხლით იკვებებოდა, მაგრამ ვერ ძღებოდა.
მაინც კორტნიდა...
გლეჯდა ნერვებს, სისხლძაღვებს, ფასციებს...
თანდათან, თავად ეხვეოდა დაგლეჯილ ნერვებსა და
სისხლძაღვებში,
მაგრამ ვერ გრძნობდა...
ვერ გრძნობდა საკუთარ შესუსტებულ გულის ფეთქვას,
და ვერც ხედავდა.
რადგან ცალი, უგრძნობი შუშის თვალი ჰქონდა...
მხოლოდ ერთი მიმართულებით რომ იმზირებოდა...
უკეთურობით მომართული...
დაფლეთილი ხელ-ფეხით მიაბიჯებდა...
და დასისხლიანებული ხელებით ეხვეოდა ყველაფერს რაც გზაზე
ხვდებოდა,
ეკლიან ბაყაყურებს, ბროწეულის ხეებს...
წითელი შერეოდა ნაცრისფრად დაფერფლილ სამყაროს...
.....
ნანგრევებს ხატი შემორჩენოდა უვნებელი...
დაღამებულის ფერი ილეოდა დედა-მიწაზე...

✷ ✷ ✷

საუკუნეებით მდუმარე დედა-მიწის კივილი ისმოდა სამყაროში...
მისმა ხმამ შესძრა ყოველივე ცოცხალი
შეშინებული, შემცბარი მზე გამალებით ცდილობდა მის
გადარჩენას...
მაგრამ იწვოდა ომის ბავშვი...
დედამიწის კივილი ახშობდა მის ხმას...
დედის ძახილს ეომებოდა თითქოს...
ცხრაშვილობილა მზეს მკლავებში მოუმწყვდევია დედა და მის
თვალებს სიჩუმეს ევედრებოდა...
მაგრამ!
იფერფლებოდა, ჯერ კიდევ მზეკუკულებიანი სიცოცხლე...
.....
ნანგრევებზე დაიჩოქეს ეკლესიებმა!
გული გახეთქოდა დედამიწას!

✷ ✷ ✷

ნანგრევებზე მიმოფანტული ფეხსაცმელი...
სხვადასხვა ზომის...
თითო-თითო.
ნაწყვეტი თასმებით...
.....
ჩაუცმელ ხეებს შემოხვეული მლიქვნელი კვამლი.
ნანგრევებს მიღმა ჩაჩოქილი ხეები, მდუმარე ფესვებით
შეცბუნებული მზისკენ...
მტვერში გახვეული ლანდები, ადამიანების სახეებით...
უკუნითი...
გათენების ზღვარზე...

✷ ✷ ✷

ასე ცხოვრობდა ნებაგაუტეხელი...
სულდამძიმებული და გულმხურვალე...
არც თავისას თმობდა და არც სხვისი უნდოდა.
მას... ნებაგაუტეხელს!
მიდიოდა და მიჰქონდა მათთვის შიში ხორციელი,
ტკივილი სულიერი, თვალის ფსკერიდან მომზირალი საყვედური...
მას... ნებაგაუტეხელს!
მოდიოდა. ხელიხელჩაკიდებული სიკვდილ-სიცოცხლეს თან...
უკან მოჰყვებოდა დედანატრული ომის გოგონა,
დედის ძებნაში დასერილი ტერფებით...
მძიმე, ფრთხილი ნაბიჯებით მოდიოდა ნებაგაუტეხელი...
პურის ნამცეცებით მოფენილ დედამიწაზე. ჩამქრალ ვულკანს ჰგავდა...
დარდში ჩაჩეხილი მისი პირქუში სახე.

✹ ✹ ✹

გარდაცვლილი არც კეთილია და არც ბოროტი...
არც ცოცხალი.
დედამიწა კეთილშობილი...
ყველა მიმსვლელს, საუკუნოდ ინახავს საკუთარ წიაღში...
და რჩება მხოლოდ სული...
ადამიანის სული...
ხან მოფარფატე პეპელად...
ხან ღამის წყვიადის მოჩვენებად რომ გვევლინება...
და ურცხვად დაატარებს მოგონებებს ყვავილიდან ყვავილზე...
ხიდან ხეზე... თვალებიდან თვალებში...
ყველა მოგონებას ვერ უძლებს დაწყლულებული გული...

ვერც დედამიწა... ბორგავს... გუგუნებს...
ბორგავს და გუგუნებს...
ადამიანის უკვდავი სული კი დაიარება...
ქვის წისქვილს ეხეთქება აღრიალებული მდინარე!

✹ ✹ ✹

შიმშილი გამეფებულიყო დედამიწაზე...
ომს ჩამოჰყოლია მთებიდან.
პურის ნამცეცებს დაეძებდა სულიერი.
მსუნთქავი არსებებით დატკეპნილიყო გაზაფხულის მიწა..
.....
ისინი მიმოდიოდნენ. სულიერებად დარჩენილები.
რადგან მათ შიოდათ. მხოლოდ შიმშილს გრძნობდნენ, სხეულს ხედავდნენ...
პურის ყანაში დაიარებოდა შიმშილი, მაგრამ უტიფრად. ამიტომ შიოდათ.
განლეულ კუნთებს ბრძოლის ჟინი მაინც შერჩენოდათ...
ალაგ-ალაგ ეკიდებოდნენ ეკლებად ქცეულ მტერს...
პურის ყანაში რომ იმალებოდა და ყველა სულერს ჩხვლეტდა...
წვეთ-წვეთად იცლებოდა სისხლისგან.
.....
სულიერი კი დაიარებოდა ასისხლისფერებულ ყანაში...
შორს გაწვდილი ხელებით... ლუკა-პურის მოლოდინში...
დედამიწის ნაპრალებში შეენახა უომობის თესლი
პურმონატრებულ თავდახრილ ხორბალს...

✹ ✹ ✹

მაინც...

მაქვს იმედი..

მზის ამოსვლის...

მზესუმზირების აყვავილების...

მწუხარე ციცინათელები გაანათებენ ბნელ სამყაროს...

ომის გოგონა, ცალფეხსაცმლიანი დედას იპოვის...

.....

მოკვდება, მოკვდება ომის სიკვდილი

ციცინათელებით განათებულ სიბნელეს შეუერთდება

ნაღველგარდაცვლილი მზე...

✹ ✹ ✹

ჩემი ჩუმი სევდა... ჭაღარაშემოპარული...

ჩემი ჩუმი სევდა... ხელისგულებზე ამოკითხული!

ჩემი ჩუმი სევდა... სიბრძნისმარცვლების მატარებელი...

ჩემი, ჩუმი სევდანარევი გაზაფხული აბალახებული ბილიკებისა

და აშხაპუნებული წვიმის მოლოდინში...

✹ ✹ ✹

ფიქრობდა ეცოცხლა თუ არა...

ორი სამყარო გამალებით ეპატიჟებოდა იმერ-ამიერში...

ის კი ზღვარზე იდგა...

დღესა და ღამეს შორის

აყვავებულ და დამჭკნარ ყვავილებს შორის

ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის

ავდარივით იცრემლებოდა მისი სული
მზის იმედით, მზის წნულს ეხვეოდა საკუთარ სხეულში,
მაგრამ მხოლოდ კივილის სურვილით ივსებოდა იმედის ნაცვლად!
.....
ბოლოს გადააბიჯა ზღვარს!
ტან-ფეხით ჰორიზონტისკენ, პირისახე ჩემსკენ მოაბრუნა და ჩამჩურჩულა...
ნუ გეშინია, მე ხომ თავდახრილი ყვავილები მიმაცილებენ!

✹ ✹ ✹

ისინი არიან...
ყველანაირი „ისინი“
ჭიანჭველასშრომისფერები...
მირკანის თვის გადათეთრებული ხისძირისფერი განსაკუთრებით სჭარბობს მათ შორის.
ფურისულების გამოჩენას ელოდებიან ერთი შეხედვით გაფიჩხებული ხეები.
„ისინი“ მაინც ყველანაირია...
ზოგი დიდრონი თვალებით მიმზერს...
ზოგი მოჭუტული ცალი თვალით მელამუნება...
ზოგი-ის ცხელი მზერა კი ჯერ არ დამდგარ მკათათვეში, მთის მდინარესთან ჩანაწნავებას გასურვებინებს...
სადღაც შორიდან მკაფიოდ ისმის ხის ხერხვისა და ხმელი ტოტების ტკაცუნის ხმამაღალი ხმა...
„ისინი“ დასდგომიან უღრანი ტყისკენ მიმავალ გზას...

✹ ✹ ✹

ცეცხლში დამწვარი ხელებით გინდოდა მისი გაყინული გულის გალხობა...
ცეცხლმოკიდებულ ხელისგულებში მოქცეული გაფითრებული გულისგან შენ უფრო
გრძნობდი სამყაროს დასაწყისს!
მალამოსავით ედებოდა მასთან შეხება შენს აცეცხლებულ ხელებს...
მას კი სტკიოდა...
ალაგ-ალაგ შენი ხელების მზისფერ ცხელს გამოეჭამა და წვეთავდა...
გულის ფორმა დაეკარგა...
ათეროსკლეროზულ სისხლძარღვებს დამსგავსებოდა, ტყდებოდა და წვეთავდა...
ასე წვეთ-წვეთად იცრემლებოდა მისი დანაოჭებული გული...

✹ ✹ ✹

თითქოს გრძნობდი ჩემი ღიმილის სიდიადეს დამსკდარ დედამიწასა და წვიმის წვეთებით დამძიმებულ ჰაერს შორის...
სადღაც იქ საზღვარზე. რომ გრძნობ და ვერ ხედავ.
გრძნობდი მდუმარედ, ხანდახან ხმამაღლა. იქამდე ხმამაღლა, სანამ შხაპუნა წვიმით აქაფებული წყალ-ნიაღვარივით არ გადმოვარდა ერთი ცალი ცრემლი შენი დიდრონი თვალებიდან.
გადმოვარდა ის...
.....
არ ვიცი შემთხვევით...
თუ თვალების სიღრმეში ჩაბუდებულმა, მკერდიდან რძესავით გამოწოვილმა, უჯრედებამოგლეჯილმა შიშმა გადმოაგდო...
და ჩადგა შიში... თვალებში!

მრისხანებამ მოიცვა ვნებააშლილი სხეული შიშის სიჯიუტისგან.
ენერგიაგამოცლილ მიტოქონდრიებს ბრძოლის სურვილი
განლევიათ და...
მისჩერებიან...
როგორ იტანჯება ადამიანის გონება მისგან...
მაგრამ!
იძრა დედამიწა, გახსნა პირი გვალვიან ზაფხულში...
წვიმის წვეთების შესაწოვად და...
ჩაიყოლა, ათრთოლებული შიში!
მზე ამოვიდა აღმოსავლეთით...

✹ ✹ ✹

შვილო.
წამში აირია სამყარო. თითქოს დავმუნჯდი.
მამის ზურგს ვხედავ ძლიერს.
ქვეცნობიერად, შიშისგან მიწისფერ პირსახეს. მთის სიძლიერეს ვგრძნობ.
საკუთარი შვილი ჰყავს ხელში... საბანში გახვეული.
სწრაფი ნაბიჯებით მიემართება რეანიმაციის განყოფილებაში.
არა! ვცრუობ!
მირბის!
ფიზიკური და სულიერი ტკივილისგან გაოგნებული
ინსტიქტურად მივყვები და ვგრძნობ როგორ გაშმაგდა შვილის
გადასარჩენად ლოცვისთვის გონება.
წამით შეჩერდა სისხლი შვილის სხეულში, იმპულსებით გადასცა
ტკივილი „დედიას“.
რძე დაუგუბდა დედას სადინარებში.
სიკვდილ-სიცოცხლეს ვუჩოქებ გაყინულ ფილებზე...
რეანიმაციის კარს მიჯაჭვული მზერით ვევედრები უფალს...

საკუთარი სხეულის გულის გამგმირავი კივილი ესმის დაღლილ გონებას: „ღმერთო! ღმერთოო!..“

.....

დამშვიდდა სამყარო. ქარი ჩადგა. აღარც წვიმს. მგონი თენდება. თითქოს დამშვიდდა სიბრძნე-სიგიჟის ზღვარზე მყოფი ჩემი სხეული.

რძე ამდინარ და სადინარებში. სისხლი აჩქეფდა პატარა სხეულში.

მე ვიგრძენი. დედამ.

„დედიაო!“ - დამიძახა პატარა გულმა.

ჯერ კიდევ გაფართოებული გუგებით მიმზერდა შვილი.

„დედის გულოოო!“ - ღრიალებს დედობა ჩემში.

სიცოცხლემ იმძლავრა. გაშმაგებული დედა ეომებოდა შვილისთვის განგებას.

მარადიული... ტკბილი „დედია“ ისმოდა სიცოცხლით სავსე სამყაროში.

.....

დედის მადლობა: „გმადლობთ ადამიანებო... ყველამ რომ გაიღეთ თქვენი სიცოცხლის ერთი წუთი ჩემი შვილის სიცოცხლისათვის... თქვენ წუთი მოგაკლდათ, მე... შვილი მაჩუქეთ. გმადლობთ ამისთვის... თქვენი შვილების სიცოცხლისათვის მილიონობით წუთს გავიღებ ჩემი გიორგის სახელით!“

✹ ✹ ✹

ფიქრი. შემოეკლაკნება შენს გონებას და გაირინდება.

დუმს... ხან მუჯლუგუნებს გკრავს ან ფუტკარივით გიკბენს, ხან მოგიღიტინებს და სისხლს აგიჩქროლებს...

მაგრამ დუმს!

უცებ. აკივლდება და გონებიდან ამოხტომას ლამობს... აზრად უნდა იქცეს... თან გელამუნება... ნერვულ წნულებს და

ბოჭკოებს ეფერება...
დაიარება გულსა და გონებას შორის. უტიფრად იმზირება ადამიანის სულში... შებოჭავს მას და დაატარებს. ხრიოკი ველიდან გომარეთის აბიბინებულ მინდვრებამდე... ქვადქცევის შიშით შეპყრობილი ადამიანი კი... დაიარება...
აქეთ-იქეთ!
აქეთ-იქეთ!

✹ ✹ ✹

დაიბადა და ერქვა სირცხვილი.
დაბერდა, გაწლებიანდა, გარდაიცვალა,
მაგრამ მაინც სირცხვილი ერქვა.
დადიოდა, დალასლასებდა,
სუნთქვაშეკრული დაიპარებოდა...
აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის
სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის.
ხან ჟანგბადს შეჰყვა ჩასუნთქვისას,
დაუღალავად ეჭიდებოდა არტერიებს, ვენებს, კაპილარებს...
ხან ქარაშოტად მოევლინა ადამიანებს და მათი, ქვიშითა და ცრემლით ამოვსებული თვალებით ტკბებოდა თვითკმაყოფილი.
ხან ყანაში იმალებოდა და გადათელილი, ყაყაჩოებით გადასისხლიანებული მდელოც არაფრად მიაჩნდა...
ერთხელ ლილიფარასაც დაემსგავსა...
მაგრამ ჩიტებმა მარცვალ-მარცვალ ამოკორტნეს მზის თავი!
ასე დადიოდა!
სანამ დედამიწამ, უტიფრობით უგონოდ მთვრალს მკვახედ არ მიაძახა:
„იქნებ მოვიდა სირცხვილო, დრო შენი?..“

✷ ✷ ✷

ცოცხალი არსება. უცხო გვარ-ტომის.

უეცრად აღმოჩენილი... თუ იქ აღმოცენებული?

უცხო. მათთვის.

ტრაგიკული იმპულსი. უჯრედიდან - უჯრედს!

რატომღაც ტრაგიკული... თუმცა უცნობი.

განგაში.

აბობოქრებული სისხლი.

სხეული ორი სოცოცხლით.

ქალში-ქალი.

მბრუნავი წრე: ძლიერი ქართული გენით.

ეული. დაკნინებული უცხო უჯრედი.

მაგრამ მავნე... უკვე აბორიგენად ქცეული.

გაითავისა ვერ შეიყვარა.

ფესვი გაუშვა ღრმად ნოყიერ ნიადაგში.

იგრძნო დედამ.

იცნო.

ხსენებას აკრძალული სახელი იყვირა ცნობიერებამ.

კიბოს უჯრედი.

ავადსახსენებელი. გაოგნდა ქალი. დედობა გაშმაგდა მასში.

საკუთარი ხორცით იცავდა შვილის სიცოცხლეს.

ჯანსაღ უჯრედებს ინახავდა მასში.

კედელი აღიმართა ცოცხალი.

მხოლოდ სისხლს რომ ატარებდა ქვებს შორის. წყალსა და საკვებს უზიდავდა

თვითონ!? - ურცხვად მოეცვათ გაავებულ უჯრედებს მთელი ორგანიზმი.

გული, ხელ-ფეხი, თვალები... ვაზივით ჩაწნული თმა.

შუასაყარში ჩაეღწია კლანჭებს.
კვდებოდა დედა: დუმილით, უცრემლოდ.
ზღვარს მიაღწია სიცოცხლემ.
სიკვდილით, დაბადებით.
ჩქარობდა დედა. კანონის აღსრულებას ითხოვდა ბუნება.
გამალებით იბრძოდა კიბოს უჯრედი
გამალებით იბრძოდა დედა.
.....
ალიონზე მოევლინა... იტირა შვილმა
„უცნაურად“ ეჩვენა ამბორი... ქალის
საკუთარი სხეულისთვის უკოცნია სიკვდილის წინ დედას...

✹ ✹ ✹

რა ფერის თვალები აქვს ცხოვრების დასასრულს?

გაზაფხულის სუნთქვის ფერი?
წამად ქცეული მოგონებების ფერი?
იქნებ შიშისფერი?
სიკვდილი იმ ფერისაა, რა ფერის თვალებიც მომაკვდავს აქვს,
როდესაც ჩახედავ ღრმად, გუგის სიღრმეში... ბადურისა და
კაპილარების მიღმა. გაყვები წამებს, წლებს, საუკუნეებს...
საწყისამდე, ალიონამდე. დასრულდა. წამიც შეჩერდა... და...
ახალი ათვლა დაიწყო.

✹ ✹ ✹

უტყვი.
ზოგისთვის მუნჯი... ზოგისთვის მეტყველი.
ჩემთვის მუნჯი, დიდი მეტყველი თვალებით,
თითქოს განგებამ, ბაგეებისთვის ასწლეულების წინ მინიჭებული
ფუნქცია წაართვა და სამარადისოდ გადასცა თვალებს... ასე

გაფაციცებით რომ ათვალიერებენ ირგვლივ მიმოფანტულ, ადამიანურ თვისებებად წოდებულ, პატარა მარგალიტებს.
თვალები დიდია, რადგან მთელი დედამიწა უნდა ჩაეტიოს შიგ.
მამაკაცები და დედაკაცები.
ქვები და ქვესკნელები.
ქვეწარმავლები.
მზესუმზირას მისწვდა მისი მზერა. სადღაც შორს, მათ შორის კიაფობს მზის სხივი...
ბრძენი გველივით რომ დაიკლაკნება მუნჯის ბაგეებზე. დაიღალა და გაირინდა.
სიცოცხლე დაუბრუნა გაფერმკრთალებულ, მუდამ მდუმარე გაცრეცილ ტუჩებს...
ასე რომ ლამობენ რაღაცის თქმას...
ვფიქრობ დედის დაძახება სურს... ან შვილის!
სხივი კი კიაფობს მაინც!!!

✹ ✹ ✹

დიდხანს იარა,
ბოლოს მოვიდა და ჩაიმუხლა.
ჩემს გვერდით. ვიგრძენი.
ეცადა კოჭებს შემოხვეოდა, მაგრამ ტერფებს მისწვდა მხოლოდ...
სათითაოდ გადათვალა ფეხის თითები. დიდხანს აკვირდებოდა.
არ ვიცი. რას ეძებდა, რას ფიქრობდა.
თითქოს ამოხტომას ლამობდა დედამიწის წიაღიდან...
თან ვერ ელეოდა, ამიტომ ფიქრობდა.
დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა!
დედამიწის ბიძგებს გრძნობდა,

დროდადრო ახსენდებოდა დედამიწისბირთვშემოხვეული
მშვიდად რომ განისვენებდა იქ წიაღში... მაგრამ ადამიანი იხმობდა
და საკუთარ თავში დაბადებას სთხოვდა. ისიც მოვიდა...
ხან ჟრუანტელად მოევლინა სხეულს და დედამიწის ბიძგებს
გადასცემს „ცოცხალი ცხელი“-ის შესახსენებლად.
ხან გრძელ ნაწნავებს მოუქაჩავს მდედრ სხეულს და ირგვლივ
მიმოხედვას აიძულებს ანაზდად...
ბავშვის ტირილმა გაამხნევა სამყარო!
გრძნობის გაზაფხულება იგრძნო უდავოდ...

✹ ✹ ✹

როგორ გტკიოდა. ყველამ იცოდა.
მათ შორის ხმამაღალმა ნერვებმა.
მაგრამ შენ ჩუმად გტკიოდა...
ფარული, სველი ტკივილით...
ნერვულ წნულებზე შემოხვეული,
განლეულ ჩონჩზე აცოცებული,
როგორ დამსგავსებიხარ ნაცრისფერს...
ელვისა და წვიმის გაუთავებელ ღრიანცელში მოყოლილი
მაინც ადამიანის ირგვლივ ტრიალებ...
მდედრიდან მამრისკენ...
დედულეთიდან მამულეთისკენ...
კვნესა-კვნესით, თმის ღერიდან ჩამოცურდები...
და სადღაც იქვე, საძილე არტერისთან კოჭლობით მიიზლაზნები...
გულისცემას გრძნობ... დიდი ადამიანური გულის ცემას...
ოდნავ ტუჩებს შეახებ და მიდიხარ...
გზად წოდებულს დაეძებ, უმალ ვიგრძენი როგორც კი წახვედი.

✷ ✷ ✷

შენ.

მუდამ მეტყველო სულით და ქმედებით...

ქვის ღობის, ალაგ-ალაგ ჩამოცვენილი,

დაღმართზე დაგორებული ქვებივით მტკიცე და ურყევი...

მოხუცებული კაკლის ხის ფოთოლივით ძარღვიანი...

სათივეში, თივის ზვინს მიპარებული,

ნაზამთრალ რუსავით ჩუმი, სიფრიფანა თეთრი კიდეებით...

.....

სოფლის შარაზე მიემართება პატარა,

დიდედასთავშალშემოხვეული, წითელკაბიანი გოგონა.

ხელიდან ხელში გადატანილი ახლადგამომცხვარი პურით...

ნათესავ-მეზობლების მოსაკითხად რომ გაუტანებია მოხუც დიდედას...

ფერგადასული ზაფხული გასულ საუკუნეთა.

✷ ✷ ✷

მე ვერ ვხედავდი მათ სახეს.

დედის დარდს და სამყაროს სევდას დაეფარა მათი დანაოჭებული სახეები...

მდუმარედ მიყვებოდნენ ცხოვრებას... ან იქნებ უბრალოდ...

გულგახეთქილ დედამიწაზე დაიარებოდნენ პურის ყანის ძებნაში...

ხანდახან ღიღილოების ველს წააწყდებოდნენ...

ყაყაჩოებად ქცეული სისხლის წვეთები რომ შერევია მკათათვეში...

უტყვი იყო მათი ყოფა. ბაგეების გარეშე...

იქ, სადღაც.. მზის წნულთან ჩაბუდებული,

დედის ბაგეებიდან ამოსახეთქად გამზადებული კივილით...

.....

დედა კი დუმდა.
პურის ყანის ძებნაში დასერილი ტერფებით ცდილობდა მზესთან მიახლოებას...
.....
მჭიდროდ ეკვროდა დედის გულს პატარა სხეული...
უკვე სახის გარეშე.
ნისლში იძირებოდა წვიმიან ამინდში მათი წინ, მზისკენ მიმავალი სხეულები...

✹ ✹ ✹

შხაპუნა წვიმასავით მოვარდებოდა და ნიაღვარივით მოედინებოდა მის დანაპრალებულ გულში...
დაუსრულებელ ფიქრებად ქცეული უტიფრად იკლაკნებოდა ქალის სხეულში და...
თითო-თითოდ...
გადმოცვენილი ცრემლით ცდილობდა მის დაუფლებას...
თუმცა მისი გული უკვე მოეცვა შხაპუნა წვიმად მოვარდნილს...
გონებაარეული დაიარებოდა სულისა და ხორცის ჭიდილში...
ცეცხლის ალივით მწველი ფიქრები...
გარს ეხვეოდა დაწყლულებულ გულს...
და მხოლოდ ერთი... ეული ფიქრი ცეცხლისფერი...
შხაპუნა წვიმასავით მოვარდნილი...
მდუმარედ მიუყვებოდა დედამიწის დედიშობილა სხეულს კლდეებს მიღმა...
თიბათვის გადახრუკული ველებისკენ...
.....
ჩამუხლული ღიღილოების სანახავად მიემართებოდა თურმე.

✹ ✹ ✹

კუნთები უცაცხახებდა ხელზე.
ნეკა თითი თანდათან კარგავდა გრძნობას.
მარცხენა ხელი იყო, გულის ხელი. ჭკვიანი გულის მარცხენა ხელი.
კარგად იცოდა, ცაცია იყო. ამიტომ ემარჯვენებოდა მარცხენა.
ჯერ განიცდიდა, შემდეგ შეეჩვია.
გულის მხარეს გრძნობდა მუდამ.
თითქოს დედამიწის საყრდენს წარმოადგენდა.
მუჭაში მოქცეული გული.
მიწისძვრას ჰგავდა უცებ აცახცახებული ხელი,
საკუთარ არსებობას გახსენებდა, მაგრამ დედამიწის გუგუნი ისმოდა...
მიწისძვრას რომ მოასწავებს ის გუგუნი.
ჯვარედინი ცხოვრებით ცხოვრობდა სხეული.
ტუჩებმოკუმული, სახეზე ჩამოვარდნილი თმის ღერით...
შუასაყარში დამალული, სახის ნაკვთებში ამოზრდილი უცნობი სევდით.
დედიკოსთვალებას გენი ადარდებდა მუდამ და საკუთარი დედა-მიწა!
მამისხელება დედა-მიწა!
.....
ასე ცხოვრობდა მუჭაში მოქცეული მგრძნობიარე გული,
თანდათან კლავდა ცასა და დედამიწას შორის გადაჭიმულ მამისხელება დედამიწას...
მის გამძლეობას სცდიდა.
.....
ალუბლის ნაყვავილარ ტოტებს შორის გაპარული მზის სხივი ელამუნებოდა მის დაღლილ სახეზე გადაფენილ სევდიან სიმშვიდეს...

✷ ✷ ✷

ღიღინით მიუყვებოდა ბილიკს, სადღაც შორს წყვიადში რომ
იკარგებოდა დღესა და ღამეს შორის...
მე ზურგს ვხედავდი მხოლოდ...
ფაქიზს, სუსტს, მოხრილს, თავაწეულს...
თითის წვერებზე, ცეკვა-ცეკვით მიდიოდა.
გზააბნეული გეგონებოდათ. წინ მიდიოდა.
მსუბუქი ნიავი თმას უწეწავდა...
შემდეგ საკინძეს გადაუხსნიდა... მუდამ სველს.
ჩიტის ბარტყები დასტრიალებდენ, ჯერ ისევ ასდიოდა რძის სუნი, ალბად ამიტომ
.....
თითის წვერებზე...
ცეკვა-ცეკვით მიდიოდა სიგიჟის ზღვარზე მყოფი სხეული
დამჭკნარი ზამბახებით ხელში, შვილის საფლავზე რომ დაეკრიფა
შებინდებისას...
მიწას შეჰყვარებია მოცეკვავე სხეული...
საუკუნო ადგილი მიუჩენია მისთვის...
მდუმარედ შერევია გამხმარი ზამბახები...
.....

✷ ✷ ✷

იქ იჯდა ქვაზე,
ეს ქვა ყველგან იყო. დარდიც.
ქვა ძლიერი იყო. დარდი ჩუმი, მეტყველი თვალებით.
მარადისობაგამოვლილი დარდით დამძიმებულა ქვა...
ალაგ-ალაგ ჩასმოსცვენია ნატეხები...
ადამიანის დარდს ატარებდა თითეული.
ამიტომ სტკიოდა დედამიწას სული...

უჭირდა ქვის ნატეხების ცქერა...
მის ხორცს ჩხვლეტდა და სულს უმძიმებდა...
დიდხანს უვლია დარდს.
ადამიანის სულისა და ხორცის ყველა კუთხე-კუნჭული
შემოუვლია.
ხან აზრად დაბადებულა მის გონებაში,
ხან ფიქრებად ჩაჰყოლია სიზმარში...
.....
ხან ვნებაარეული ძუძუსთავებს მიჰპარვია...
და დედამიწის დედობისთის გამზადებულ ორ სანიშნეს
დასცხრომია ანაზდად.
მაგრამ დუმდა დარდი.
გრძნობდა როგორ იხლართებოდა სულისა და ხორცის ჭიდილში.
შემდეგ გული მოუკვდა დარდს.
ქვაზე ჩამოჯდა და ნატეხებს დაუწყო ცქერა...
მისი სიმძიმის გამო ჩამოტეხილ ნატეხებს...
.....
ჩუმია დარდი.
ნატეხებს შორის ფესვი გაუდგამს დარდად გაბნეულ ცისფერ
ყვავილებს...

✹ ✹ ✹

გამთენიისას გამოჩნდნენ ლანდები...
მაშინ როდესაც
მხოლოდ მშიერი მგელი დაძრწოდა...
თოვლით დაფარულ დედამიწაზე...
სამნი იყვნენ, წელში მოხრილები.
ერთმანეთის მიყოლებით მხოლოდ ციცაბო კლდეზე ჩადიოდნენ.
ველ-მინდვრებზე გვერდი-გვერდ,

ხელიხელჩაკიდებულნი მიემართებოდნენ...
არ ვიცი საით.
დედა, მამა, შვილი.
გაცრეცილი პირი-სახე, გაფითრებული ტუჩები,
თვალებში ჩამდგარი სიკვდილი.
თითქოს სისხლი გაყინულიყო სამყაროს სისხლძარღვებში.
გული გაუჩერდა დედამიწას.
შიმშილის ფერი დასდებოდა ადამიანის სიცოცხლეს.
შვილი დროდადრო ჩაიმუხლებდა.
ცალფეხსაცმლიანი, გახსნილთასმიანი...
დედის საკინძეს დაეძებდა...
მთაში, ბარში, მგლის ნაფეხურებში.
დედის თვალები შვილს ვერ ხედავდნენ.
სამყაროს მიღმა სწვდებოდა მისი მზერა...
ყვრიმალებს შორის გამოპარული სიკვდილჩამდგარი თვალებიდან.
.....
გამალებით დასტრიალებდა მგელი ერთ ლანდად ქცეულ,
გაყინულ დედ-მამას შორის გასათბობად მოქცეულ შვილს,
ოდნავ რომ უფეთქავდა გული.
.....
აყვავებული ნუშისფერიყვავილები მიმოებნიათ მათ საფლავებზე.

✹ ✹ ✹

დედას მიყვებოდა, წინ მიმავალს.
დახეთქილი ტერფებით რომ ტოვებდა სისხლიან კვალს.
წინმიმავალი დედა სუსტი, მზეგამწყრალი ხელებით ცდილობდა
თითქმის შიშველი სხეულის დაფარვას...
თუმცა მწველი მზე მაინც ახერხებდა დაღის დასმას...
და იწვოდა დედის სხეული მწველი მზისგან და სული
უკეთურობისგან...

დედა ტკივილს არ იმჩნევდა. არც შვილი.
დედას შვილის ტკივილი სტკიოდა, შვილს დედის.
დედა არასოდეს ეძახდა შვილს.
მისი სახელი მდუმარედ იმზირებოდა დიდრონი თვალებიდან...
ცრემლებად მოუყვებოდა დედის დანაოჭებულ ნაკვთებს...
პურმონატრებულ ბაგეებთან შეჩერდებოდა...
დამშრალ, დამსკდარ ტუჩებს დაუნამავდა.
დიდხანს რჩებოდა მისი გემო.მხოლოდ სულს კვებავდა.
.....
დედის თვალებში ჩაბუდებული სევდა კი...
მის სისხლიან კვალს მოყვებოდა და ეძახდა. მდუმარედ.
დედა გრძნობდა. შვილის შიმშილს. თვალებში ჩახედვის ეშინოდა.
შვილის თვალებს და ნიბლია ჩიტებს უფრთხოდა...
.....
პურის ნამცეცებს უგროვებდა საკუთარ სევდას. ჯერ ცალი მუხლით.
წინ მიმავალი დედის ლანდი გაქრა გამთენიისას.
შვილი კი ღიღილოების ველს დაეძებდა, დედის დარდი რომ ელოდა...

✹ ✹ ✹

მაშინ,როდესაც...
უთქმელად გრძნობდა გადახრუკული მინდვრების სევდას...
მაშინ, როდესაც ტკბილმოუბარი ჩიტი-ჩიტუნა თავს აწონებდა, დაფრთხიალებდა...
და საკუთარი ბუდეს დასტრიალებდა...
ის იდგა.
უფრო სწორად ცდილობდა მინდვის ბოლომდე მიეწვდინა თვალი...
თითქოს მისი ცხოვრების წუთები იქ ილეოდა...
ბოლო წამის შეგრძნება სურდა...

თიბათვეში შემთხვევით მოცელი ბაყაყურების მსგავსად.
ნაბიჯ-ნაბიჯ იწევდა წინ...
ფეხის თითებით ცდილობდა ფხვიერი მიწის შეგრძნებას,
ალაგ-ალაგ კენჭები ხვდებოდნენ...
მისი მზერა კი მინდვრის ბოლოში იკარგებოდა...
.....
მდინარე მორაკრაკებდა მთის...
წყლისფერი შხეფები ქვებს ეხეთქებოდნენ ავისმომასწავებლად...
მხოლოდ ერთი, მორაკრაკე მდინარის ყაყაჩოსფერი კლაკნილი
იპარებოდა სევდიანად კენჭებს შორის...
თავწაწყვეტილი ბაყაყურები მოჰყვებოდნენ მდუმარედ.

✷ ✷ ✷

ვიცი რომ გრძნობ. სწორედ ეს მიყვარს შენში.
პურის ყანას ჰგავს ეს გრძნობა...
მშვიდი, გრძნობამორეული, ჩუმი...
ან მეტყველი გაზაფხულის ხმებით...
სავსე სულიერებით...
და ქვეცნობიერებაში ჩაძირული ხორციელი სურვილებით.
.....
პურის ყანას მივუყვებოდი...
თან მდევდა მზერა...
მე რომ ძალიან მიყვარს სწორედ ის...
უხილავად რომ გიბიძგებს წინსვლისკენ...
კლდედ რომ გეფარება ღვარცოფის დროს...
მუხის ფესვებად რომ გევლინება უფსკრულთან დგომისას...
.....
ეკლიან ღობეში შეუღწევია ვნების ყვავილს...
შემოხვევია...

და უხმოდ დამორჩილებია საკუთარ ბედს...

.....

ვიცი, რომ გრძნობ... სწორედ ეს მიყვარს შენში... უხმო თანადგომა... მარადიულობის შეგრძნებით.

.....

ვნების ყვავილის მსგავსი საათი წიკწიკებს ჩემს გახლეჩილ გონებაში...

✹ ✹ ✹

სულო ჩემო, ჩემი სახის მწერლად რომ ქცეულხარ და...
ადამიანებისთვის მიგინდვია მისი ამოკითხვა.

.....

სულო ჩემო, მოუსვენარო...
ათასგვარ ფიქრში გამობრძმედილო,
ჩემი წარსულიდან ჩემს მომავალში,
დედობის სურვილიდან დედობამდე,
თვალუწვდენელ ველებზე მოხეტიალე...

.....

სულო ჩემო, ჩემო მტანჯველო...
ჩემს გახლეჩილ გონებაში რომ შეგიღწევია...
დიდი სიფრთხილით ათვალიერებ დალექილ მოგონებებს,
ვნებაალეწილ სურვილებს , მზერას აყოლებ თვალს...
და უტიფრად ეზიარები ჩემს საიდუმლოს...
შებინდებისას ჩემს სახეს რომ მიაწერ მალულად...

.....

სულო ჩემო, ჩემო ფაქიზო...
ჩემს გულისცემას რომ უსმენ, ჩემს გულის ჩქროლვას...
და დუმხარ იქ...
სადაც ზღვარს მისდგომია...

ჩემი სხეულის მოკრძალება...
სულო ჩემო,
ჩემი სახის მწერლად რომ ქცეულხარ და...
ადამიანებისთვის მიგინდვია მისი ამოკითხავა...
.....
მწიფე მაყვლისფერი ნაწნავი იკლაკნებოდა, ხორბლისფერ ზურგზე...
ქვევით მიემართებოდა... დედამიწისკენ...

✹ ✹ ✹

არა, მე მაინც შენთან მინდოდა.
შენი თბილი მზერის შეგრძნება მენატრებოდა...
სხეულის ტკივილამდე...
ეს დუმილი და თბილი მზერა მასულდგმულებდა თითქოს..
სხვას არც არაფერს ითხოვდა ქვეცნობიერი...
მხოლოდ ჩუმი მზერა... ალაგ-ალაგ მეტყველიც...
.....
თავისუფლება სწყუროდა სულს, გრძნობის თავისუფლება...
მოკრძალებულად იქცეოდა სხეული...
მზერისა და დუმილის მარადიულობა ერჩივნა...
გახლეჩილი გონების ვნებაალეწილი ფიქრები ჩაეხშო გონიერებას...
.....
სიგიჟის ზღვარს მიეღწია...
უმოწყალოდ ჩხვლეტდნენ შიშველ ტერფებს...
ქვის ღობის მიღმა...
სოფლის შარაზე წაქცეული ბაყაყურები...
ირგვლივ მიმოფანტული მოწყვეტილი თავებით...
.....

მე, მაინც შენთან მინდოდა.
ჩემს გონებასაც შენი მზრუნველი დუმილი ერჩია სამყაროს გაშმაგებულ ორომტრიალს...

✹ ✹ ✹

თითქოს გათენდა. მამლის ყივილი აპობდა სივრცის სიჩუმეს.
მუქი ფარდა ჩიტების ლანდს აუჭრელებია, გამჭვირვალე ქსოვილის ნაჩვრეტებიდან ალაგ-ალაგ მზის სხივი იპარებოდა...
ჩემს სახეს ელამუნებოდა დაღლილ ნაკვთებზე...
.....
მზერა არ ასვენებდა ჩემს ქვეცნობიერს... ჩემი მზერა, შენსკენ მომართული. ცნობიერება ქვეცნობიერს ეომებოდა შენთვის... მხოლოდ შენი სულისთვის... ორმაგია ადამიანის ცხოვრება... ამიტომ გახლეჩილა გონება. ერთი აძლიერებს მეორეს... ზოგჯერ სული გიყვარს ადამიანის მხოლოდ... სხეული სხვისია... ქვის ღობის მიღმა მიმავალს ჰგავს.
.....
გამჭვირვალე ქსოვილის ნაჩვრეტებიდან გაპარული სხივი დაგეძებდა ჩემს-პირ სახეზე...
ჩემს თვალებში
უპოვიხარ...
იქვე ჩამომჯდარა შენთან... სევდად ქცეულა და თვალის ფსკერზე... ჩაჰყოლია კაპილარებს, შიგნით... ჩემი გულისკენ გაუკვალავს გზა.

✹ ✹ ✹

უფსკრულში ჩაჩეხილ დარდს რომ გავაცილებ
და შენთან ამოვალ...

ვიცი, რომ მზერა ჩემსკენ მომართული...
ჩემი სხეულის დედამიწაში ჩავარდნილ თესლს გააღვივებს...

მარადიულ დუმილს,
ჩემს ჩუმ სიხარულს...
.....
დიდხანს იგორა კლდეს მოწყვეტილმა კენჭმა...
მთის ბილიკებს ჩამოუყვა,
მორაკრაკე რუებს გამოჭყვა ცეკვა-ცეკვით...
თიბათვის გადახრუკული ველ-მინდვრები გამოიარა და შეჩერდა.
იქ. ჩემს გულთან.
.....
ციცაბო კლდეზე ამოსულ ხეს დამსგავსებია ჩემი გული,
შენში, ღრმად გადგმული ფესვებით.

✹ ✹ ✹

ვიცი რომ შენც გრძნობ...
სოფლის შარაზე მარგალიტებად გაბნეულ სიტყვის ძალას...
ვიცი რომ შენც გრძნობ ხრიოკ ველებზე მიმობნეულ მადლიერებას...
ვიცი რომ შენც გრძნობ შენს სულს შემოვლებულ ჩემს გულის ბიძგებს...
მიწისძვრის მსგავსად რომ ამოხეთქავს ლავად ქცეულ მდუმარე სურვილებს...
ვიცი რომ შენც გრძნობ ყაყაჩოსყვავილებიან კაბაში ჩამალულ მორცხვ ნაკვთებს.
.....
სიჩუმეს გუგუნი არღვევდა მხოლოდ, მიწის გუგუნი.
უტყვი მიწის უსიტყვო გუგუნი...
კაბაში ჩამალულ მორცხ ნაკვთებს რომ დამსგავსებია...

✷ ✷ ✷

ბავშვის დარდი...
დედის კვალს გაყოლილი,
ბუთქუნა თითებზე დახვეული კულულებით...
დედის ტერფებს შემოხვეული... დაღლილი მზერით!
ბავშვის დარდი...
დედის მხარზე ჩაძინებული...
მიწაზე ჩამოგორებული გულით...
.....
ბავშვის დარდი...
მძივებივით აკინძული, დედის არტერიებზე...
ჩუმი, გულამოსკვნილი...
დედამიწის გულს ამოფარებული სევდით.

✷ ✷ ✷

თვალი დაუხუჭავს გონებას...
ქვეცნობიერისთვის მიუნდია საკუთარი აღსასრული...
გაზაფხულის გამთბარ მიწაზე უეცრად აფუსფუსებულ ჭიანჭველებს დამსგავსებია მოუსვენარი აზრები...
ნელი სვლით იკლაკნებოდა თვალდახუჭული გონებიდან ქვეცნობიერში...
ერთი, უკეთური აზრი...
სამარადჟამო სამყოფელს ეძებდა.
გაუსაძლისად სტკიოდა გონებას...
ეს ერთი, გზააბნეული აზრი!
დუმდა გონება, თვალი დაუხუჭავს. თვალის გუგების ტკივილს გრძნობდა.
მძიმე იყო გუგებს დაწოლილი სამყაროს ხელი.

ისე აწვებოდა თითქოს დედამიწის კაპილარებზე დაკიდებული...
შავკაკლიანი გუგების ჩაწყვეტას ლამობდა...
საუკუნეებს შორის, უფსკრულში ჩაჩეხილ გულს რომ დასწეოდა...
.....
ქვეცნობიერის კივილს ჩაეხშო მდუმარება. ნერვებზე დაკიდებული
გული დაგორავდა...
ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის... უკეთური აზრი დარაჯობდა
ერთი... მოფუსფუსე ჭიანჭველები გაუჩინარებულიყვნენ
დედამიწის ნაპრალებში... თვალი დაუხუჭავს გონებას.
მძიმედ აწვებოდა სამყაროს ხელი.

✹ ✹ ✹

მზე გიხმობს, მაგრამ თვალს ვერ უსწორებ.
მზე გიპყრობს, მაგრამ თვალს ვერ უსწორებ,
მზე გიყვარს, მაგრამ თვალს ვერ უსწორებ...
.....
მზეში გამავალი მზერა უსასრულობისკენ მიმართული,
სივრცეში გაბნეული.
უცნაურად ხარხარებს უკეთურობაგამოვლილი გონება...
მდედრი სხეულით.
მზის სიკაშკაშეს ამოფარებული სევდით, გაფითრებული
სისხლით...
გადიდკაცებული ნერვებით...
.....
მზის სხივმა გადაურბინა ხის, ვიწრო საწოლზე მოკუნტულ
პირმშოს, მამრი სხეულით.
ხუთიოდე წლის. სისხამ დილაზე აღვიძებდა მზის სხივი,
შემოეხვეოდა სხეულზე, ოქროს კულულებში ჩაუძვრებოდა...

მტკივან გულს გაუთბობდა...
წამოხტებოდა ბიჭი...
ჩამოტეხილ ფანჯრის რაფაზე მიმობნეულ პურის ნამცეცებს
შეავლებდა თვალს...
შიმშილს ვერ გრძნობდა. ხუთიოდე წლის იყო უკვე.
ბავშვობაგამოვლილი. მზის სხივს მოეპოვებინა მისი ნდობა...
დედის საძებნელად მიყვებოდა... გული გაზრდოდა. დედის
ლოდინში გაზრდოდა გული...

✹ ✹ ✹

ზღვარზე იდგა. წყვიადსა და ნათელს შორის.
ხილულად უხილავი იყო ეს ზღვარი.
მკვდარი, ცოცხალი სხეულით.
მკვდარში ცოცხალი.
დედამიწაზე გამქრალი.
.....
ორი მზის გული ჩაჰხუტებოდა სამყაროს მზის წნულს...
ორ-სულ დედამიწაზე...
სიცოცხლის მბრუნავი წრით...
ერთი მზის გულიდან მეორეში,
ორივე გულიდან დედამიწის დედის გულში...
.....
დედა მზეს ერთი მზის გული მოჰკვდომია,
მზის ჩამოტეხილ სხივზე დაკიდებული...
პაწაწინა ტერფებით. პაწაწინა ხელებით.
.....
მზე ამოეჭამათ ყვავებს.
ლილიფარაში შეშლიათ დაბნეულ ჩიტებს.
ჩამოტეხილი მზის სხივი კი ფრიალებდა,

ზედ დაკიდებული ტერფებით.
ზედ დაკიდებული ხელებით.

ერთგულად დარჩენილი დედა.
თმაგაშლილი. გაწეწილი ნერვებით.
ჩამოტეხილი მზის სხივით.
.....
ზღვარზე იდგა. ორ გულს შორის.
ცალი გული,
ამოგლეჯილი კაპილარებით ხელში დაეჭირა
და სისხლისგან დაცლილს,
საკუთარი ცრემლით ნამავდა.
ზღვარზე იდგა. უფსკრულის პირას.
ცალი ფეხი ჩასცურებოდა უკვე.
მზე, შავი ლაქებით გულში.

✹ ✹ ✹

ხელები მტკივა.
დაკოჟრილი.
შეშუპებული.
ნაოჭებში ჩამალული დაღლილობით.
.....
უნებლიედ გადაისვა მიწიანი ხელი,
ალაგ-ალაგ ჭაღარაშეპარულ თმაზე.
სევდას რომ უფრო ჰგავდა,
ვიდრე დარბაისლობაში მიმავალ ბილიკს.
შემდეგ ნაწნავს ჩამოაყოლა ხელი, და
ჩამოვარდნილი თმის ღერი სწრაფად გადამალა ყურს მიღმა.
.....
ალაგ-ალაგ შეერია თმაში მიწის ნაფშვენი.

მირკანი თვის დედამიწას დაემსგავსა
ნაზამთრალ რუსთან შემორჩენილი თოვლით.
.....
წყურვილი კლავდა.
წყლისა და სიცოცხლის.
ხარბად დაეწაფა ნაზამთრალ რუს.
გამომშრალი ტუჩებით ისრუტავდა სიცოცხლეს,
წვეთობით.
.....
მტკივანი ხელებით მოუკიდია
ზურგზე სამყაროს დარდი.
წინ, გულისკენ.
ნადედარი სანიშნეებისკენ გადმოუგდია შავი ნაწნავი.
ზურგზე რომ იკლაკნებოდა, ის.
.....
ხელები კი ძალიან მტკიოდა.
დედამიწის ამოგლეჯილი გული მეჭირა ხელში.

✹ ✹ ✹

ზოგჯერ არაფერი გინდა...
მხოლოდ შეგრძნება მდუმარე მეგობრის, რომ წაიქცევი და ვიღაც...
წამოგაყენებს ფეხზე.
ისევ დუმილით.უბრალოდ არსებობით.
ხანდახან ისე შორს ხარ საკუთარი სხეულისგან,
რომ შენს დასახმარებლად გამოწვდილი ხელი... ვერ წამოგაყენებს.
რადგან გახლეჩილ გონებას ვერ უმკლავდება ადამიანის ჩონხის
სრულყოფილება.
მხოლოდ ცნობიერისა და ქვეცნობიერის ჯერ შეუმდგარი...
გახლეჩილი გონება მტკივნეულია.

შორს მყოფ სხეულსაც სტკივა.
როგორც მოკვეთილი კიდური.
აღარ არსებული.
ვერდავიწყებული.
თვალდახუჭულ მდგომარეობაშიც კი.
.....
საკუთარი გონების პატიება ვერ ვისწავლე.
ვერც გონებისგან შორს მყოფი სხეულის.
.....
მოკვეთილ კიდურს ჰგავს მტკივნეული გონება.
გტკივა და ვერ ხედავ.
გტკივა და არ გაქვს.
წლობით გტკივა.
ბოლოს იღლება ტკივილი.
ქვეცნობიერში მახვილი აზრები იბადება.
ქვეცნობიერში ფესვებგადგმულ ტკივილის ნერვები უკვდება...
ან აპირებს.
მაგრამ რჩება გონებაში. საკუთარი ადგილი აქვს.
.....
მოკვეთილ კიდურს ჰგავს. საკუთარი ადგილის აქვს მასაც.
სხეულზე, სხეულში, სხეულთან.
იქ, მეორე კიდურის გვერდით.

✹ ✹ ✹

ჯერ ფეხის თითი ასტკივდა, შემდეგ ტერფი, წვივები...
მუხლებამდე რომ მიაღწია ტკივილმა, დედამიწა მუხლებში
ჩაიკეცა...

ეს უბრალო მოკვდავის ტკივილი არ იყო, ზეადამიანური ტკივილი იყო დედამიწის...
ზღვარდაწესებული. ხან გტკიოდა, ხან არა. ხან გრძნობდი, ხან არა. ზოგჯერ ისე კიოდა გონება, საკუთარ სხეულში ეხეთქებოდა აქეთ-იქეთ დაღლილი სული, დაღლილ მაჯებს ზევით ცისკენ სწევდა და... გამშრალი, დამკსდარი ტუჩებით ცდილობდა ცისთვის მიეწვდინა ხმა.
მაგრამ ნერვებჩაწყვეტილი ხახისმიერი ბგერები ისე სდუმდნენ, თითქოს ფერმკრთალ სამყაროს ხმა დაეკარგა. გაორებული მზერით დაეძებდა ჭეშმარიტებას. მაშინ როდესაც სხეულში მოსიარულე ტკივილი სისხლმა შეისრუტა, დედამიწას სისხლძარღვები დაუსკდა.
.....
იცოდა რომ არასოდეს იქნებოდა ისე, მას რომ უნდოდა. დადიოდა ტკივილთან ხელჩაკიდებული. ოჰ, როგორ სტკიოდა ზოგჯერ. მე ვგრძნობდი ჩემს დაღლილ სულში, ქვეცნობიერში, ჩემს გაორებულ გონებაში.

✷ ✷ ✷

საკუთარი გულის ნაფლეთებს დაეძებდა დედამიწაზე...
მაშინ როდესაც სივრცის შეგრძნებას კარგავდა ქვეცნობიერი... დაღლილ კიდურებს მტკივანი ტოფუსი მოსვენებას უკარგავდა და უსასრულობისკენ მიაქანებდა საკუთარი ტკივილის დასავიწყებლად...
ტკივილამდე დაკაწრული ხელ-ფეხით...
მზით გამომშრალი მარილიანი ტუჩებით, სველი მაყვლისფერი თვალებით და ცარიელი შუასაყრით... ცდილობდა საკუთარ გულს დასწეოდა...

დედამიწაზე რომ დაგორავდა...
კლდიდან უფსკრულში, მთიდან მდელოზე...
ცნობიერიდან ქვეცნობიერში.
.....
საკუთარი გულის ნაფლეთებს დაეძებდა დედამიწაზე...
მაშინ როდესაც სივრცის შეგრძნებას კარგავდა ქვეცნობიერი...
.....
უტიფრად სდუმდნენ მზისთავიანი ლილიფარები
ცისარტყელას მოლოდინში...
ჩემს გულს დასტიროდა დედამიწა, ჩემს დაკემსილ გულს.

✹ ✹ ✹

რომ მიდიოდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ დაუსრულებლად...
არ იცოდნენ სად მიდიოდა...
ვისთან ან ვისკენ.
.....
სიფრიფანა იყო, მძიმე ნაბიჯებით...
ერთადერთი მძიმე ნაწნავით,
მთელს სხეულს ბრძენი გველივით რომ შემოხვეოდა...
ზოგჯერ წინ, გულისკენ გადმოიგდება...
მოშიშვლებული სანიშნეები რომ დაემალა...
ორი ცხოვრება ჰქონდა,
ერთი სიცოცხლე და ერთი სიკვდილი.
დღე-ღამესავით ენაცვლებოდა ერთი მეორეს,
ან მეორე-მესამეს ან მესამე-მეოთხეს...
ახლა დაბნეული მიდიოდა, მძიმე ნაბიჯებით.
ისეთი მძიმე იყო ეს ნაბიჯები...
ნერვული წნულები სტკიოდა დედამიწას...
და გამხმარ ხეებად კიოდა ალაგ-ალაგ...

ან გაზაფხულზე, ძირს ჩამოცვენილ ნუშის ყვავილებად კვნესოდა გამუდმებით...
ის კი მიდიოდა, და არავინ იცოდა საით. ზოგს საკუთარ სხეულში, ზოგს საკუთარ სულში, ზოგს კი საკუთარ ქვეცნობიერში დაატარებდა ეს გზა...
.....
შორიდან უმზერდნენ საკუთარ ხვედრს...
ნაფლეთებად ქვეული დედამიწის ნაწილები...
ჩიტები კი ჟღურტულებდნენ დაუსრულებლად.

✹ ✹ ✹

მან არ იცოდა, სიმღერად ექცია საკუთარი სულის ამოძახილი თუ მაყვლისფერი ნაწნავის კლაკნილებში დაემალა ყოფიერებისგან.
.....
იდგა და ფიქრობდა დიდხანს, იქამდე სანამ წვიმამ და ქარმა გადაღლილ სხეულს ბოლო შეგრძნება ყოფიერების მარადისობად უქცია. წამში დამშვიდდა გული. იმდენად მდორედ მოედინებოდა... სისხლი მის სისხლძარღვებში, სხეული გაუფითრდა უცებ. მე კი ვიდექი, გზაგასაყარზე მყოფი ფიქრებით, სევდაშერეული შევერცხლილი, წინ ნადედარი სანიშნეებისკენ გადმოგდებული ნაწნავით მაშინ, როდესაც მან არ იცოდა... სიმღერად ექცია საკუთარი სულის ამოძახილი თუ მაყვლისფერი ნაწნავის კლაკნილებში დაემალა ყოფიერებისგან.

✹ ✹ ✹

შენ რომ წახვედი, გაზაფხულს წამი გადასცდენოდა...
ჩემს მოკრძალებულ სევდას ისე მიელულა თვალები თითქოს რცხვენოდა საკუთარი არსებობის და ჩემს სულში არსებული

ღირსების გამო, ასე რომ მაღიზიანებდა დრო-და-დრო. მოცელილ ბალახს ემსგავსებოდა ჩემი არსებობა. არსებული და არ არსებული.
.....
კივილს რომ გონება ჩაახშობდა მაშინ უბრუნდებოდა ჩემს გრძნობადაკარგულ ხელებს გონიერება...
ერთმანეთში გადახლართულ ღრმა ნაოჭებში სიცოცხლის ნაპერწკალი გაიელვებდა, თითქოს სისხლს ნიშანს მისცემდა სიცოცხლის გასაგრძელებლად...
ალაგ-ალაგ, დაკოჟრილ ხელისგულებში ჩაიღვრებოდა...
ხელისგულები გამითბებოდა...
დედამიწის ხელისგულები...
ასე რომ იყინებოდა უშენოდ.
ჩემმა მილულულთვალებიანმა სევდამ რომ თვალები გაახილა, მაშინ მივხვდი... დედამიწას დაბრუნებოდი, ჩემს დედამიწას.

✹ ✹ ✹

ისე წვიმდა მის მაყვლისფერ თვალებში...

თითქოს დედამიწას მის წიაღში მორაკრაკე რუები უხვ ნაკადულებად ექცია...
და მის სხეულში ჩაეღვარა შუასაყარში მიყუჩებული ტკივილის და ნერვულ წნულებში გახვეული სევდის წყურვილის მოსაკლავად.
.....
ხარბად ისრუტავდა დედამიწის ცრემლებს გულსშემოხვეული ტკივილი.
ფართო ხელისგულებში მოექცია გული და დრო-და-დრო...
მაშინ როცა...
გულის ფიქრებს გამიზნულად გაყოლილი.

უკეთურ აზრს ამოიკითხავდა მის ქვეცნობიერში,
ჩხვლეტას იწყებდა.
ჩხვლეტდა...
უხმოდ,
უმიზნოდ,
უმოწყალოდ.
ჩხვლეტდა...
ნერვებს,
ნერვულ წნულებს,
წყვეტდა აკივლებულ ნერვებს.
თანდათან ტეხდა მზის წნულის სხივებს...
ალისფრად იწითლებოდა დედამიწის ნახეთქებში ჩაქცეული
სისხლი.
.....
სიცარიელე ვიგრძენი უცებ.
ნაცრისფერი სიცარიელე.
შუასაყარში ჩავიხედე ანაზდად...
ნაწვიმარი მაყვლისფერი თვალებით.
გული ვერ დავინახე. ჩემი დაჩხვლეტილი გული.

✹ ✹ ✹

არსებობდა და იცოდა ამის შესახებ..
მარტივად უყურებდა საკუთარ არსებობას,
კდემამოსილი გრძნობებით იტანჯებოდა,
თუმცა ტანჯვა სიამეს გვრიდა...
აზვირთებულ ტალღებში მთის სიდიადეს გრძნობდა...
კმაყოფილიც იყო, შმაგიც და მორჩილიც.
ხანი გავიდა, გაწლებიანდა.
მაშინ როცა ჭექა-ქუხილი საუკუნის გახდა... ის დანებდა.

.....

შებინდებისას დაბერდა სიკვდილი.

ყვავილები დამჭკნარა სოფლის გზის პირას.

✹ ✹ ✹

მძლავრმტევნიანი ხელით მიმობნეული ახლადაყვავებული ხის ყვავილები...

ცეცხლით გადამწვარი, უკეთურობით დანაპრალებული დედამიწის აღორძინებას ამცნობდა სამყაროს...

.....

ტირილი შეეწყვიტათ ჩვილებს, კოცნით ამოეშრო დედას დილის ნამი, სამყაროშეუცნობელ თვალებში...

ფაფუკი თითებით, ჩუმი ღუღუნით ეალერსებოდნენ უშრეტ წყაროებად ქცეულ, დედის ცრემლიან თვალებს...

.....

გაზაფხული დამდგარიყო დედამიწაზე.

უკეთურობის დადუმებას გვაუწყებდნენ მიწას ჩაბღაუჭებული, ჭანგა ბალახის ამოხეთქილი წვეროები...

✹ ✹ ✹

თვალებში ჩაჩეხილა მზერა.

მე ვიგრძენი.

მან დაინახა. ჩემმა ქვეცნობიერმა.

დაინახა და დადუმდა.

დუმდა დიდხანს...

მზერას უსმენდა, მის სუნთქვას.

მისი სიკვდილის და დაცარიელებული თვალების ეშინოდა.

უჭირდა მზერას.

უძირო თვალებში ჩაჩეხილს სხეული სტკიოდა...

და-გუბ-ებული ცრემლის სიმლაშე ჭრილობებს სწვავდა...
ის კი მაინც ცოცხლობდა.
დროდადრო დაჩეხილი სხეულის ამოძრავებას ცდილობდა...
გრძნობდა, მგრძნობელობა შერჩენოდა...
საკუთარი დაწყვეტილი ნერვებით ეხვეოდა ქვეცნობიერში
ჩაკარგულ ფიქრებს...
.....
ფიქრები სტკიოდა დაღლილ გონებას...
მზის ამოსვლას ელოდებოდა თვალებში ჩაჩეხილი მზერა...

✹ ✹ ✹

შემოდგომის ბოლოა მის ცხოვრებაში. იცის მაგრამ ვერ გრძნობს.
ან არ უნდა იგრძნოს.
მხოლოდ იცის. გულმა. შეკუმშულმა.
შუასაყარში ჩავარდნილმა. მზის წნულთან ახლოს.
განსაკუთრებულად ამიტომ სტკიოდა.
განსხვავებულად.
შენებურად.
შენთვის.
.....
შენს მზერას ელოდება გული.
ის გული, შუასაყარში რომ ჩავარდნილა. მზის წნულთან.
.....
ელვას ჰგავდა.
მზის ამოსვლისას გაელვებულს.
მზის ჩასვლისას დამშვიდებულს.
მძიმედ სუნთქავდა.
თითქოს უფრთხოდა წვიმის წვეთებით დამძიმებულ ჰაერს

როგორ, როგორ იხვეწებოდა სული სიმშვიდეს...
გონიერებავ გული გიხმობს, იქ შუასაყარში.
მზის წნულთან ახლოს.
მძიმეა ტკივილი.
.....
 გრძნობის გაზაფხულებას ელოდა ქვეცნობიერი...

✹ ✹ ✹

ჩიტს ჰგავდა. პატარას. პატარა გული პატარა ჩიტს.
შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა შიშისგან...
შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა სიხარულისგან...
შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა სევდისგან,
შუასაყრის კედლებს ეხეთქებოდა ტკივილისგან და...
ფრთამოტეხილი პატარა გული...
ბოლოს ისევ საკუთარ გულისთქმას უგდებდა ყურს...
დაიარებოდა საკუთარ სხეულში, თავად რომ აცოცხლებდა...
დაიარებოდა საკუთარ ქვეცნობიერში, მისსავე არსებობას რომ ახსენებდა...
დაიარებოდა ფიქრებში, შენზე ფიქრს რომ უკრძალავდა...
და თავად, კი ძალიან ჰგავდა ჩიტს. პატარას.
პატარა გული პატარა ჩიტს...

✹ ✹ ✹

რომ დაღამდება და საკუთარ თავთან მარტო დარჩები...
მაშინ მიხვდები რამხელა ადგილი მიკავია შენს გონებაში...
ან იქნებ შენს სულში მხოლოდ...
არ ვიცი რომელი მენდომებოდა თავად...
მარადიულობა შენს სულში
თუ მუდამ შენს გონებაში ყოფნა...

ყოველთვის იქ სადაც შენ ხარ...
შენს ფიქრებთან ახლოს.
.....
გაზაფხული მოიპარებოდა დედამიწაზე...
მორაკრაკე რუს შესტყობია...
წყალსავსე მდინარეს დამსგავსებია,
და ღიღინღიღინით გაუგრძელებია გზა...
გაზაფხულის ამბის მოსაყოლად...
.....
გაზაფხულის დედამიწას ჰგავს ჩემი სხეული...
ათქვირებული, სავსე შენით, გაზაფხულით...
მიწიერებით, ეული წაბლისფერი ნაწნავით...
.....
არ ვიცი რომელი მენდომებოდა თავად...
მარადიულობა შენს სულში თუ...
მუდამ შენს გონებაში ყოფნა...
ყოველთვის იქ სადაც შენ ხარ...
შენს ფიქრებთან ახლოს.

✹ ✹ ✹

მაშ შორის მეც ვიყავი.
მაშ შორის, სევდას გონებით რომ დაატარებდნენ.
ველარ გრძნობდნენ მაგრამ ვერ ივიწყდებდნენ.
.....
ჩემს გონებაში მოხეტიალე ფიქრებს...
თითქოს მფარველად ევლინებოდა და ზღვარ-გადასულ,
მიწისა და ცის წიაღში გამოსასვლელად გამზადებულ ფიქრებს
შემოეკლაკნებოდა და გზას უკვალავდა...
ეგ გზა კი...

ცნობიერიდან ქვეცნობიერში იხლართებოდა უამრავ ნერვულ წნულებში. ქვეცნობიერი მხოლოდ საკუთარ თავს ანდობდა ეულ სევდას... მასში ფესვებგადგმულს.
მუდამ სადღაც კუნჭულში მალავდა, სხვა რომ არ დაენახა და სხვას რომ არ დაენახა. დრო-და-დრო თვალს შეავლებდა... თითქოს ილეოდა, წუხილი შეპარულიყო ქვეცნობიერში.
სევდა კი ილეოდა. თითქოს სამუდამო სამყოფელს ეძებდა.
.....
საკუთარ მაყვლისფერ თვალებს უფრთხოდა ქვეცნობიერი. ნაცნობ მზერას გრძნობდა სხეულის ტკივილამდე... მასში განლეული სევდის ეშინოდა... თვალებში რომ უპოვია
მარადიული თავშესაფარი...
მაშ შორის მეც ვიყავი.
მაშ შორის, სევდას გონებით რომ დაატერებდნენ. ვეღარ გრძნობდნენ მაგრამ ვერ ივიწყდებდნენ.

✷ ✷ ✷

შვილის საძილე არტერიას ხელით რომ შეეხო,
მაშინ იგრძნო როგორ ჩხვლეტდა მის გულს ბაყაყურას ეკლიანი ყვავილები.
.....
საკუთარი ცოცხალი სხეულით ეხვეოდა შვილის გაციებულ სხეულს.
გაყინული კიდურების გათბობას ცდილობდა საკუთარ მზის წნულს ჩამოტეხილი სხივებით, განსაკუთრებით მწველი რომ იყო...
სისხლის მოძრაობას წყვეტდა და თანდათან წვეთობით ერეოდა დედის თვალბუდეებში დაგუბებულ ცრემლს.
სადღაც, მის მიღმა მიმართული, შვილის თვალებში ჩამქრალი მზერა...
თითქოს ცისარტყელას ფერებში იკარგებოდა...

.....
დედას არ უტირია, არც შვილს.
ორივემ სიცოცხლის გამო ვერ იტირა.
ერთს არ შეეძლო, მეორემ ვერ შესძლო.
შვილი რომ მარადისობად იქცა, დედამ უკვდავება ირწმუნა.
.....
დედის გულს რომ ჩხვლეტდნენ ის ბაყაყურები,
წელში გადაწყვიტა დედის სევდას.
სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე მიმოებნია უცნობ მეყვავილეს.

✷ ✷ ✷

ორგზის დაუჩოქა ადამიანს და მიილია...
ერთხელ როდესაც დაიბადა. მეორედ როდესაც გარდაიცვალა
„ორგზის“ შორის იდგა დაჩოქილი...
არსაით მიმართული მზერით,
სამყაროს მიღმა რომ იმზირებოდა...
ხელისგულებით დაუსრულებლად სრესდა მიწას...
თითქოს გზას იკვალავდა დედამიწის შუაგულში ჩასაღწევად...
თითქოს მისი ნერვები დედამიწის ნერვებს შეზრდნოდნენ და...
კვნესოდნენ დაუსრულებლად...
დედამიწა კი დუმდა.
საკუთარი გულისკენ ჩამავალ გზას აკვირდებოდა...
მზის წნულს რომ მისდგომოდა უკვე...
დუმდა მზის წნულიც. საკუთარ ჩამოტეხილ სხივებს დასცქეროდა...
სადღაც, არსაით მიმავალი მზერით.
.....
ორგზის დაუჩოქა ადამიანს და მიილია...
ერთხელ როდესაც დაიბადა. მეორედ როდესაც გარდაიცვალა

.....
„ორგზის“ შორის იდგა დაჩოქილი...

✹ ✹ ✹

მაყვლისფერ ნაწნავში იკარგებოდა ერთი სევდისფერი ღერი...
.....
განსაკუთრებული იყო ეს ნაწნავი. თითქოს ცოცხალი. ყოველი მოძრაობისას სხეულის ნაკვთებში იძირებოდა და უეცრად გამოჩნდებოდა იქ, სადაც არ ელოდით...
თითქოს გულს უკან მიძინებულ ტკივილს შუასაყრის კედლები გაერღვია და მზის ჩამოტეხილ სხივებს მისდგომია საშველად.
მასში ჩაკარგული სევდისგერი ღერი კი ნაწნავის ნაჩვრეტებიდან იმზირებოდა მალულად კვამლისფერ სივრცეში.
ხან ხმელ ტოტებს შემოეხვეოდა კვნესა-კვნესით,
ხან მიწის ნაპრალებში ჩაიკარგებოდა და ხის ფესვებს ამოყვებოდა დედამიწის ზედაპირზე.
ფრთხილობდა, საუკუნის დარდს დაატარებდა.
დამშრალ რუებს ცრემლით აარაკრაკებდა და წინ...
წითელი ჰორიზონტისკენ წაიკლაკნებოდა ქვეწარმავლებით გაკვალულ ბილიკებზე...

✹ ✹ ✹

იდგა. მუხლმოდრეკილი...
პატარა, მორაკრაკე მდინარის პირას...
რომელიც დიდრონ ქვებს გაბრაზებული ეხეთქებოდა...
და აქაფებულ წყალში ცდილობდა სიბრაზის ჩახშობას...
რადგან ის... ასე მდუბარედ და მორჩილად იდგა... ქალს ჰგავდა.

დიდხანს იდგა და დიდხანს ფიქრობდა...
შემდეგ ადგა, ბოდიშის მოსახდელად ფეხის თითებით ოდნავ შეეხო კამკამა წყალს...
შეყვარებული, დამშვიდებული წყალი ნელ-ნელა ეპარებოდა მოსაფერებლად...
პირველი წვეთი თითის ბალიშებს ერგო, შემდეგ თითებს...
ტერფს... უკვე კოჭებს სწვდება.
ქალიც დამშვიდდა. თავისებურად. მდინარემ მორცხვად აპატია თვითმკვლელობის უტიფარი სურვილი.
ხავს-ჩანაწნავებულ თითებს შორის უსაყვედუროდ მოიკლაკნება პატარა მდინარის უფრო პატარა წყლის კლაკნილები...

✹ ✹ ✹

რომ მიდიოდა, ჩიტები ჟღურტულებდნენ დაუსრულებლად...
არ იცოდნენ სად მიდიოდა...
ვისთან ან ვისკენ
სიფრიფანა იყო, მძიმე ნაბიჯებით...
ერთადერთი მძიმე ნაწნავით, მთელს სხეულს ბრძენი გველივით რომ შემოხვეოდა...
ზოგჯერ წინ, გულისკენ გადმოიგდება...
მოშიშვლებული სანიშნეები რომ დაემალა...
ორი ცხოვრება ჰქონდა,
ერთი სიცოცხლე და ერთი სიკვდილი.
დღეღამესავით ენაცვლებოდა ერთი - მეორეს, ან მეორე-მესამეს, ან მესამე-მეოთხეს...
ახლა დაბნეული მიდიოდა, მძიმე ნაბიჯებით. ისეთი მძიმე იყო ეს ნაბიჯები...
ნერვული წნულები სტკიოდა დედამიწას...
და გამხმარ ხეებად კიოდა ალაგ-ალაგ... ან გაზაფხულზე,

ძირს ჩამოცვენილ ნუშის ყვავილებად კვნესოდა გამუდმებით...
ის კი მიდიოდა, და არავინ იცოდა საით. ზოგს საკუთარ სხეულში, ზოგს საკუთარ სულში, ზოგს კი საკუთარ ქვეცნობიერში დაატარებდა ეს გზა...

.....

შორიდან უმზერდნენ საკუთარ ხვედრს...
ნაფლეთებად ქვეული დედამიწის ნაწილები...
ჩიტები კი ჟღურტულებდნენ დაუსრულებლად.

✹ ✹ ✹

მე, რატომ? ისე ეკითხებოდა ჩემს ქვეცნობიერს მისი გაოცებული მზერა...
თითქოს ჩემი გული კი არა... დედამიწის გული გახვეულა მის მზის წნულში.

.....

თავბრუდამხვევი, ზომიერი ნაბიჯებით, და დედამიწის შუაგულისკენ თავდახრილი მიემართებოდა მისი გულისკენ... მორცხვ აზრებს რომ გაეკვალათ ვიწრო ბილიკი. ხან ფეხი დაუცდებოდა და გრძელი მაყვლისფერი ნაწნავით წამოეგებოდა ხმელ ტოტებს, ტკაცატკუცით რომ იწყებდნენ მტვრევას... ხან ხმელი ფოთლებით დაფარულ, დახეთქილი დედამიწის ნაპრალებში წაუცდებოდა ფეხი. ეძნელებოდა აკრძალული გულისკენ სვლა. მაინც მიდიოდა. ფიქრით, აზრით, მარწუხებში მოქცეული ცნობიერებით.

.....

ურცხვად დაიარებოდნენ მზის მწველი სხივები მის თითქოს დაკაწრულ სახეზე...
მის მზერას ითხოვდა მზე...

.....

მხოლოდ მცხუნვარე მზისკენ თავაწეულს შეემჩნია... მწვანე მდელოზე, ერთ ადგილას დატკეპნილი ბალახი. საკუთარი სხეულის უძრაობა აღიქვა ანაზდად. მის გონებაში დაბადებული მოხეტიალე ფიქრების ძალა.

.....

და რა იცოდა სინამდვილეში რას გრძნობდა მის მზის წნულში გახვეული,
ჩემად ყოფილი დედამიწის გული.

✹ ✹ ✹

ხშირ წამწამებს შორის,
მხოლოდ ერთი გასთეთრებია.
ერთი პატარა ღერი...
ცქრიალა თვალებს განსაკუთრებით მიმზიდველს რომ ხდიდა.
წამწამებს, შორის თვალებში ჩახედვას თუ მოახერხებდი...
ასაკისფრად გათეთრებულ, თვალებში არეკლილ წამწამს
დაინახავდი უძირო ფსკერს რომ მიუყვებოდა სხეულის სიღრმეში...
იქ დიდხანს სდუმდა. არტერიებისა და ნერვების გზის გასაყარზე.
სდუმდა და ფიქრობდა...
სისხლის უჯრედებს შეზრდოდა და სამყაროს დარდი ემცნო
მთელი სხეულისთვის თუ ნერვულ წნულებში ჩაწნულიყო და...
ერთ დიდ გულად ექცია მგრძნობიარე სხეული.

.....

უამრავ პატარა წამწამებს შორის, მხოლოდ ერთი გასთეთრებია.
ფიქრებში განლეულა მისი სიცოცხლე.

✹ ✹ ✹

ვარდისფერი ყვავილებისფერი კაბა შვენოდა მის ხორბლისფერ პირ-სახეს...
თუმცა აქ მთავრდებოდა მისი სულის სიმშვიდე...

თაფლისფერი თვალების ღრმა, ალაგ-ალაგ სამყაროს შუაგულისკენ მიმართული უტყვი მზერა მოკრძალებულად ჩასრიალებულა კოხტად ჩაწნულ ნაწნავში და...
გარინდებულა...
ძალუმად აძგერებული გულის თქმას ელოდებოდა შეუცნობლად...
საკუთარი სხეულის შეგრძნებებს უგდებდა ყურს და დუმდა.
აზრის დაბადებას გრძნობდა მისი სხეული...
ქანცგაწყვეტილი აზრის დაბადებას. კივილით იბადებოდა აზრი...
სამყაროს უკეთურობას გრძნობდნენ მისი ჯერ ისევ მოუმწიფებელი უჯრედები.
. . . . . .
ურცხვად, მაგრამ თავდახრილი დაიარებოდა აზრი ქალის სხეულზე.
რცხვენოდა და ირიბად უმზრებდა მის ტორსის მკვეთრ ნაკვთებს...
მორცხვად რომ ჩამალულიყვნენ ვარდისფერი ყვავილებისფერი კაბის ნაკეცებში...
მხოლოდ ვარდობაგადაცილებულ კოკრებს შორის იკლაკნებოდა თავაწეული...
.....
უხმოდ, მგზნებარედ, მიზანმიმართულად მიიწევდა
მზის წნულის ვნებაალეწილი უჯრედებისკენ...
მზესუმზირების ყვავილებისგან ჩაწნული გვირგვინით
გარშემორტყმულნი,
ურცხვად რომ ელოდნენ სიკვდილმისჯილის მზერას.
.....
მის ხორბლისფერ პირ-სახეს კი...
ოხ, რა საოცრად შვენოდა... ვარდისფერი ყვავილებისფერი კაბა.

✹ ✹ ✹

ჩემს მზერას კვეთდა...
და ჰორიზონტს მიღმა აღწევდა,
მისეული აღქმა მიწიერების.
ნაკადულებად გაუყვებოდა
ნაზამთრალ რუებს...
გვალვიანი მიწის დამსკდარ ნაპრალებს
გვერდს აუვლიდა და...
მკათათვის გადახრუკულ მინდორში,
ეულად მდგარ,
ერთადერთ ხეს მიეკედლებოდა.
.....
ხე უცნობს დაერგო.
არავინ იცის ვინ იყო,
გრძნობამორეული თუ უგრძნობი,
სევდიანი თუ უსევდო,
გონიერი თუ უგონო...
თუ ზღვარზე მდგომი,
გახლეჩილი გონებით...
მდუმარე ქვეცნობიერით...
დაწყვეტილი ნერვული წნულებით,
უძრავი საჩვენებელი თითით
და სისხლძარღვებზე დაკიდებული გულით.
.....
მხოლოდ შებინდებისას სჩანდნენ ლანდები.
არც ადამიანისას ჰგავდნენ,
არც ცხოველისას,
და არც ქვეწარმავლისას.
.....

იმდენ ხანს სცემდა ადამიანური ტკივილი, ადამიანის სევდას...
სევდამ თვალები დახუჭა.
შიშს ვერ გრძნობდა,
მხოლოდ ადამიანი ეცოდებოდა.
ადამიანი სევდის გარეშე.

✹ ✹ ✹

ზოგჯერ გინდა... საკუთარი ცხოვრება ტეხილებად აქციო და... ხელახლა ააწყო.
ტეხილები სხვადასხვა ზომისაა. დიდი ტკივილი, პატარა ტკივილი აჩქარებული გული, აკვიატებული აზრი მკათათვე, თიბათვე ან ვარდობისთვე, ამოიღებ ან ჩატოვებ ერთ დღეს ან ორს ან ხუთს.
.....
გულმა დამიძახა დილაადრიან, ეს მაშინ იყო მკვდარ უჯრედებში... სიცოცხლის ნამი რომ იწრიტებოდა. მე რომ მეძახდა, დიდრონი თვალებით მიმზერდა შეშინებული... ჩემი პასუხის მოლოდინში.
.....
გული რომ მეძახდა იმ დილას, ჩიტებიც მიხმობდნენ ჭიჭკიჭკით... საკუთარი ბუდისკენ მანიშნებდნენ ქვეცნობიერად. გამხმარი ხის ჩამოტეხილ ტოტებს შორის რომ აუშენებიათ. ცალ ტოტს მზის ჩამოტეხილი სხივი დასცემია გამთენიისას, ბუდიდან რამდენიმე ბარტყი გადმოვარდნილა და ხმელ ტოტებს შორის ჩაჭედილა...
.....
ზოგჯერ გინდა... საკუთარი ცხოვრება ტეხილებად აქციო და... ხელახლა ააწყო... მაშინ როდესაც ჩემს მზეს ერთი სხივი აკლია მხოლოდ.

✹ ✹ ✹

ნინო...

მოკვდა.

მოკვდა ის.

ტკივილის, გრძნობის და განცდისთვის დაბადებული.

კვდებოდა ჩუმად. სახეს მიფარებული ხელებით.

დანაოჭებული შუბლი ღრმა შეგრძნებისგან.

სურვილი სიმღერის და უუნარობა.

ფშავ-ხევსურეთი. თუმცა უცნობი კუთხე მამულეთისა.

ფანდური.

სიბნელეში მოსმენის სურვილი სიმღერის...

უცოდველი მკერდის ტკივილი.

ტირილის სურვილი, ვტირი... ვტირი კიდეც.

შიში საკუთარი თავისა... ადამიანების დაცინვა უსწავლებია ეშმაკს!

სულიც ხორბლისფერი, კანივით.

.....

კვლავ ღრმა შეგრძნება საქართველოსი. გულის გამგმირავი ძახილი

გასულ საუკუნეთა.

მტკივა სული. ჯერ მტკივა... ძლიერ.

ვგრძნობ ღრმად. ხორცის ტკივილამდე. გონების დაბინდვამდე.

თვალს აეფარა ჭუჭყი... გაუსაძლისად სუფთა მიწისა.

თითქოს ერთია: სიმთა ჩამოკვრა.

მაჯისცემა მომაკვდავი გულისა.

მზის სირცხვილი. მის სხივებზე არეკლილი გლოვა

შვილდაკარგულ დიაცთა.

ზნეობადაცემული სამყაროს თვითმკვლელობა.

მოვკვდი მე... ის.

ტანმა... ტანმა იკივლა უპირველესად.

ჰაერიც დასნეულდა თითქოს. სუნთქვა გაუჭირდა ადამიანებს.

გულმა იგრძნო: მზე და ქარი.
მიძინებული გულისთქმა.
ხანდაზმული სევდა.
საკუთარი სქესის შეგრძნება...
ცოცხალი თვალები მკვდარი გამომეტყველებით.
მოკვდა. ინფარქტი.
გარდაიცვალა სხეული მისი...
თვალებიც მკვდარი... მკრთალი ნაღველიღა შერჩენოდა
შეუმჩნეველი.
ნინო!
ნიინო!!
ნიი...ნოო!!!
აღმოსავლეთით ძახილი შემცბარი მზისა...

✹ ✹ ✹

დედამიწას ჰგავს... ჯერ შიშველს.
გაზაფხულზე მოხნულსა და მგრძნობიარეს... სათესლედ
გამზადებულს, ახალი სიცოცხლის აღმოსაცენად ბაგეგახსნილს და
სურვილ-წყურვილისაგან დამსკდარს.

დედავ-ქალ-დედაო!

მზეს ჰგავს... ზაფხულისას... მწველს და მოალერსეს... ხელს რომ
გაწვდი მის შესახებად და დაგწვავს... ნაკვთებს რომ მიუალერსებ
მისსას და სურვილისაგან
ანთებული ცეცხლის ალივით დაიკრუნჩხება...

დედავ-ქალ-დედაო!

თივის ზვინს ჰგავს... ვნებიანს... წამში რომ აიტაცებს ალი და მკლავებში მოიმწყვდევს... სათუთად ეფერება ჯერ... ენით ეხება... ღრმად აღწევს კანში. მგრძნობიარე ბოჭკოებს ეძებს... მთელს სხეულს იპყრობს თან-და-თან.
ცივი გველივით შემოეჭდო და ეფერება... „ცივი“-საგან ძლიერ აგზნებულ ცხელ სხეულს.
მკერდს უახლოვდება, ცდილობს დაიპყროს... „დედობისათვის“ სანიშნედ გამზადებული ორი ღვთაება...
სისხლით გრძნობს შვილოსნობას და... სქესს... ის!
ქალის სხეულად წოდებული დედამიწა...

დედავ-ქალ-დედაო!

აზრს ჰგავს! კაცის გონებაში, მისთვისვე დაბადებულს... ნახევარსფეროებს შორის,
მიწასავსე ღარში თესლად ჩაგდებულს და ცოცხალ აზრად აღმოცენებულს... აზრად... ქალ-კაცის შესახებ...

დედავ-ქალ-დედაო!

✹ ✹ ✹

გენთა ჭიდილი.
უხმო.
ღრმა.
უიარაღო, უცეცხლო...
როგორც სისხლში თეთრი და წითელი ბურთულების მუდმივი ბრძოლა გამრავლებისთვის.
.....
აგრეთვე საშუალოს...

უ მნიშვნელო.
უ მოძრაო
უ ჟანგბადო
.....
თითქოს „უ“ ამჟამად სინამდვილეშიც „უ“
„ჩვენ, თქვენ, ისინი... ცოცხალ სისხლში“
გენთა ჭიდილი.
დასერილი მიწის ამოძახილი
ბაგეებით ამოწოვილი სიცოცხლე, როგორც შხამი კანის
ნასერებიდან გველის კბენისას.
გენი. არსი და რაობა.
მკვდარში ცოცხალი
ცოცხალში მოძრავი, უტყვი ტკივილი.
მარადისობა გამოვლილი?!
მკვიდრი. ძლიერი. გადასაცემი.
თბილი, ახლად გამოშვებული სისხლივით.
საუკუნეებში ჩაზრდილი... დედა-სხეულში ჩამავალი ნაყოფის
ნერვებისა და სისხლმილების მსგავსად.
გენთა ჭიდილი.
ასეთი ურცხვი და ამაზრზენი.
მანდილით დაფარული და ძლიერი.
გენთა ჭიდილი სულის ტკივილით.
საუკუნეები ჩემსკენ გამოწვდილი ხელებით.
მიწისძვრა.
ორად გაყოფილი დედამიწა, სუსტი მყესებითღა დაკავშირებული
მისი შუაგულიდან გადმოსული ცხელი.
ჩემსკენ მდინარი...

გენი! ლავად ამოხეთქილი!
ჩემში ცხელ სისხლად ჩაღვრილი... და მკერდში რძედ ქცეული.
გენი მამაცი. მტრიანი. თუმცა ნაწნავებით გარემოცული.
უბედურების ჟამს აღქმული და უხილავი თვალით დანახული.
გენთა ჭიდილი.
უხმო.
ღრმა.
უიარაღო. უცეცხლო.

✹ ✹ ✹

გუგუნებს. გმინავს და ბობოქრობს მიწისძვრისას...

თავნება. როგორც მთა
ვნებიანი და ცხელი... როგორც ქალი და ცეცხლი
ბარაქიანი. ნაყოფიერი. ნაყოფიანი!
მიწა ორსული. ადამიანის შობისთვის გამზადებული!
სველი ნაწვიმარზე.
როგორც ქალის თვალები... „დედობის“ წინ
როგორც შველი მონადირის წინ...
გუგუნებს. გმინავს და ბობოქრობს მიწისძვრისას...
სისხლმდინარი ნაპრალები
ნახევარსფეროებად ქცეული დედამიწა და...
„სველიით“ დამშვიდებული მისი ცხელი, ოხშივარი სხეული
გვალვა. ფხვიერი. შავფერდაკარგული უსუსური მიწა.
როგორც.
წყლის წვეთებს მოწყურებული ქალის გვალვანარევი
აქერცლილი ტუჩები „შვილთა“ შობისას...
და ძუძუს რძეს მონატრებული ახალი სიცოცხლე.
გუგუნებს. გმინავს და ბობოქრობს მიწისძვრისას...
როგორც.

დედა... შვილის სიკვდილისა და დაბადების წინ.
კვდება და კვნესის.
იბადება და კვნესის.
ქალი და მიწა.
ვნების, სიკვდილის, სიცოცხლისა და ცეცხლის სამეუფოში...

✷ ✷ ✷

ცეცხლი გახელებული
ცისფრად შეფერილი ენით
.....
მძიმე.
ვნებიანი.
გაბედული.
ამაყი...
სავსე... ცხელი ნაწილაკებით.
გაუმაძღარი.
ხელი. ცეცხლით ალოკილი.
სადა კანით. ბუსუსებისგან თავისუფალი.
უცნაური ალერსი ცეცხლის.
ტკივილში გადასული.
ერთმანეთის გადასარჩენად ამოძრავებული დალაქავებული
ფრჩხილები.
ცეცხლი. ორგანიზმი.
ხელის დაკრუნჩხული სხეული.
ჰაერის ცხელ ნაკადს შემოხვეული.
ვედრებით სავსე სივრცე.
დამშრალ კანზე ამობურცული, დამსკდარი წყლულები...
მათ შორის ჩამჯდარი სიშავე.

მოფარფატე ფერფლით სავსე ატმოსფერო. აქა-იქ დედამიწაში ჩასობილი
გამოფიტული ძვლის ნაწილები.
ცეცხლი. უკვე დამცხრალი.
მზით გადახრუკული ბალახისფერი. ცოცხალი ცხელი...

ომის ჩანახატები

✹ ✹ ✹

საუკუნეებით მდუმარე დედამიწის კივილი ისმოდა სამყაროში...
მისმა ხმამ შესძრა ყოველივე ცოცხალი,
შეშინებული, შემცბარი მზე გამალებით ცდილობდა მის გადარჩენას...
მაგრამ იწვოდა ომის ბავშვი...
დედამიწის კივილი ახშობდა მის ხმას...
დედის ძახილს ეომებოდა თითქოს...
ცხრაშვილობილა მზეს მკლავებში მოუმწყვდევია დედა და მის თვალებს სიჩუმეს ევედრებოდა...
მაგრამ!
იფერფლებოდა, ჯერ კიდევ მზეკუკულებიანი სიცოცხლე...
. . . . . .
ნანგრევებზე დაიჩოქეს ეკლესიებმა!
გული გახეთქოდა დედამიწას!

✹ ✹ ✹

თამარაშენში უპოვიათ.
მაცხოვრის ეკლესიასთან.
ცალ მუხლზე მდგარა. თავდახრილი. ნატყვიარი ზურგით.

ეკლესიის კედელს მიყრდნობილი.
დედას უპოვია.
ჯერ ფეხი... ფეხსაცმლიანი, სხეულის გარეშე.
შემდეგ კვალი შეუნიშნავს ყაყაჩოსფერი.
გული გაჰყოლია ნაკვალევს.
ეკლესიისთვის შემოუვლია,
სათითაოდ გადაუთვლია ქვის ლოდები...
სიკვდილ -სიცოცხლის ზღვრები ამოუკითხავს...
ის კი, ისევ იქ იდგა თითქოს.
თვალი დაუხუჭავს დედის გულს...
საკუთარი ნერვები დაუგლეჯია.
ცალმუხლმოდრეკილის მიღმა მიუმართავს მზერა...
გულს ვერ გრძნობდა... თავისას არა.
შიშმა მიიყვანა.
დაკოჟრილი ხელები შემოახვია მის ზურგს და მოაბრუნა...
. . . . . .
ყაყაჩოსფრად იწვეთებოდა ცარიელი შუასაყარი.
. . . . . .
ქვის ლოდად ქვეულა დედის სხეული.
გული კი ახლაც დაიარება ლიახვის პირას...
შვილის ამოგლეჯილ გულს დაეძებს...
მაცხოვრის ეკლესიასთან მლოცველ შვილის გულს...
თამარაშენში უპოვიათ. მაცხოვრის ეკლესიასთან.
დედას უპოვია.

შინდისის ბიჭებს...

მარიამობისთვე იდგა ფერფლისფერ სამყაროში. დაკორტნილ ლილიფარებს შორის მოაბიჯებდა... ძლივს მოათრევდა

სისხლის წვეთებით გადაწითლებულჩექმიან ფეხებს...
უმოწყალოდ ტეხდა თავჩაქინდრულ მზესუმზირებს.
აღრიალებული ლიახვი უშედეგოდ ცდილობდა მზის თავების კვნესა-გოდების ჩახშობას... სისხლის შინდისფერ კოლტებს დაეხშოთ შინდისის დანაპრალებული მიწა...
. . . . . .
ჩვიდმეტი გული. სიკვდილმისჯილი. ზარ-ჩამოკრული სამშობლო ჩემი.
. . . .
ნანგრევებს შორის მოსჩანდა. ფეხი. მარჯვენა. ერთი. ხელი მარცხენა, ხელი მარჯვენა. ადამიანის თვალი. ცალი.
იმზირებოდა სამყაროს მიღმა. გაფართოებულ გუგებში ჩარჩენილი დარდით. ერთმანეთის ძახილით კვნესოდნენ ქართული სახელები. პასუხი იყო მკვდარი და ცოცხალი.
ცოცხალ პასუხში ამოხეთქილი დარდი უმალ ესმოდა არეულ გონებას.
გულს წვდებოდა, დედამიწის გახეთქილ გულს.
რუსის ჩექმის ნეტარფალ სხეულს, ულმობლად ეპარებოდა ალისფერი ცეცხლი...
ცას წვდებოდა აღრიალებული ლიახვის ხმა...
. . . . . .
ჩვიდმეტი გული. სიკვდილმისჯილი. ზარჩამოკრული სამშობლო ჩემი.
. . . . . .
ზოგი იდგა, ზოგი იჯდა, ზოგი იწვა. იდგა-თითქოს კლდეს მიყრდნობილი, უფსკრულში ჩაჩეხილი გულით.
იჯდა - თითქოს კლდეს მიყრდნობილი, საუკუნეებში ჩაზრდილი გენით.
იწვა - თითქოს კლდის ძირში, საკუთარ ტკივილს ჩაჭიდებული.

სადღაც დედები ელოდნენ თურმე, შუასაყრიდან ამოგლეჯილი
გულებით ხელში.
რძე გაშრობია სადინარებში. მეტყველი თვალების უტყვი
მზერით მისჩერებოდა საკუთარ პირმშოს.დიდხანს ელოდა.
დუმდა სამყარო.
გამთენიისას ამოვარდნილმა ქარმა ოდნავ შეაღო კარი
ღრჭიალით...
. . . . . .
ჩვიდმეტი გული. სიკვდილმისჯილი.
ზარ-ჩამოკრული სამშობლო ჩემი.

* * *

აღარც ძაღლები ყეფდნენ სოფელში,
აღარც ჩიტები ჟღურტულებდნენ.
მზით გადახრუკულ,
ცეცხლით გადამწვარ ველ-მინდვრებს
სისხლის ნაკადულები შერეოდა და...
ყაყაჩოსფრად ირეკლებოდა ფერფლისფერ ჰორიზონტზე.
. . . . . .
ფრთხილად ჩქარობდა,
ცდილობდა დაფლეთილი ფეხისგულები,
ეკლიანი ბაყაყურებისთვის აერიდებინა.
ახალგაზრდა ქალი,
გამთენიისას რომ შევერცხლოდა თმა,
ისე ძლიერ იკრავდა საკუთარ ჩვილს,
თითქოს მისი, საკუთარ სხეულში დაბრუნება სურდა.
სამყარო დუმდა და სამყარო კიოდა.
დედამიწას გული სტკიოდა,
სადღაც, შუასაყარში ჩაჩეხილი.

სდუმდნენ სევდიანი მინდორ-ველები,
განსაკუთრებით რომ გრძნობდნენ ადამიანურ ტკივილს,
ერთგულად უნახავდნენ დედებს საკუთარ შვილებს,
ზოგს ის ხელი დაუტოვებია მისთვის დედას ჭაღარა თმას რომ გადაუწევდა...
ზოგს ფეხი,
ზოგს საკუთარი მზერა,
ზოგს კი ხელისგულები გადაუშლია და ზედ...
მზის წნულში გახვეული საკუთარი გული დაუბრძანებია.
ახალგაზრდა ქალი კი გზას განაგრძობდა.
სასტიკ სიჩუმეს მხოლოდ ჩვილის ტირილი არღვევდა ზოგჯერ.
. . . . . .
ნაფეხურები რომ დაინახა,
ორი ცოცხალი მოუკვდა თურმე,
მზერა და გული.
ნაფეხურების გვერდით,
ხელისგულისოდენა ნაფეხურები რომ დაინახა
ჩუმმა ტკივილმა ცემა დაუწყო...
ისე გამალებით ურტყავდა ტკივილი...
შევერცხლილი თმა დაუბერდა.
. . . . . .
ორნი იყვნენ,
არა, სამნი. ჩვენთვის,
ისინი მესამეს არ სთვლიდნენ.
მესამეს ხელისგულისოდენა ნაფეხურები ჰქონდა.
ერთმა, ფართოხელისგულებიანმა...
მესამეს რომ შეხედა, კლდეს ნატეხები ჩამოუგორდა.
სროლა რომ დაუპირა,
ჩვილმა იტირა,

ქალმა იკივლა...
ტყვიის ზუზუნმა სამყარო შესძრა.
. . . . . .
„მესამე“ იქვე, მინდვრის პირას დაესვა ქალს,
საკინძე გაეხსნა და ისე მისჯდომოდა თავად.
ცრემლით ნამავდა გაქვავებულ მიწას,
დასისხლიანებული ხელებით ხან მიწას სთხრიდა,
ხან სამყაროს დარდად ქცეულ ჩვილს ეფერებოდა
უკანასკნელად...
ჩიტებს შეავედრა,
გაზაფხულზე მისი ამბავი მოეტანათ მისთვის.
. . . . . .
ფრთხილად ჩქარობდა,
ცდილობდა დაფლეთილი ფეხისგულები,
ეკლიანი ბაყაყურებისთვის აერიდებინა.
ახალგაზრდა ქალი,
თმა რომ დაჰბერებოდა,
ისე ძლიერ იკრავდა „მესამეს“,
საკუთარი ყოფილიყოს თითქოს.
. . . . . .
სოფლის ეკლესიაში, ღვთისმშობლის დამტვერილ ხატზე,
გზა გაუკვალავს ღვთისმშობლის ცრემლებს.

✷ ✷ ✷

(ეძღვნება გია და გელა რომელაშვილების ხსოვნას)

ორგან დასერილი სხეულით ელოდა მამა ორ შვილს,
ექვსი თვე გასულიყო იმედის დაბადებიდან...
საკუთარი გული ხელში ეჭირა,

მაშინ როდესაც ძმა ძმის გულს დაეძებდა ფერფლისფერ დედამიწაზე...

. . . . . .

ცხინვალს რომ მიუახლოვდნენ...
დედის გულმა კვნესა დაიწყო,
წინ ერთი ძმა მიდიოდა,
უკან მეორე...
სისხლი ყიოდა,
სული კიოდა,
მზის წნული საკუთარ მზეს ნერვებს წყვეტდა...
და უმოწყალოდ ურტყამდა დედამიწის გულს.
წინმიმავალი ხარბად ისრუტავდა მონატრებული ცხინვალის სულს,
საკუთარ თვალებში მალავდა დანგრეულ სახლებს,
ცალხელა ბავშვებს, საკინძე გადაგლეჯილ ქალებს...
ტანკი რომ აფეთქდა,
დედამიწის ტკივილს ახშობდა მზით გადახრუკულ,
ცეცხლით გადამწვარ მინდვრებში...

. . . . . .

ცოცხალი იდგა ცოცხალი მკვდრების წინაშე.
შიშს ვერ გრძნობდა.
საკუთარ ცხინვალში არც ტყვედ მიაჩნდა თავი.
მისი გული ძმის გულს დაეძებდა,
გამალებით ცდილობდა მისი გულისძგერა შეეგრძნო,
საკუთარ თვალებში ჩაბუდებულ ტკივილში...
რიგრიგობით ათვალიერებდა დაჭრილ ჯარისკაცებს,
მხოლოდ გულის მხარეს რომ შერჩენოდათ ხელი,
ცისკენ მიმართული ცალი, შუშის თვალით.
სადღაც იქვე, მის თვალებში ჩვილი ტიროდა გამალებით...

დედა კიოდა გამწარებით...
მზე ცას მოსწყვეტოდა და დედამიწის ნაპრალებში ჩავარდილა...
მტკიცედ იდგა ფეხზე,
მტკიცედ იდგა მუხლებზე...
ტკივილს ვერ გრძნობდა,
ვერც ხელის მტევნებს.
ვერც ფეხის ტერფებს.
გამთენიისას მოსწყდა სისხლსავსე აორტას დედის გული და
შუასაყარში ჩავარდა...
მზის წნულს დაეძებდა,
ტკივილს ტკივილი რომ დაეხშო.
. . . . . .
ცის კაბადონზე ჩანდა,
ტანკი... N406.
ძმამ ძმის გული რომ ვერ იგრძნო ცას ნაწილი ჩამოსტყდა,
აფეთქების ხმამ დედამიწას გული გაუხეთქა,
ჩიტის დამწვარი ბუდეებიდან თავწაწყვეტილი ბარტყები
ცვიოდნენ...
. . . . . .
ხუთჯერ შეაღო მამამ დედამიწის კარი,
ხუთი ვაჟკაცი ნახა, ხუთი სეხნია.
მათში არც ერთი ძმა.
. . . . . .
მუხათგვერდის სასაფლაოზე ორი განსაკუთრებული საფლავია.
ერთში სულია მხოლოდ,
მეორეში ჯარისკაცის ხელი და ნაბიჯები.

პაპა გიორგი

(ეძღვნება გიორგი პაპაშვილის ხსოვნას)

ზარს ჩამოეკრა არკნეთში. პაპა გიორგი გარდაცვლილა...
. . . . . .
მზემოწყენილი ამინდი თენდებოდა სოფელ არკნეთში...
სოფლის ნახირი გამთენიისას შეფენილიყო გადახრუკულ მინდვრებზე...
რამდენიმე მათგანი უკან ჩამოსულიყო და გზის გასაყარზე იდგა უწესრიგოდ...
. . . . . .
დიდი კაცი იყო პაპა გიორგი, დიდი კაცი დიდი გულით.
ფართო გაშლილი მხრები ჰქონდა...
მთელი ქვეყნის დარდს რომ დაიტევდა ისეთი.
საკუთარი ოჯახი ენატრებოდა პაპა გიორგის,
საკუთარ სამშობლოში საკუთარი ოჯახი.
კერას არ ტოვებდა...
საკუთარ სამშობლოში, საკუთარი ოჯახის მონატრებულ კერას.
პატარა გიორგი ჰყავდა დიდ გიორგის.
მისი კერის ცეცხლს ინახავდა პაპა გიორგი...
უკვე ცხინვალ-კაცობას ჩემულობს პატარა გიორგი.
. . . . . .
ერთხელ მყავს ნანახი.
მთას ჰგავდა. შეუვალ კლდეს.
ჩემს ხმას ლოცავდა...
ჩიტების ჭიკჭიკს ამსგავსებდა.
ჩემს დედას ლოცავდა კიდევ, ჩემი გაზრდისთვის...
მისი გიორგის დედის გაზრდისთვის...
მერცხლის ბუდეებით ავსებულა ცეცსხლჩაუმქრალი კერა.
გზის გასაყარზე იდგა ბაგას მიუსვლელი საქონელი...
. . . . . .
დახლართულ მავთულებს მიღმა იდგა...
დიდი გიორგის შვილი და პატარა გიორგის მამა...

ჩაუმქრალ კერაზე დატოვებული გულით იდგა.
საკუთარი ჭერის ქვეშ... მერცხლის ბუდეებისკენ გაწვდილი ხელებით...

. . . . . .

მოუთმენლად ელოდება ყოველ გაზაფხულზე მათ გამოჩენას...
საფლავზე ჩაუმქრალი სანთლის ამბავი მოაქვთ მისთვის.

. . . . . .

ზარს ჩამოეკრა არკნეთ-სოფელში, პაპა გიორგი გარდაცვლილა.
მისი გული ძგერს ჩვენს ოჯახში. ჩემს ქვეცნობიერს ანათებს მის კერაზე ჩაუმქრალი თაფლის სანთელი...

პაპას ბაღი

მთელი ღამე ისმოდა სროლა.
ესროდნენ შვილებს, მათ შვილებს და შვილების შვილებს...
მთელი ღამე არ ეძინა პაპას.
არც დაწოლა უფიქრია, არც დაჯდომა, არც უბრალოდ ჩამოჯდომა.
არც ძილი ეკარებოდა, არც შიში, არც სიკვდილი.
პატარა კაცი იყო, ჩია კაცი.
დიდი გული ჰქონდა, შუასაყარში არ ეტეოდა მისი გული.
ამიტომ სულ გარეთ იმზირებოდა ნაჭრილობევი შუასაყრიდან.
არც მის გულს ეშინოდა. მთელი სოფლის დარდს იტევდა.
დიდი თვალები ჰქონდა მის გულს. ბევრი ადამიანის სევდა ეტეოდა მის ფსკერზე...

. . . . . .

ერთი უხილავი სხივი იმალებოდა პაპას თვალებში.
მზეს ჩამოსტეხოდა ეს სხივი... დაფერფლილი სამყარო ვერ აშინებდა ამ სხივს.

. . . . . .

კლდესავით იყო პაპა...მთელი ღამე დადიოდა... ჩუმად იპარებოდა საკუთარ ბაღში...
ცალი ფეხი ჰქონდა პაპას. ცალი ფეხით მიიპარებოდა, ჩაიმუხლებდა არარსებულ მუხლებში და კვალს წაშლიდა.
. . . . . .
ხურჯინი ჰქონდა პაპას, სხვა დროს ჩურჩხელებით ავსებდა ან საკუთარ ბაღში დაკრეფილი ვაშლებით. ფერი დაჰკარგვოდა ხურჯინს.
ტყვიას გაეხვრიტა ალაგ-ალაგ.
ცალ მკლავზე მოეკიდა ხურჯინი. ცალი მკლავი ჰქონდა პაპას.
ლიახვს მიღმა დარჩენია მეორე. თვალიც მოუკრავს.
არარსებული მკლავი სტკიოდა პაპას...
არსებული გული ეკუმშებოდა...
ლიახვის აწითლებულ ნაპირებს დასტრიალებდა მისი ფიქრები...
. . . . . .
ქალის კივილმა შესძრა სამყარო...
პაპას ბაღში კიოდა ქალი.
სხვა კივილი იყო ეს, სხვა ტკივილი.
ჩამოტეხილი სხივი გამთელებოდა მზეს.
. . . . . .
„ლიახვიზე“ გამოჰპარვია დედას მზეკულულებიანი ბიჭი...
პაპასავით დიდგულა ყოფილა ისიც...

✹ ✹ ✹

კალთებაწეული მიუყვებოდა ფრონეს... თავშალმოხვეული... წინსაფრის კიდეები აეწია და წელზე შემოხვეულ თავისსავე თასმაში ჩაუმაგრებია.
ტყის კენკრის საკრეფად გამოსულა...

ხუთიოდე წლის ონავარი ახლდა თან.
დაკოჟრილი ხელით ჩასჭიდებოდა მის გამაყვლიანებულ ხელს, მწიფე მაყვალი ისე უყვარდა პატარა მორბედს...
არც ავადსახსენებელი ეკლის და არც დაღლის არ ეშინოდა...
ოღონდ დიდედას წაჰყოლოდა ტყეში და რას არ იზამდა...
ხტუნვა-ხტუნვით ჩამოარიგა მეზობელ-მოკეთეებში დიდედას გამომცხვარი პური...
კიბესთან, მიწყობილი ფეხსაცმელი თასმებშეუკრავად ჩაიცვა და ტყისკენ მიმავალ დიდედას გაჰყვა ონავრობით...
. . . . . .
უცნაურად მოედინებოდა ფრონე.
ადამიანის სახე ჰქონდა თითქოს...
ადამიანური გრძნობებით.
შეშფოთებული შეჰყურებდა ტყისა და მდინარის პირას მიმავალ ხელიხელჩაკიდებულ დიდედა შვილიშვილს... დედა, რომ შეეცვალა მზეკულულა ბიჭისთვის. ამის შესახებ იცოდა ფრონემ. ხშირად უნახავს წყლის პირას მჯდარი გულდამძიმებული დიდედა...
მუდამ რაღაც რომ ჰქონდა წინსაფრის კალთაში შემონახული...
არც მარიამობისთვე ჰგავდა მარიამისთვეს. მოეწყინა მკათათვეგავლილს...
გადამწვარი ბალახის სუნი ტრიალებდა ჰაერში.
დიდედა და მორბედი კი გზას მიუყვებოდნენ.
იქვე, ფრონესთან ჩაიმუხლა დიდედამ...
კამკამა წყალში შევარდა მზეკულულა ბიჭი...
სისხლი აუჩქროლდა დიდგულა ფრონეს...
. . . . . .

ტყიდან გამოვიდნენ. სამნი იყვნენ, ოთხნი ან ხუთნი. დიდედას ვერ გაერჩია რა ეჭირათ ხელში არც ენა ესმოდა მათი. ყური მოუკრავს... სადღაც იქვე... ფრონეს მიღმა... საიდანღაც, იქვე... ფრონეს მეორე ნაპირიდან ღამღამობით დაჭრილები მოჰყავდათ თურმე სოფელში...

დაღამდა უცებ, მზე ჩაესვენა. შიშისგან დადუმდა ფრონეც. გამთენიისას...

ფრონეს წყალს გაყოლილი თასმებშეუკრავი ფეხსაცმელი უნახავთ სოფლის ბოლოში...

✹ ✹ ✹

ნანგრევებზე მიმოფანტული ფეხსაცმელი...
სხვადასხვა ზომის...
თითო-თითო.
ნაწყვეტი თასმებით...
. . . . . .
ჩაუცმელ ხეებს შემოხვეული მლიქვნელი კვამლი.
ნანგრევებს მიღმა ჩაჩოქილი ხეები,
მდუმარე ფესვებით,
შეცბუნებული მზისკენ...
მტვერში გახვეული ლანდები,
ადამიანების სახეებით...
უკუნითი...
გათენების ზღვარზე...

✹ ✹ ✹

საუკუნეებით მდუმარე დედამიწის კივილი ისმოდა სამყაროში...

მისმა ხმამ შესძრა ყოველივე ცოცხალი

შეშინებული, შემცბარი მზე გამალებით ცდილობდა მის გადარჩენას...
მაგრამ იწვოდა ომის ბავშვი...
დედამიწის კივილი ახშობდა მის ხმას...
დედის ძახილს ეომებოდა თითქოს...
ცხრაშვილობილა მზეს მკლავებში მოუმწყვდევია დედა და მის თვალებს სიჩუმეს ევედრებოდა...
მაგრამ!
იფერფლებოდა, ჯერ კიდევ მზეკულულებიანი სიცოცხლე...
.....
ნანგრევებზე დაიჩოქეს ეკლესიებმა!
გული გახეთქოდა დედა მიწას!

✹ ✹ ✹

შეგრძნებებით ცხოვრობდა.
მზეუხილავი თვალებით გრძნობდა მზეს ჩამოტეხილ ნარინჯისფერ სხივებს.
თვლა უყვარდა.
დაუსრულებლად თვლიდა მდინარის კენჭებს,
დედის თითებს.
ჯერ დღეებს თვლიდა,
იქამდე სანამ ლოდინად ქცეული დღეები,
სამყაროს სევდამ შეისრუტა და ერთ დიდ ლოდად უქცია მის დედას, შუასაყარში.
გულთან ახლოს, გულის წინ და გულის უკან.
თანდათან გულს რომ შეეზარდა ცოცხალი ქსოვილივით.
.....
თვალებზე აიფარებდა ხელებს.
მიძინებულ მზერას შეისიხლხორცებდა თითქოს,

მთელი ქვეყნიერების ამბავს შეჰპირდებოდა მზეუხილავს...
დედის სახეს განსაკუთრებით.
დედას დააფიცებდა, დედის სახის ამბავი არ დავიწყებოდა. მისი ჭაღარას რაოდენობა აინტერესებდა განსაკუთრებით. საკუთარ ასაკს ვერ გრძნობდა.
ლოდინად ქცეული დღეების ასაკის იყო თითონ. გამთენიისას შეჰპირდებოდნენ ხელები.
ესეც მათ იცოდნენ მხოლოდ. ერთ სიბრტყეში განლეულიყო დღე და ღამე მზეუხილავისთვის.
.....
სხეულს სიგრილე მოჰპარვოდა. დაღამება იგრძნო მზეუხილავმა. დაჟინებით ეკითხებოდა დედის ამბავს თვალის ბუდეებზე აფარებულ ხელებს.
.....
დუმდნენ ხელები. დუმდნენ უძრავად. ქვის ნატეხებად გაბნეულიყო სივრცეში ლოდად ქცეული დედის გული...
საკუთარი ასაკი იგრძნო მზეუხილავმა.

✷ ✷ ✷

ცალი, მძიმე ხელით მიათრევდა...
საკუთარი ჩექმით ნატერფალ სხეულს. ნაწნავში ჩაუვლია ხელი.
ჯერ ისევ სველი, გახსნილი საკინძე ნადედარ სანიშნეებს მიჰკრობია...
მზით სავსე ხორბლისფერ სხეულზე.
.....
დედის კისერზე შემოხვეულ ფაფუკ თითებს დაატარებდა მზეკულულებიანი.. ტკივილდადუმებულ დედის ბაგეებსა...
და დედობის სანიშნეებიდან გადმოწვეთებულ რძეს შორის...

ალაგ-ალაგ რომ ერწყმოდა გონდაკარგული თვალებიდან გადმოდენილი ცრემლი.
გულგახეთქილ მზემდე აღწევდა... ტყვიების ზუზუნს შერწყმული მზეკულულებიანის ღუღუნი... მზეს ჩამოტეხილი სხივები ჯერ კიდევ ათბობდა დედის უჩვეულოდ გაციებულ სხეულს...
.....
ნერვები უკვდებოდა დედის ხელს.
უკანასკნელ ძალას იკრებდნენ თითები...
მზეკულულებიანის ფაფუკი თითები ვეღარ სწვდებოდა...
დამშრალ, განლეულ სიცოცხლის წყაროს. დედამიწის ნახეთქებში ჩაღვრილა და დამშრალა.
.....
მოწყურებულ ტუჩებს ილოკავდა მზეკულულა...
თითები მოსწყვეტოდა დედას. ტკივილისგან.
ბაგეები დასდუმებოდა კივილისგან.
ცრემლი შეშრობოდა შიშისგან.
.....
წინ, დედამიწის მარადიულობისკენ მიათრევდა მძიმე ხელით საკუთარი ჩექმით ნატერფალ სხეულს...
.....
უჩვეულო შეუნიშნავთ ჩიტებს ლიახვის პირას.
საკუთარი, ხიდან ჩამოვარდნილი ბუდის ძებნაში უპოვიათ...
მზეს გული მოსწყვეტოდა და ისიც იქვე...
მზეკულულებიანის გვერდით ჩამოგორებულა.

✹ ✹ ✹

ცხედართან ჩამუხლული სული...
პაწაწინა ხელებით ეძებდა დედის ღილებდაწყვეტილ საკინძეს...
დიდხანს ცდილობდა დედის სახეს მისწვდომოდა...

მაგრამ საუკუნეებში ჩაჩეხილ სხეულს მხოლოდ მზერას თუ მიაწვდენდა...
დიდრონი, ნაღვლიანი სახით მისჩერებოდა მის ფართოდ გახელილ თვალებს...
კულულებს მიღმა მიმართული მზერით...
სადღაც შორს... ჰორიზონტზე რომ იკარგებოდა ნაცრისფერ კვამლში....
უჩვეულოდ ეჩვენებოდა დედის დუმილი.
სდუმდა სიტყვაძუნწი სამყაროც. სცხვენოდა. ცოცხალი მშიერი...
და უტყვი თვალების გამო.
დიდხანს ეცადა, პატარა სისხლმიდარი ფეხებით აცოცდა...
იქ,
სამყაროს გული რომ ეგულებოდა.
პატარა ხელებით მოეჭიდა დედის, გადაზნექილ ხერხემალს...
ხელისგულებით გადაუწია, მიწისფერ სახეზე მიმოფანტული თმა...
და დააქცერდა ალმაცერად, უნდობლად...
კულულებით ელამუნებოდა მის უძრავ ნაკვთებს... მაგრამ ამაოდ!
.....
რძეს ეძებდა პატარა სული...
პატარა ბიჭის ცრემლებად ქცეულ დედის, დამშრალ რძეს...
დარდად ქცეულ გულს ეფერებოდა დედამიწის გული...
აღრიალებულ მდინარეს წაეშალა დედამიწის ნაპრალები.

✹ ✹ ✹

მდინარის შუაგულს მოყვებოდა. ხის მორი იყო. უცნაური. უცხო.
საიდანღაც მოყვებოდა მდინარეს...
სადღაც მიყვებოდა...
მდუმარეს.

.....
მდორედ მოედინებოდა. თითქოს უფრთხილდებოდა...
თითქოს ეფერებოდა...
თითქოს ეცოდებოდა.
სამარისებური სიჩუმე სუფევდა ირგვლივ.
მხოლოდ წყლის გაუბედავი ჩხრიალი არღვევდა
უტყვ მდუმარებას.
ქვის ღაღადს ჰგავდა, არსებულს და არარსებულს.
.....
სათიბად წასულ კაცებს უპოვიათ საკინძეგახსნილი...
მის ნადედამიწარ სხეულს დასტყობია უცხო ნატერფალი...
მისი აზიდული წარბები დაუფარავს თივაშერეულ გაწეწილ თმას,
ყელს შემოხვევია გრძელი ნაწნავი...
ფერფლად ქვეულა დედამიწის გული.
.....
სვლა შეანელა უტყვმა მდინარემ, ქვის ღაღადს უგდო ყური.
ნაპირისკენ წამოიღო უცნაური მორი...
საიდანღაც სადღაც რომ მიყვებოდა...
ხმა შემოესმა მდუმარე სივრცეს...
ქვის ღაღადს ერწყმოდა მისი ღუღუნი...
ნაპირზე გამოურიყავს გამთენიისას.
დილით უნახავს ჩუმ მეთევზეს.
უენო ყოფილა ეს მეთევზე, უტყვი. ან ენის გარეშე.
უცხოს ნატერფალს იცნობდით აქაც.
.....
პატარა, ნათოკარ სხეულს იხუტებდა ცალი ხელით.
ან ორივე ხელიდან ცალად დარჩენილით...
დედის თმის ღერი შერჩენია ბუთქუნა თითებში.

✷ ✷ ✷

უთქმელად იცოდა, სადაღაც იქ იყო. არც კვნესა ესმოდა, არც ძახილი...
არც ყაყაჩოსფერი ჰქონდა მარიამობისთვის გადახრუკულ ველებს...
მაგრამ მაინც იცოდა.
სხეულით გრძნობდა, ნადედარი სანიშნეებით...
გრძნობადაკარგული დაკოჟრილი ხელებით.
მის ძებნაში დახეთქილი ტერფებით.
გარდაცვალების ზღვარზე მყოფი გულით.
ყოველდღე მოდიოდა. მიუჯდებოდა ლიახვს და...
თვალს არ აცილებდა დაღამებამდე...
ლიახვს კი მოჰქონდა..
ტანსაცმლის ნარჩენები, გაწყვეტილი თასმები,
დაგლეჯილი თმები, ადამიანადყოფილს ჰგავდა ლიახვი...
ადამიანადყოფილს ჰგავდა მაგრამ ადამიანად ყოფნას ლამობდა თითქოს...
სხეულის ნაწილებად ქცეულიყო...
მძიმედ მოედინებოდა, დინჯად...
საკუთარი შვილების ამბავს უამბობდა დედებს.
.....
ის კი იჯდა. ლიახვსმიჯაჭვული მზერით...
ორი დღის მერე მოიკითხეს.
გაღმა ნაპირიდან მოასვენეს.
საკუთარ მზერას ჩაჰყოლია ლიახვში.
.....
მუხლმოდრეკილი იდგა დედის საფლავთან.
დაკოჟრილ ხელებში გრძნობადაკარგული დედის საფლავთან...
წინასწარ რომ უგრძვნია...
ხელებდაწყვეტილი შვილის ტკივილი...

ლიახვს მოჰქონდაო...
უღალატიათ საკუთარ თვალებს.
ის კი იდგა. მუხლმოდრეკილი.
დედამიწას მიჯაჭვული მზერით.

✹ ✹ ✹

სხეულის ნაწილებით ავსებულა ლიახვის ხეობა...
ადამიანების და ადამიანად ყოფილების ნაწილებით...
მძიმედ სუნთქავდა ხეობა. შუასაყრიდან გადმოვარდნილი გულები...
თვალბუდეებიდან გადმოცვენილი გუგები...
ტკივილს და კივილს მოეცვა იქაურობა.
ღრიალით მოედინებოდა ლიახვი, აწითლებული კიდეებით...
აღმა მიუყვებოდა დაღმა ჩამდინარ ლიახვს...
გაშიშვლებული ტერფებით შლიდა სისხლის კვალს...
სამყაროს უკეთურობას ულამავდა საკუთარ ძეს...
ლიახვს, ლიახვს ევედრებოდა მდუმარებას...
ლიახვი კი...
მოედინებოდა ლიახვი...
ადამიანად ქცეულიყო თითქოს,
საკუთარ წყლის კლაკნილებში ჩახუტებული მოჰყავდა
დედიშობილა ჩვილები...
კლდოვან რიფებს მოწყვეტილი ბრგე მამები...
ვაშლის ბაღებს მოცილებული პაპები, პირტიტველა ბიჭები დიდი გულებით...
ისე მოედინებოდა ლიახვი... მღეროდა თითქოს... ხან ღიღინებდა, ხან ომახიანად შემოუძახებდა და... გმინავდა ლიახვი, ეხეთქებოდა საკუთარ ნაპირს!
შიშისგან გული გახეთქოდათ ჩიტებს...

ბუდე დასწვოდათ ბარტყებს. ფერფლისფერ კვამლს შერეოდა მათი ბუმბული...

.....

ლიახვს ჩაყოლილი უნახავთ აღმამიმავალი..

საკუთარი შვილის კულულები შეუმჩნევია წყლის კლაკნილებში...

✹ ✹ ✹

ნანგრევებში იჯდა. საკუთარი სახლის.

საკუთარ ეზოში იჯდა...

უზარმაზარი კაკლის ქვეშ.

კაკალი პაპას დაერგო. მამის პაპას. სახლიც პაპას უშენებია. შვილის პაპას.

.....

თვალდახუჭული იჯდა. წარსულის დამახსოვრებას ცდილობდა. რომ ვერ დაიბრუნებდა იმ წარსულის.

ბაღში შემავალი ძველი ხის კარი აღბეჭდოდა...

სათიბად წასულ პაპასთან მიმავალ თავსაფრიან დიდედას მიაცილებდა გონებაში...

ცალ ხელში წყლის დოქი და ახლადგამომცხვარი,

საკუთარ წინსაფარში გახვეული პური რომ მიჰქონდა...

ფეხს აუჩქარა დიდედამ. მოშიებული კაცების ხმას უგდებდა ყურს.

ტყის ხმა ისმოდა სივრცეში... ჩიტების ჭიკჭიკის, ხმელი ტოტების...

და მარიამობისთვისსოფლის ხმები...

ლიახვის ჟივილ-ხივილიან ხმას რომ ენაცვლებოდა...

მიწაზე იჯდა. თავდახრილი. საკუთარი სახლის, საკუთარ მიწაზე.

ხელით ეფერებოდა დასერილ მიწას. შეგრძნების დამახსოვრებას ცდილობდა. არასდროს რომ დავიწყებოდა.

ღრმად სუნთქავდა. ლიახვისპირის ჰაერს ისრუტავდა სამუდამოდ.

.....

ნანგრევებზე უპოვიათ.. ფესვებამოგლეჯილი კაკლის ხის ქვეშ... თვალდახუჭული იწვა. მარჯვენა მკერდზე ჰქონდა ხელი დადებული. საკუთარ გულს იმახსოვრებდა თითქოს

✹ ✹ ✹

საკუთარი ხელით მოჰქონდა...
საკუთარი სხეულის
საკუთარი ხელი...
ნერვებდაგლეჯილი...
სისხლძარღვებჩაწყვეტილი...
კოლტებშემხმარი...
.....
დედა უყვარდა ძალიან.
ბუთქუნა თითებში ჩაიხვევდა დედის თმას და...
ეთამაშებოდა დაუსრულებლად...
ჩამოუყვებოდა დაღლილ ნაკვთებს...
კოცნით ამოუვსებდა სევდით დასერილ სახის ნაპრალებს...
საკუთარ პატარა მკლავებში მოიმწყვდევდა დედის გულს...
.....
შუადღისას გაისმა სროლის ხმა.
იქვე, ხის სკამთან უპოვიათ ჩაჩოქილი...
წითლად შეფერილი ჭაღარა თმის ღერები უფარავდა ნაჭრილობევს...
მარიამობისთვის გადახრუკულ ბილიკზე მიგორავდა
დედის კალთიდან ჩამოცვენილი ვაშლები...
.....
დედა მოჰკვდომია დედამიწას!
.....
საკუთარი ხელით მოჰქონდა...

საკუთარი სხეულის საკუთარი ხელი...
დედას რომ ეფერებოდა, ის ხელი მოჰქონდა საკუთარი ხელით...

ომის გოგონა...

ოდესღაც თვალებციმციმა.
წამწამებზე დაკიდებული ცრემლებით.
ალბად სამიოდე წლის.
ცალფეხსაცმლიანი, შეუკრავი თასმებით...
სახლადყოფილის ჩამოგლეჯილ კარს მიჰყუდებოდა...
.....
მძიმედ სუნთქავდა შავი ფერფლით სავსე სამყარო...
ომის გოგონა დედას ეძებდა.
შიშველი ტერფით გადადგა პირველი ნაბიჯი,
შემდეგ მეორე, მუხლგაგლეჯილი ფეხი მიაშველა...
მესამე.
მეოთხე.
ხანდახან, შემდეგ ხშირად...
მკვნესავ მამა-პაპას და ძიაკაცებს ეჯახებოდა... ეცემოდა.
აცახცახებული, სისხლიანი ხელები ეხმარებოდნენ წამოდგომაში.
დედა კი არ სჩანდა.
პატარა დაიკოს მოსაყვანად წასულიყო სათამაშოების მაღაზიაში,
როგორც წინა დღეებში ჰპირდებოდა ძილის წინ...
ცრუობდა პატარა გული.
დედა! - ცრუობდნენ შერცხვენილი თვალები...
დიდი ომის პატარა გოგონა...
ბორძიკ-ბორძიკით მიიწევდა წინ...რატომღაც უცებ გადიდებულ ტანკებს შორის...
სათამაშოების მაღაზიიდან... რომ ახსოვდა.
ძლივს მიათრევდა გული უმძიმესს ტკივილს...

მარადისობაგამოვლილი ომის გოგონა...
დედას ეძებდა...
დასერილი, სისხლმდინარი ტერფებით ტოვებდა კვალს.

„ცხოვრება კაცურად“
(ეძღვნება ჯონი ხიზანიშვილის ხსოვნას)

ვარცლი შემოედგა ნორა დედას,
თავზე თავშალი წაუკრავს, სევდისფერი ღერი რომ არ ჩამოვარდნოდა შემთხვევით.
„ფართუკი“-ის კიდეები ერთმანეთში გადახლართულ თასმებთან ჩაუმაგრებია.
თახჩიდან „ხაში“ გამოიღო და იქვე ვარცლის გვერდით დადგა.
პურის ცხობას აპირებდა სოფლის გამრჯე ქალი.
ხელები აიკაპიწა და თავისი დაკოჟრილი ხელებით შეუდგა ცომის ზელას.
დიდი ხანია მაჯები სტკიოდა . .
თავს არ უტყდებოდა, შვილების შეწუხების ერიდებოდა.
ოთხი გული ძგერდა მის შუასაყარში,
სამ დას ერთი ძმის გული გაეყოთ ერთმანეთისთვის.
.....
სოფლის შესასვლელში მდგარა ის სარდაფი,
გომარელ სოფლის ბიჭებს მოეყარათ თავი,
შორს იყვნენ საკუთარი სახლისგან,
მაგრამ საკუთარ მიწას იცავდნენ ნერვებდაწყვეტილს.
სარდაფის ირგვლივ მიწით სავსე ტომრები შემოელაგებინათ მეომრებს, ახალი შეტევისთვის ემზადებოდნენ... ბრძანების მოლოდინში, სარდაფის სხვადასხვა კუთხეში მიწოლილიყვნენ ბიჭები ძალების მოსაკრებად. კართან ახლოს ჯონი იჯდა, ნუგო

ჩაჩანიძე და დათო ირემაძეც იქვე, მასთან ახლოს დამსხდარიყვნენ, თაზო მუჯირიშვილი და ჰამლეტ ბერიძე კარის მოპირდაპირედ, ერთმანეთის პირისპირ დაეკავებინათ ადგილი.
გომარელ სოფლის სისხლით ფეთქავდა მათი გულები!
ჭურვის დაცემის გულის გამგმირავმა ხმამ შესძრა დედამიწა, ნამსხვრევებით აივსო სარდაფი, უზარმაზარმა ძალამ წონასწორობა დააკარგვინა დაღლილ სხეულებს...
სისხლის გუბეებით აივსო იქაურობა.
საკუთარ ბიჭებს გადახედა ნუგო ჩაჩანიძემ, მიწისფერი დასდებოდათ სახეზე. მაგრამ სისხლისფრად იწვეთებოდა ჯონის სხეული... სისხლძარღვები გაეგლიჯა მისთვის ნამსხვრევებს.
შეგრძნება დაეკარგა საკუთარი სხეულის,
ფეხი სტკიოდა, გულის მხარეს რომ არის ის ფეხი.
მტვრად ქცეულა მისი მზერა.
უჭირდა საკუთარი სხეულის დანახვა.
ბიჭებს ჰკითხა: „ბიჭებო, ფეხს ვერ ვგრძნობ, ფეხი აღარ მაქვს?“
.....
უპასუხოდ მიაქანებდნენ ბიჭები ჯონის,
ოჩამჩირეში უჭირდა გომარელ ბიჭს,
თავს დასტრიალებდა დათო,
საკუთარ მზეს უყოფდა,
საკუთარ მზერას,
საკუთარ სისხლსაც მისცემდა და არც გომარეთის ერთი მტკაველი მიწა დაენანებოდა მისთვის.
.....
არ კვნესოდაო, ჯონიზე უთქვამთ.
მათ რა იცოდნენ საუკუნეებით გამოწვრთნილი გენი რომ დაიარებოდა ჯონის სხეულში.
იმ დღეს დედამიწა ნაპრალებად ქცეულა,

საკუთარი გული მოჰკვდომია და იქვე,
დახეთქილ ნაპრალებში ჩავარდნილა.
გომარეთ-სოფელში ვარდობისთვე იდგა. რიცხვი 11.
მზეს სხივები ჩამოსტეხია,
ხრამის ხეობაში ჩავარდნილა ერთი მოკიაფე ვარსკვლავი.
ისე ღრიალებდა ქცია,
ცა დედამიწას შეურთდა.
წითლად შეფერილ ჰორიზონტს მიღმა იმალებოდნენ
ჩიტის ბარტყები,
ხიზანიშვილების სახლს უახლოვდებოდნენ ადამიანები საკუთარი
გულებით ხელში.
ღამის წყვიადში მოასვენეს ბიჭი, მხოლოდ 20-ჯერ რომ ნახა ის დღე,
„დაბადების დღე“ რომ ერქვა ადამიანებისთვის. სინამდვილეში ეს
20 წელი „ადამიანობის შეხსენების“ წელი იყო სამყაროსთვის...
იქვე სახლის კართან დაასვენეს.
ბევრნი იყვნენ.
სოფლელები, თანასოფლელები.
ცხედართან ჩამუხლულიყვნენ თაზო და ჰამლეტი.
ზოგს ხელში ეჭირა გულის ტკივილი, ზოგს თვალებში
ჩაჰბუდებოდა, ზოგს მაჯებში...
დილამდე იდგნენ.
მეორე დილამდეც იდგებოდნენ, ან მესამე, ან მეოთხე. არავის
შეეძლო. ბოლოს გოდერძის გაუბედია, ბერუაშვილს. გარეთ
გამოსვლა უთხოვია მამისთვის.
.....
ცის კაბადონს სწვდებოდა ნორადედას ხმა.
საკუთარ გულს დაეძებდა მამა ვლადიმერი...
ბოსტანში, ხრამში, ჭოჭიანში.
იქნებ ქციაზე გაპარულა, იქაც მიუკითხია გულისთვის.

მთელი ზამთარი უხმოდ ყმუოდნენ მგლები გომარეთის სასაფლაოზე.

.....

უბრალო ჩითის კაბით დაფრიალებდა მზის გოგო მინდორ-ველებზე,
ხან ღიღილოების გვირგვინს დაიდგამდა, ხან გვირილებისას...
იქნებ მზის ნაწილს დაეძებდა საკუთარს, დაკარგულ მეორე ნახევარს.
მზის კვალი რჩებოდა ღიღილო-ყაყაჩოებით გადაპენტილ პურის ყანებში...
„ნანა, მე მალე ჩამოვალ ჩემს ადგილ-მამულში,
ცხოვრებას დავიწყებ კაცურად“
ვარდობისთვე იდგა გომარეთ-სოფელში, რიცხვი 11.

✹ ✹ ✹

ნანგრევებზე მიმოფანტული ფეხსაცმელი...
სხვადასხვა ზომის...
თითო-თითო.
ნაწყვეტი თასმებით...
ჩაუცმელ ხეებს შემოხვეული მლიქვნელი კვამლი.
ნანგრევებს მიღმა ჩაჩოქილი ხეები,

მდუმარე ფესვებით, შეცბუნებული მზისკენ...
მტვერში გახვეული ლანდები,
ადამიანების სახეებით...
უკუნითი...
გათენების ზღვარზე...

✹ ✹ ✹

საუკუნეებით მდუმარე დედამიწის კივილი ისმოდა სამყაროში...

მისმა ხმამ შესძრა ყოველივე ცოცხალი
შეშინებული, შემცბარი მზე გამალებით ცდილობდა მის
გადარჩენას...
მაგრამ იწვოდა ომის ბავშვი...
დედამიწის კივილი ახშობდა მის ხმას...
დედის ძახილს ეომებოდა თითქოს...
ცხრაშვილობილა მზეს მკლავებში მოუმწყვდევია დედა და მის
თვალებს სიჩუმეს ევედრებოდა...
მაგრამ!
იფერფლებოდა, ჯერ კიდევ მზეკუკულებიანი სიცოცხლე..
ნანგრევებზე დაიჩოქეს ეკლესიებმა!
გული გახეთქოდა დედამიწას!

✹ ✹ ✹

(ეძღვნება თაზო მუჯირიშვილის ხსოვნას)

ენკენისთვე იდგა ფერფლისფერ სამყაროში.
შეშინებული დედამიწა მდუმარედ დაჰყურებდა საკუთარ
ჭრილობებს
იმდენი სისხლი დაეკარგა, ნახეთქები გასჩენოდა სხეულზე.
.....
სოფელი იაშტუხა.
ენკენისთვის გადახრუკული მინდორ-ველი,
ერთმანეთში არეული სული და ხორცი,
დაჭრილ მეგობარს,
შვიდჭრილობიანს,
შვიდი ნატყვიარიდან რომ იცლებოდა სისხლით...
ზურგზეაკიდებულს მოარბენინებდნენ ბიჭები...

ჩვენი ბიჭები, გომარული ფესვებით.
წინ თაზო მოდიოდა ცალმუხლმოდრეკილი,
საკუთარი გულმკერდით ეფარებოდნენ გია და დათო,
სამშვიდობოს რომ გაიყვანეს...
თითქოს ერთი ჭრილობა შეუხორცდა შეშინებულ დედამიწას...
ავისმომასწავებელმა მდუმარებამ დაისადგურა,
ადამიანის სხეულის ნაწილებით სავსე მიწიერ სამყაროში.
.....
შუაგულ მინდორში იდგა,
სკოლა სადაც ოდესღაც ბავშვები სწავლობდნენ...
ის ბავშვები, რომელთა დედები საკინძეგადახსნილი,
ტერფებდაგლეჯილი დაიარებოდნენ საკუთარი ქმარ-შვილის მოსაძებნად.
გამთენიისას განახლდა სროლა,
ადამიანების არაადამიანური ხმები ახშობდა იარაღის ხმას.
პოზიცია შეიცვალეს ბიჭებმა,
ახალი შეტევისთვის მოსამზადებლად იხელთეს დრო.
.....
უეცარი ჩურჩული ატყდა მეომრებს შორის,
17 წლის ბიჭები მოიკითხეს ერთმანეთში,
მათთან ერთად რომ იბრძოდნენ უშიშრად.
ელვასავით დაუარა საშინელმა აზრმა დაღლილ სხეულებს.
სკოლის ფანჯრებში გაელვებულმა სილუეტებმა,
ჭეშმარიტებად აქცია შეშლილ გონებაში დაბადებული აზრი...
ალყა შემოარტყათ სკოლისთვის...
მხოლოდ ერთ მხარეს...
იქ, სადაც სკოლის ფანჯრების დამსხვრეულ მინებზე,

უშიშრად დაიკლაკნებოდა მზის საკუთარი,
ერთი ჩამოტეხილი სხივი...
თითქოს განგებ დაეტოვებინათ შესასვლელი.
სისხლი აუჩქროლდა გომარელ ვაჟკაცს,
საკუთარი ძმის გული შეიგრძნო მტკივნეულად.
პირველი წავიდა სკოლისკენ...
უშიშრად მიყვებოდნენ გია და დათო.
უკანმოუხედავად მიდიოდა,
წინ, ალყაშემორყმულ სკოლაში...
ხუთი თანამებრძოლი ემშვიდობებოდა ქვეცნობიერად საკუთარ ოჯახს.
მძიმე წუთები ედგა სამშობლოს.
საკუთარი შვილების წინ მოედრიკა მუხლი...
მაშინ როდესაც ხუთივე „სამშვიდობოს“ გამოიყვანა,
სკოლის კართან შეჩერდა წამიერად,
ანაზდად გამოაღო კარი, თითქოს საკუთარი ბავშვობა დაუდგა თვალწინ.
მხრებგაშლილი, ფეხზე მტკიცედ მდგომი იდგა კარის ზღურბლზე...
უეცრად იგრძნო მწვავე ტკივილი,
მზის წნულს ტყვიამ ნერვები რომ დაუწყვიტა მაშინ,
შიში არ უგრძვნია,
მხოლოდ უკიდეგანო მონატრება ძმების და მშობლების.
.....
ისე უყვარდა საკუთარი სამშობლო,
ჭრილობიდან გადმოწვეთებული სისხლიც კი მას დაუტოვა.
იაშტუხადან მოყოლებული წვეთობით იცლებოდა მისი სხეული
ყველგან ტოვებდა საკუთარ სისხლს და საკუთარ გენს.

.....
სასწრაფო დახმარების მანქანა დახვდათ აღმართზე,
ქალაქიდან მომავალ ძმებს...
იქვე გზის პირას ჩამომსხდარიყვნენ დიდგულა ბიჭები...
თვალებში ჩამშრალი ცრემლით...
მანქანის კარი რომ გამოაღო ლერიმ,
მაშინ მიხვდა გულიც რომ კვდება თურმე.
დედასთან, სახლში რომ ავიდა...
ისე ღრიალებდა პატარა, ქვიან კალაპოტში მოქცეული ქცია
ისე ეხეთქებოდა ქვიან ნაპირებს...
როგორც ადამიანის სულში ჩაბუდებული ტკივილი...
ხუთი... ახლა უკვე მეტი ვიდრე ხუთი,
ხშირად დგას მის საფლავთან,
მათ შორის...
ერთი პატარა კაცი, სახელად თაზო..
მამის სიცოცხლისთვის მადლობა რომ უხდის საკუთარ სეხნიას.
ენკენისთვე იდგა, რიცხვი 21. წელი 1993.
საკუთარ გულს გლოვობდა დედამიწა.

✹ ✹ ✹

წელმა წელი რომ შეცვალა,
ლიახვს გაღმა მამალმა იყივლა გამთენიისას...
სხვაგვარად ენიშნა პაპას ეს ყივილი,
უძილობისგან დამძიმებული თვალები გაახილა,
საკუთარ ნაოთახარ სამყოფელში საკუთარი მზერა მოძებნა და...
.....
ყოველ დილით ცდილობდა ადგომას.
ყოველ დილით დაეძებდა მიმობნეულ მზერას,

ყოველ დილით ეძახდა უსიტყვოდ...
საკუთარი შვილის საკუთარ შვილს...
.....
პირველი ტყვია რომ მოხვდა მის სახლს,
მაშინაც მამლის ყივილმა გააღვიძა.
ტყვიის ზუზუნი არ გაუგია.
ან გაიგო და ვერ მიხვდა.
ან გაიგო და საკუთარ თავს დაუმალა საკუთარ ქვეცნობიერში.
მხოლოდ მაშინ მისწვდა მის გონებას,
საკუთარი გულებით ხელში რომ მიაცილებდა სოფელი...
მის ნაბოლარას.
განსაკუთრებით რომ უყვარდა.
ტკივილი არ უგრძვნია,
მხოლოდ დაკოჟრილ ხელებში მომწყვდეულ პატარა ხელს გრძნობდა,
მისი საკუთარი შვილის საკუთარ შვილს რომ ეკუთვნოდა.
სასაფლაოზე, თოვლის ქვეშ დედის გულს შვილის გული რომ მიაბარა,
შვილიშვილს ხელი მოჰკიდა და საკუთარ ნაკვალევს გამოუყვა სახლისკენ...
ხის კარი ღია,
გზა დატკეპნილი,
ხის ღობესთან ჩამწკრივებული შეშა,
შეშასთან კვალი,
შვილის ნატერფალი,
ჯერ რომ ვერ ამოევსო თოვლის ფანტელებს.
პატარა ბიჭი, მისი სეხნია...
ხის დათოვლილ კიბეზე ჩამომჯდარიყო და ელოდა.
.....

შობა თენდებოდა კარის ღრჭიალი რომ გაიგო.
პატარა ხურჯინში,
სათამაშოებთან და ზღაპრებთან ერთად საკუთარი გული ჩაუდო და...
ნათესავ-მოკეთეებთან გამოამგზავრა ბიჭი...
პაპას გამოთლილი საახალწლო ხის ცხენით ხელში.
.....
წელმა წელი რომ შეცვალა,
ლიახვს გაღმა მამალმა იყივლა გამთენიისას...
სხვაგვარად ენიშნა პაპას ეს ყივილი,
უძილობისგან დამძიმებული თვალები გაახილა,
საკუთარ ნაოთახარ სამყოფელში საკუთარი მზერა მოძებნა და...
ძველ ხის კართან, ოთახის ბოლოში...
მხარზე ხურჯინმოკიდებული ახალგაზრდა კაცი იდგა,
ცალ ხელში საახალწლო ხის ცხენი, მეორეში კი პაპას გული ეჭირა.

ჩემი გომარეთული ჩანახატები

ვასო

(წამდვილი ამბავი)

ბავშვი ბავშვის ტირილმა გააღვიძა.
დიდხანს ტიროდა,
იმდენ ხანს ტიროდა სანამ მისი ტირილი დედამიწის კვნესად არ იქცა.
თაფლისფერთვალება ვერა საწოლიდან გადმოსულიყო და ჩამქრალი შეშის ღუმელის წინ მუხლის ჩოქებზე იდგა, თან ცალი მკლავით ცრემლის შეშრობას ცდილობდა, სევდიანი თვალებიდან რომ მოედინებოდა შეუჩერებლად.

ბავშვი ბავშვის ტირილმა გააღვიძა და წამოდგა.
უფრო სწორად წამოიწია მტირალა დისთვის რომ შეეხედა... პატარა ვერას დიდრონ თვალებში ჩაბუდებული უცნობი შიში რომ დაინახა, საწოლიდან გადმოვიდა...შიშველი ფეხებით გაიარა ალაგ-ალაგ ჩამტვრეული იატაკი და დასთან მივიდა.
ჭროღათვალება ძმამ თაფლისფერთვალება და ხელში აიყვანა და იქვე, ღუმელთან დაგდებულ ძველ ხალიჩაზე დასვა...
თვითონ გარეთ გავიდა. შემდეგ შემობრუნდა, მძინარე ძმას პატარა დაკოჟრილი ხელებით საბანი გაუსწორა და ისევ გავიდა.
.....
ოთხნი იყვნენ.
პატარა ვასო.
პატარა შალიკო.
პატარა ანია და პატარა ვერა.
.....
ქვის ჩამონგრეულ ღობესთან ჩიტის ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი ეგდო, იქაურობას რომ იკლებდა წივილით.
ჩიტის ბარტყის დედა ჩიტი არსად სჩანდა. არც მისი.
არც პატარა ანია.
არც მუდამ ეზოში მოფუსფუსე მიხა პაპა.
მამა დიდი ხანია გარ-დაცვლოდათ.
იქვე, სახლის წინ...
უჩვეულო ღრიალით მოედინებოდა ხევის წყალი.
იქამდე იდგა პატარა ვასო დიდი სამყაროს პირისპირ მარტო, სანამ მეზობელი დათიკო პაპას ყვირილმა არ შესძრა სამყარო... ის ხელების ქნევით და ხმამაღალი შეძახილებით გარბოდა ხევისკენ. ვასომ გზა გადაჭრა და უმალ აღმოჩნდა ხევისპირას... შუაგულ ხევში, უცნაურად აღრიალებულ წყალში პატარა ანია იდგა და მეორე ნაპირზე გასვლას ცდილობდა... დათიკო პაპამ მისი გამოყვანა რომ სცადა ბავშვი ხელიდან გაუსხლტა, ანია გულამოსკვნილი ტიროდა

და დედას უხმობდა... დათიკო პაპამ მის მზერას თვალი გააყოლა, ბავშვი გულში ჩაიკრა და ხევიდან ამოვიდა. ცდილობდა ვასოს-თვის თვალი აერიდებინა მაგრამ...
პატარა ვასოს სამუდამოდ აღბეჭდოდა გონებაში ხეებს შორის მი-მალული დედის სილუეტი.
.....
ტკივილი ქვებსაც რომ ჰგავდა, მაშინ მიხვდა...
გაქვავებული გულით რომ იჯდა ცივ ქვებზე დედის ლოდინში.
დედა არ დაბრუნებულა.
მხოლოდ მის ნახევრადშიშველ სხეულს შემოხვეული დეები და ძმა...
ცისარტყელას მიღმა გაბნეული დაღლილი მზერით.
პატარა ვასოს გული გაზრდოდა, დედის ლოდინში.
პატარა ვერა ხშირად ხედავდა სხვის ეზო-კარში მოფუსფუსე დე-დას.
შუაგულ სოფელში, ხევის მიღმა რომ დაედო ბინა.
დედა ლამაზი ჰყავდათ, სიყვარულს დიდი ძალა აქვს.
ერთი დედის გულს იყოფდა გომარეთ-სოფელი.
მზეს გზა აბნევია ცის კაბადონზე.
.....
მამის მამა, მიხა პაპა ძალიან მშრომელი კაცი ყოფილა, მაგრამ ძა-ლიან უჭირდა ოთხი შვილიშვილის რჩენა. ერთი პურის ნაჭერი ჯერ ორად იყოფოდა, შემდეგ ოთხად... ბოლოს ნამცეცებად ქცეულ პურს ჩიტის ბარტყებსაც უზიარებდნენ უდედო, ობოლი ბავშვები.
ბავშვთა სახლში რომ მიაბარეს, პაპამ საკუთარი გული ოთხად გა-ყო და თითოს თითო ნაწილი გაატანა... დიდხანს იდგა მოხუცი პა-პა კარის ზღურბლზე. მკაფიოდ გრძნობდა მის გულს ჩახუტებუ-ლი პატარა ანიას გულისძგერას... უკვე ძალიან რომ ენატრებოდა. ბოლოს დედამიწას მიჯაჭვული მზერა მოსწყვიტა და ზევით აიხე-და...

ჭუჭყიანი, მტვრიანი ფანჯრიდან დაჟინებით უმზერდა ოთხი წყვილი თვალი... ჭროღათვალება ვასოს ჭროღათვალება ანია ხელ-ში აეყვანა, ცალი ხელი კი თაფლისფერთვალება და-ძმისთვის შე-მოეხვია...
ოთხნი იყვნენ:
პატარა ვასო.
პატარა შალიკო.
პატარა ანია და პატარა ვერა.
მოხუცმა პაპამ, გულის ტკივილი რომ ჩაეხშო, შუშის ნატეხით თი-თები გადაისერა და სოფლისკენ მიმავალ გზას გაუდგა.
წლებმა წლები რომ შეცვალეს ვასო სოფელს დაუბრუნდა. მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს რომ მიადგა... დედამიწას ნაჭრილობევი შეუხორცდა და გულმა კვნესა შეწყვიტა...
დედამიწის გულმა, მისმა არა.
შრომამ მუხას დაამსგავსა. მოძლიერდა, ფესვები გაიდგა. მზის წნული მაინც სტკიოდა.
და-ძმის წილი გული სტკიოდა მუდამ.
.....
იქ არაფერი შეცვლილა. ფანჯრებიც კი ისევ ისეთი ჭუჭყიანი და მტვრიანი იყო.
თაფლისფერთვალება ვერა და შალიკო გზის პირას ელოდებოდ-ნენ.
სადღაც იქვე იმალებოდა სხივჩამოტეხილი მზე.
უმალ იგრძნო ვასომ მათ შეკრულ მუჭში ჩამალული მათი წილი „პაპას გულის“ ძალა.
უკან რომ ბრუნდებოდნენ...
გომარეთ-სოფლის ყანებში ყაყაჩო ყვაოდა უკვე.
„პატარა ანია“ ისევ არ ჩანდა...
.....
დიდხანს უძებნია ვასოს პატარა ანია...

ადამიანები ადამიანებს უამბობდნენ ამის შესახებ, ჩიტები ჩიტებს... მერცხლებს კარიდან კარში დაჰქონდათ „პაპას გული“-ის ტკივილი, ბოლოს მოკეთეს მოუტანია ამბავი:
„ზესტაფონში, ერთ ოჯახში ჭროღათვალება ანია ჰყოლიათ რძლადო. უფრო მეტიც უთქვამთ: ბავშვთა სახლიდან ახალციხეში გაუშვილებიათ და გაუზრდიათო... პიანინოზე დაკვრა ჰყვარებია პატარა ანიას და დედინაცვალი ამის გამო ხშირად უწყრებოდაო“...
.....
ორი ერთნაირი იდგა ბაქანზე.
ორივე ჭროღათვალება.
ოდესღაც პატარა ვასო და პატარა ანია.
ორივეს ისევ ისე ეჭირა შეკრულ ხელისგულებში „პაპას გული“-ის საკუთარი ნაწილი...
ყვითელგულა ფურისულები ყვაოდნენ სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე...

მწყემსი ქალი მარიშკა

(წამდვილი ამბავი)

ჩვენთან,
ჩემსა და თქვენს სამშობლოში რომ მოდიოდა, არ უტირია.
ისე დატოვა საკუთარი სხეულის ნაწილი საკუთარი სულის ნაწილთან, არ უფიქრია მათ შორის ოდესმე ფერფლისფერი სამყარო თუ ჩადგებოდა. ჯერ არდაბადებული იმედებით მოემგზავრებოდა.
საკუთარი სახლის არარსებული ხის ჭიშკარი რომ გამოიხურა მაშინ მოიხედა მხოლოდ, ხის სახლის მოქარგული ფანჯრებიდან დედა იმზირებოდა, მის მიღმა მიმავალი მზერით, გზას გაჰყურებ-

და. მარიშკასთვის არ შეუხედავს. თვალს არ სწყვეტდა ქვევით, ქალაქისკენ ჩამავალ ოღრო-ჩოღრო გზას...
თითქოს ქვებს თვლიდა,
იმ ქვებს, საუკუნეებად რომ იქცეოდნენ ლოდინში.
შვილი გზის გასაყარზე იდგა.
მარცხნივ უკრაინის თვალუწვდენელი სტეპები იწყებოდა, უკვე მზით გადახრუკული ბალახისფერი. დედამ საკუთარი დედის მზერას თვალი რომ მოსწყვიტა, შვილმა მარჯვნივ გადადგა ნაბიჯი. მოკლე შარვალი ეცვა და დიდი ფეხსაცმელი...
გრძელი ხელები ჰქონდა.
ფართო ხელისგულები.
რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო მატულობდა მის ხელისგულებზე დამსკდარი კოჟრები.
ზოგჯერ სისხლიც სდიოდა, ნაკეცებში ჩამჯდარ ჭუჭყს ჩამობანდა ხოლმე. არ მოსწონდა ბიჭს წითელი ხელისგულები, გაიქცეოდა და თივის ზვინს ჩამოუსმევდა ხელს. ალაგ-ალაგ დამსკდარ კოჟრებში ხმელი ბალახის ჩხვლეტას გრძნობდა...
პირველად მაშინ ისწავლა ტკივილის მოთმენა.
ვერ იტანდა სისხლიან ხელისგულებს.
ეს მაშინ იყო.
ახლა გზისგასაყარის მარჯვნივ იდგა.
გზისგასაყარის გზის დასაწყისში.
ქალაქისკენ რომ მიდიოდა იმ გზის.
ამ გზაზე დედა უნდა წასულიყო.
არ იცოდა რა ეთქვა ქალისთვის, რომლის ნერვულ უჯრედებსაც დაატარებდა საკუთარ სხეულში.
არ იცოდა როგორ დამშვიდობებოდა ქალს ამ გზას რომ ჩაივლიდნენ, საუკუნეებადქცეულქვებიან გზას...
ოციოდე წუთი იარეს ფეხით,

ოციოდე წუთი და ოციოდე არარსებული საუკუნე.
ბოლოს ქვიანი გზა დასრულდა...
შემდეგ ქალაქის გზა იწყებოდა...
ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.
მარიშკა მკაფიოდ გრძნობდა როგორ ფეთქავდა მისი შვილის გული შუასაყარში.
ტკივილი აძლიერებდა გულისცემას და გზას დაეძებდა ბიჭის ნათელი თვალებისკენ ცრემლად რომ ქცეულიყო. მაგრამ ბიჭს თვალები ისე დაეხუჭა თითქოს ქუთუთოები დაეკემსათ მისთვის.
მარიშკას მუდამ დამსკდარი ტუჩები ჰქონდა ქარისა და მზისგან.
ახლაც მწველი სხივები დასთამაშებდნენ მტკივან ტუჩებზე.
თვალები არც მაშინ გაუხელია ბიჭს დედის შეხება რომ იგრძნო...
თითქოს მისი სახის დამახსოვრებას ცდილობდა სამუდამოდ გონებაში. საკუთარ თავს აიმედებდა ქვეცნობიერად, რომ მოენატრებოდა თვალს დახუჭავდა და მის სახეს დაინახავდა.
„დაკემშილი“ თვალები დაუკოცნა მარიშკამ.
დახუჭულ თვალებს მიღმა მზერა დაიმახსოვრა და ჰორიზონტს მიღმა მიმავალ გზას გაუყვა...
ხელბარგი არ ჰქონდა, მხოლოდ საკუთარი შვილის სევდა აეკიდებინა ზურგზე.
უკრაინის სტეპებს ემშიდობებოდა დაკემსილთვალებიანი ბიჭის დედა მარიშკა...
.....
ულამაზესი სოფელია ჩვენი გომარეთ-სოფელი,
ხალხი კეთილშობილი, სიკეთით სავსე,
მზის სოფელია ჩვენი სოფელი,
ფერმა, სადაც მარიშკას უნდა ემუშავა პატარა, მორაკრაკე მდინარის პირას იყო გაშენებული.

შრომას შეჩვეულ მარიშკას მუშაობა არ გასჭირვებია. სისხამ დილაზე დგებოდა. როცა მზის პირველი სხივი გამოჩნდებოდა სამყაროს აღმოსავლეთით, მოჭიკჭიკე ჩიტებთან ერთად ეგებებოდა ალიონს...

ამ წუთებში, სადღაც მდინარის ქვებს უკან მიყუჩდებოდა ხოლმე მისი ტკივილი...

მთელი სხეულით გრძნობდა, შორს უკრაინის სტეპებში მისი დაკემსილთვალებიანი ბიჭიც ასევე შეჰყურებდა მზეს...

გული გულს გრძნობდა... განსაკუთრებით მაშინ, ერთი სისხლი თუ მოედინებოდა ორივე გულში. დროდადრო დედა საკუთარ გულს ხელისგულზე დაიდებდა და დიდხანს და დაჟინებით ათვალიერებდა... ეს გული სისხლის გუბედ რომ იქცა, მაშინ მიხვდნენ მოჭიკჭიკე ჩიტები შვილის გულს რომ ათვალიერებდა მარიშკა სინამდვილეში.

ძალიან უყვარდა თავისი ნაირფერი ძროხები, რიჟრაჟზე ბღავილით რომ აღვიძებდნენ არემარეს... თითქოს სიცოცხლე ახალ ძალას იძენდა ყოველ ახალ დღეს. მოვლა-პატრონობას არ აკლებდა მარიშკა ძროხებს, რომლებიც მადლიერების ნიშნად სავსე ჯიქნებით ბრუნდებოდნენ საძოვრებიდან... ხელის შეხებით გრძნობდა მარიშკა თანდათან როგორ ამდინარდა რძე სადინარებში.

ერთ დღეს, მაშინ როდესაც მარიშკას მზის საკუთარი სხივი ჩამოტყდა აღმოსავლეთის მზეს, ფერმა დაიხურა.

დაკემსილთვალებიან ბიჭს ცრემლი ჩაუდგა ჩაშავებულ უპეებში. დედის წასვლის შემდეგ სტეპებს რამდენჯერმე ეცვალათ ფერი.

გაოგნებული იდგა ჰორიზონტამდე მიმავალ გზაზე, ვერ გადაეწყვიტა შინ, უკრაინაში დაბრუნებულიყო ხელმოცარული თუ კვლავ ებრძოლა ჯერარდაბადებული იმედის დაბადებისთვის...

თავადაც დაეხუჭა თვალები. საკუთარ თავს უმზერდა ფერფლის-ფერი სამყაროდან, საკუთარ დაწყვეტილ ნერვებს და გულს უკან დამალულ სევდას.
შვილი ენატრებოდა ძალიან. მხოლოდ გულით არა, ნერვებით.
ბოლოს დარჩენა გადაწყვიტა, შემოდგომამდე თითქოს.
კეთილ ხალხს რა გამოლევს ჩვენს გომარეთ-სოფელში... ერთ-ერთ მადლიან ოჯახს შეუფარებია, თბილი კერა შეუთავაზებიათ და საჭმელ-სასმელიც უხვად მიუწოდებიათ მისთვის.
მარიშკა მწველავად მუშაობდა... ქათქათა თბილი რძით რომ აავ-სებდა სათლებს და საქონელს დააბინავებდა, ოთახში შეიპარებო-და და დიდხანს იდგა სარკესთან.
არავინ იცოდა რას ფიქრობდა ამ დროს.
საკუთარ თვალებს აკვირდებოდა დიდხანს, საკუთარ თვალებში დაეძებდა შვილის სილუეტს, ასე ძალიან რომ ენატრებოდა.
შინაგანი ტკივილის მიუხედავად ბოლო დროს მარიშკა ძალიან დამშვენებულა, სხეულის ფორმები შევსებოდა და თვალებში უც-ნაური იმედი ჩასახლებოდა.
ახალგაზრდა მწყემსი სტუმრობდა ოჯახს, ბოლოს დროს ხშირად.
მარიშკას გულს, შვილს რომ ეკუთვნოდა, პატარა ნატეხი ჩამოსტე-ხია ახალგაზრდა მწყემსისთვის.
.....
გამთენიისას გაუდგნენ გზას.
მდუმარედ მიყვებოდნენ ცხვრის ფარას... გომარეთის ქვიან ფერ-დობზე რომ შეფენილიყო უკვე. ალაგ-ალაგ ბატკნების გაუბედავი ბღავილი ისმოდა ნაცრისფერ სივრცეში.
მესამე დღე იყო იმედის გაჩენიდან.
მესამე დღე იყო შვილს რომ ვერ უკავშირდებოდა.
მესამე დღე იყო... გული სისხლად რომ იწვეთებოდა
.....

ომი რომ დაიწყო, კახეთის გზას ადგნენ.
კაშკაშა მზე ანათებდა,
ქათქათა ხუჭუჭა ბატკნები მზის სხივებთან თამაშით ირთობდნენ თავს.
მარიშკა იქვე, ხის ძირში ჩამომჯდარიყო და თვალდახუჭული ისრუტავდა მზის სითბოს.
ხეს ხმელი ტოტები და მიწაში ღრმად გადგმული ფესვები ჰქონდა. ჯერ ცოცხალი.
ამბავი კეთილმა მწყემსმა მოუტანა.
პირველად მაშინ ატირდა გული. შუასაყარში კედლებს ეხეთქებოდა გალიის ჩიტივით.
ტკივილამდე უნდოდა შვილის ნახვა.
საკუთარ ხელს უკბინა ჩუმად.
თითქოს ტკივილი შეუმსუბუქდა.
ტკივილმა ტკივილი ჩაახშო.
დანიშნულების ადგილს რომ მიაღწიეს მზე ფერდობებს უკან ჩამალულიყო უკვე.
ჰაერივით ისრუტავდა მარიშკა ომის ამბებს,
მუდამ ეკითხებოდა კეთილ მწყემსს.
მოვლას არ აკლებდა მწყემსი, მაგრამ ილეოდა მარიშკა.
შვილი ენატრებოდა,
შვილის ხმა ჩაესმოდა,
შვილს ეძახდა.
ომში წასულ დაკემსილთვალებიან ბიჭს.
.....
გამთენიისას ჩამოვარდნილა ჭურვი.
ერთ მთლიანობად ქცეულა სტეპი და სოფელი.
ფართოდ გახელილი უძრავი თვალებით იმზირებოდა...
ოდესღაც დაკემსილთვალებიანი ბიჭი.

ბავშვობაში მარიშკას ჰგავდა...
დედასავით ნათელი თვალები და გრძელი ხელები ჰქონია თურმე.
.....
დიდხანს მდგარა კართან კეთილი მწყემსი,
იქამდე სანამ მარიშკას თავად არ გამოუხედავს დაგვიანებით შეშ-
ფოთებულს...
კითხვა უსწავლია უცხო ქვეყანაში,
ფიქრების კითხვა,
ადამიანების დატანჯულ სახეებზე.
შვილის სიკვდილი რომ ამოუკითხავს,
საკუთარი ხელით ამოუგლეჯია საკუთარი გული.
კახეთში დაუკრძალავთ.
მადლიანი კაცი ყოფილა მწყემსი.
მარიშკას საფლავზე,
ხშირად შეამჩნევთ ერთ ცალ მოფარფატე პეპელას...
ადამიანის სულს რომ ჰგავს ძალიან.

გომარულა

ხეს რომ ცული მოუქნია
აორტა გაუსკდა,
რომ დაარტყა
გულიდან სისხლი წამოუვიდა.
. . . . . .
ბაღში იდგა. უნაყოფო.
საუკუნეებში ჩაზრდილი ფესვებით და...
მუდამ თავდახრილი გრძელი ტოტებით...
ადრიან გაზაფხულზე იყივლა სისხლმა,

დიდედას დარგული ხეები უხმობდნენ თითქოს...
თამარის გომარეთიდან.
. . . . . .
პატარა ტოტით დაბრუნებულა,
სულ ორი ტოტით.
ერთი და ორი.
მათგან ერთ-ერთი,
მზისა და დედამიწისთვის შეუწირია
უფლის იმედით.
მეორე,
უნაყოფო ხისთვის შეუზრდია.
უჯრედი უჯრედს,
გული გულს,
მზის სხივი მზის სხივს.
. . . . . .
ჩემი საკუთარი მზის, სხივებს ჩაუღწევიათ ჩვილ სხეულში,
ჩემი გენი ჩაუთესიათ სიცოცხლის გასაგრძელებლად.
საუთარი ნადედარი სანიშნეებით გამომიკვეებია
საუკუნეებში ჩამავალ გზაზე...
. . . . . .
ახლაც დგას ბაღში.
ჩემი გომარულა.
ორი ტოტი აქვს.
ორს კიდევ ორი.
. . . . . .
ხეს რომ ცული მოუქნია
აორტა გაუსკდა,
რომ დაარტყა

გულიდან სისხლი წამოუვიდა.

დიდედა

ზუსტად ერთი წელი გავიდა იმ დღიდან როდესაც დიდედა გარდაიცვალა... და ზუსტად ერთი წელი იმ დღიდან როდესაც ჩემი გიორგის წამით გაჩერებულმა გულმა კვლავ ფეთქვა დაიწყო... რათა განგებასთან ბრძოლით დაღლილი, პატარა სხეულისთვის სისხლი მიეწოდებინა სიცოცხლის გასაგრძელებლად...

თითქოს დაემთხვა! სინამდვილეში კი...

ჩემი დიდედა. მუდამ დაკოჟრილი, მიწიანი თბილი ხელები ჰქონდა. მე ძალიან ვუყვარდი.

„ჩემი მორბედიო“ ასე მეძახდა ბავშვობაში. როგორც ამბობენ, „დიდედა“ მე შემირქმევია...

ჯერ „დიდი დედაო“, „დედაო“... მერე როგორც ჩანს ჩემს საყვარელ დედას ვერ შეველიე და შუალედურ „დიდედაზე“ შევჩერებულვარ. მას შემდეგ მთელ გომარეთ-სოფელსა და ნათესავებში ასე იცნობდნენ „დიდედა!“, თუმცა კი თამარი ერქვა. განსაკუთრებულად გვიყვარდა ერთმანეთი.

უკვე ლოგინად ჩავარდნილს, ჩემი შვილის ავადმყოფობის ამბავი რომ გაუგია უფლისთვის შეუვედრებია ჩემი გიორგი „ოღონდ ჩემი ნინიკოს ბავშვი გადარჩეს და ჩემი სიცოცხლის სანაცვლო ყოფილიყოსო მისი სიცოცხლე!..“

იმ ღამეს დიდედა მიიცვალა. გამთენიისას ჩემმა გულმა ჩემი შვილის გული და თბილი სხეული შეიგრძნო... და გათენდა კიდეც. დ-არჩა უკიდეგანო ბედნიერება ჩემი გიორგის გამო და უსაზღვრო ტკივილი ჩემი დიდედას გამო...

ერთი პატარა მონაკვეთი გამახსენდა ჩემი ბედნიერი ბავშვობიდან. ტყეში, მაყვალზე გაპარული დიდედას ფეხსაცმელგულშიჩაკრული, სახლის კიბეზე ვიჯექი დიდხანს და ვტიროდი „ჩემს დიდედას ვეღარ ვნახავ-მეთქი“... უკვე მაშინ მიგრძვნია ქვეცნობიერად ახლანდელი ტკივილი...

ვიცოდი, მაშინაც ვიცოდი რომ ახლა ვერ დავიტირებდი...

ჩემს შვილს ვთხოვ... უკვე ვთხოვე გონებაში (ვიცი რომ გაიგო)... მისმა შვილებმაც „დიდედა“ დამიძახონ... ასე გრძელდება სიცოცხლე...

საფლავიც ქვაზეც „დიდედა“ ამოტვიფრა ოჯახის წევრმა ჩემი თხოვნით...

დიდედა, შენს სულს ვგრძნობ!

კალოზე

თიბათვე მიილია გომარეთ-სოფელში...

მარიამობისთვე თენდებოდა.

მზეს საკუთარი გული გადაეშალა გამრჯე სოფლისთვის.

დიდედას მწიფე, წითელი ტყემლის ფოთლებს შორის იპარებოდა ადრეული მზის სხივი და... თვალით უჩინარ მადლს ასხივებდა გომარეთის ნაყოფიერ მიწაზე. მადლისა და ბარაქის დრო დამდგარიყო...

პურის ყანას იღებდა სოფელი. მზის პურის ყანას.

დილაადრიან ისმოდა მინდვრიდან კომბაინების ხმა. სათივესთან ცხენები ჭიხვინებდენ და მზეს ემალებოდნენ. ხევში წყალი მოედინებოდა რაკრაკით, გამალებით ბრუნავდა წისქვილის ქვა ფუტკრის ბზუილის ღვთიური ხმა ისმოდა ირგვლივ.

კალოზე მოიჩქაროდნენ... ედიშაანთ, სეიფაანთ, ტეტუანთ, ბუთომაანთ, დურგლიანთ, ბასილაანთ, წივილაანთ, ხიზანაანთ, გომარეთ-სოფლის ქალები.
დიდედებს ხტუნვა-ხტუნვით მოჰყვებოდნენ შვილიშვილები, ზოგიერთი მათგანი ხერხთან რჩებოდა, ხან ერთი ჩახტებოდა ნახერხის ორმოში, ხან მეორე.
პურის ყანას იღებდა სოფელი. მზის პურის ყანას.
კალოზე შეკრებილიყო ხალხი, რიგრიგობით შედიოდნენ ხორბლით სავსე მანქანები. მე როგორც ყოველთვის დიდედას გვერდით ვიდექი, თვალს ვერ ვწყვეტდი როგორ იყრებოდა მანქანებიდან ხორბალი, გადახრუკული მინდვრების სუნს ვგრძნობდი, ქვაკაცას შემოხვეული ბალახისფერი არ ასვენებდა ჩემს ქვეცნობიერს.
ილეწებოდა კალოზე ხორბალი, მზის სხივებს ისრუტავდა, შეუცნობლად შევერიე ხორბლის გორაკებს, თავზე, ტანზე, მკლავებზე მეყრებოდა ოქროს მარცვლები... მიწისა და პურის მადლით ივსებოდა ჩემი პატარა სხეული...
სათივედან მოვურბენინე ქალებს ცივი წყალი, პატარა მორბედი დაულოცეს ჩემს დიდედას სოფლის დიდედებმა...

* * *

ფერფლისფერი გადაჰკროდა გომარეთ-სოფელს...
პატარა ბიჭს ასაფლავებდნენ, ჩიტების მოყვარულ პატარა ბიჭს.
მას მხოლოდ 13-ჯერ ჰქონდა დაბადების დღე,
შემდეგ ბარტყები იბადებოდნენ იმ ჩიტის ბუდიდან...
. . . . . .
პაპაჩემი კართან იდგა. როგორც წესი და რიგია.
ჭროღათვალება მამა ჭროღა-თვალება შვილს მიაცილებდა

იქ, სადაც ახლა თავადაც ეჩქარებოდა.
ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ გრძნობდა როგორ მოსწყდა მისი გული აორტას და...
სადღაც იქვე სათივესთან, „ხერხთან“ ან წისქვილთან ჩაგორდა და დაიმსხვრა.
ეს ნამსხვრევები მთელს გომარეთ-სოფელს მოედო...
ყველგან სადაც ჭროღათვალება ბიჭი თამაშობდა თანატოლებთან.
პაპაჩემს თქვენი მამაპაპები უმაგრებდნენ ზურგს, თუმცა მას არაფერი ესმოდა.
ქვეცნობიერად გრძნობდა ძლიერი სოფლის ძალას,
არც ფეხაკრეფით მოპარული თანასოფლელის ჩუმი ვედრება გაუგია...
„ვასო ძია დროა უკვეო“!
. . . . . .
მისი სახელი უკვდავია ჩვენს დიდ ოჯახში.
ჩემმა მამიდამ შუათანა ვაჟს მევლუდი დაარქვა,
სულ ახლახანს რომ გახდა პატარა ნოეს მამა...
. . . . . .
საასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ხშირად უნახავთ ჩემი დიდედა.
ცალ ხელში თაფლის სანთელი, მეორეში კი საკუთარი შუასაყრიდან გადმოვარდნილი გული ეჭირა.
უცნაური საფლავი ჰქონდა პატარა მევლუდს, ერთი სხეული და ორი გული იყო დაკრძალული: საკუთარი და დედის.

ღიმი

ალბათ, ქალი არ არსებოს ჩვენს გომარეთ-სოფელში ღიმის მწნილი რომ არ ჩაედოს ოჯახისთვის... ღამეს დღე შესცვლიდა თუ არა გავუდგებოდით მე და ჩემი დიდედა გზას.

საოცარი სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ... თუმცა სოფელს დიდი ხანია ეღვიძა... ეღვიძათ ძროხებს, საბალახოდ და ჩვენთვის, ადამიანებისთვის რძის მოსატანად რომ მიდიოდნენ. ეღვიძათ ქათმებს, კრუხი კრიახ-კრიახით დასდევდა მზისფერ წიწილებს...

ეღვიძათ ბატებს... დიდი ხნის წინ ეყივლა მამალს... ახალი დღის მობრძანება ეუწყებინა დედამიწისთვის.

წისქვილს რომ მივუახლოვდებოდით დიდედა აუცილებლად შეჩერდებოდა „სალმის სათქმელად“, წისქვილთან დიდი ხანია შეკრებილიყვნენ კაცები მეზობელი სოფლიდან.

ის იყო სოფლის ამბებზე ბჭობა დასრულდებოდა, აფაქიძეების სახლს გამოსცდებოდა მეწისქვილე გიო.

ვისთვის გიო, ვისთვის გიო პაპა. რამდენჯერ შემირბენია დიდედას თხოვნით წისქვილში მუდამ მახსოვდა ჩვენი სოფლის მეწისქვილე... გადათეთრებული თმით და წარბებით.

მეწისქვილეს რომ მოიკითხავდა გზას სამხერხაოსკენ განვაგრძობდით, ჩვენებურად „ხერხისკენ“... მოსახვევიდან მარუსა ბაბო გამოჩნდებოდა, ვინ იცის საით მიდიოდა სოფლის გამრჯე ქალი... დილა ალბად მანაც კრუხ-წიწილის დაპურებით დაიწყო.

წყალს სათივეში ავავსებდით. განსაკუთრებული წყალი იყო... სათივის ირვლივ, მინდორში მომუშავე ხალხს უკლავდა წყურვილს. მზის გემო ჰქონდა, მინდვრის, კალოზე გადალეწილი ხორბლის სუნი ასდიოდა ზამთარ-ზაფხულს.

მინდვრის გზას რომ დავადგებოდით თვალწინ გომარეთის ულამაზესი თვალუწვდენელი ყანები გადაიშლებოდა ჰორიზონტამდე...

დიდედა ღიმის კრეფას შეუდგებოდა, მე, ჩემი პატარა სხეულით ხორბლის ყანაში ჩავწვებოდი და ცას ვუყურებდი... იქამდე სანამ საიდანღაც დიდედას ტკბილი ხმა მომესმოდა „ნინიკო სად ხარ?“... წამოვდგებოდი, ჩემი სხეულის ფორმის გადაქელილ ყანას დავაცქერდებოდი და გული ჩამივარდებოდა სადღაც... იქვე გაგორდებოდა „შავსაყდრებისკენ“.

საკუთარი საქციელის შემრცხვებოდა... და დიდხანს, ძალიან დიდხანს მახსოვდა მწვანე ხორბლის თავთავებში ჩაჩეხილი ერთი ცალი ყაყაჩო...

იმ დღეს დიდედას მიწიან, მიწიერ და დაკოჟრილ ხელებს მადლიანი ბალახის სუნი ასდიოდა...

ნებიერა

ჩვენს გომარეთ-სოფელში ერთი ნებიერა გვყავს...

თითოეული ჩვენგანის ბავშვობა რომ უკვდავყო და...

სოფლის განუყოფელ ნაწილად იქცა...

ჩვენი სოფლის მზე-კაცი... ოთარა.

.....

ქვის წისქვილს ხალხი რომ მოადგებოდა სისხამ დილაზე, მაშინ გამოჩნდებოდა...

ნელი, დინჯი სიარული იცოდა. ქუდი სულ ეხურა. დიდი, ფართო ხელისგულები ჰქონდა.

არასოდეს შემოგხედავდა. არც მაშინ რომ მოიკითხავდი. პასუხსაც თავდახრილი გაგცემდა, ხმამაღალი სიცილი იცოდა... და არავინ არ ავიწყდებოდა არასდროს.

.....

ძროხებს რომ გარეკავდა, ჩემი დიდედა... „ედიშაანთ თამარ ქალი“... ოთარა წისქვილთან გამოჩნდებოდა. დიდედა უკვე სათივეს გამოსცდებოდა და მშვიდი ნაბიჯებით მოემართებოდა ხოლმე სახლისკენ. ქვეცნობიერად ყოველთვის მას ეძებდა. რომ დაინახავდა, დაუძახებდა. ძალიან პატივს სცემდა... და ჩვენც გვასწავლიდა. ერთი დღე რომ არ გამოჩნდებოდა, ფურნეში მზის ფორმის პურებს დააცხობდა და მოსაკითხად გაგვატანდა. მისი სახლი ჩვენგან ცოტა მოშორებით იყო. ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით მივდიოდით. ჯერ „ხერხთან“ ჩამოვჯდებოდით და დიდხანს ვუყურებდით როგორ ხერხავდნენ კაცები, როგორც კი თვალს მიეფარებოდნენ ნახერხით სავსე ორმოში ვხტებოდით... ხან, იქვე ხევში წყალს დავაგუბებდით და თავკომბალებს დავდევდით დასაჭერად... როგორც იქნა გავცდებოდით თმა-ტანსაცმელ-ნახერხიანები და ახლა სოფლის წყაროებს დავუყვებოდით... ყველა წყაროსთან შევჩერდებოდით, შეკრულ მუჭებში წყალს დავაგუბებდით და დავლევდით. რომ მოდღევდებოდა ოთარას სახლს მივადგებოდით... დიდედას საყვედურს და მოსაკითხს გადავცემდი და წამოვიდოდით. უკანა გზა უფრო გრძელი იყო... აუცილებლად ეკლესიაში შევიდოდით და დიდედას გატანებულ თაფლის სანთელს დავანთებდით... „კანტორა“-ს ჩავცდებოდით და ჩვენი უბნისკენ ჩავუხვევდით,

ქუჩის თავში დიდი წიქვილის ქვა იდო, მიხა პაპა რომ იჯდა ის ქვა.

დაგვიანებულ შვილიშვილებს დიდედა კაკლის ქვეშ, ქვის ღობესთან გველოდებოდა. როგორც კი თვალს მოგვკრავდა თავშალს გაისწორებდა და ისევ სათივისკენ გაემართებოდა ხბო-ძროხების მოსარეკად, გზად სათივის ცივ წყალს გამოაყოლებდა გასაგრილებლად.

ოთარა დილით აუცილებლად ჩამოვიდოდა და მდუმარედ მოისმენდა დიდედას უტყვ საყვედურს. მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა... დღეს ღამე, ღამეს კი დღე მოჰყვებოდა.

თითო ნებიერა ალბათ ყველა სოფელს ჰყავს... თითოეული ჩვენ-თაგანის ბავშვობა რომ უკვდავყო და... სოფლის განუყოფელ ნაწილად იქცა... ყველას რომ უყვარს და... ყველა რომ უყვარს.

წმინდა გიორგი

წმინდა გიორგის თვე იდგა გომარეთ-სოფელში.
გიორგობისთვე. უცნაური მადლი ტრიალებდა ირგვლივ. სხეულით რომ გრძნობდი ისეთი მადლი. დიდედა დილაადრიან იწყებდა სამზადისს, თავისებურს, ქალურს, თორემ აბა ჩვენი დიდი ოჯახის მამაკაცები როგორ მოითმენდნენ აქამდე ცხვარი რომ არ ჰყოლოდათ მოყვანილი, წინა დღეს მოჰყავდა ძიას...

ძიას ჰყავდა „უაზი“, რომელიც პირადად მე ძალიან მომწონდა და მიუხედავად იმისა რომ სულ ქვევით „კაბინკაში“ მსვავდნენ მე ყოველთვის ძარაზე მერჩივნა... ხშირად დავდიოდით ამ მანქანით ტყეში, მთაზე, ტბებზე. განსაკუთრებით მიყვარდა „წმინდა გიორგის“ გზას რომ დავადგებოდით...

ულამაზესი იყო „წმინდა გიორგის“ სალოცავისკენ მიმვალი გზა. მას ვისაც ეს გზა არ უნახავს, უდიდესი წარმოსახვა დასჭირდება მისი სილამაზე რომ შეიგრძნოს და აღიქვას. გზა შუაგულ სოფლიდან მთაზე გადადიოდა და კლაკნილებად ვრცელდებოდა ტყეში... ჩვენ ძირითად გზას ავუყვებოდით... თუ მანქანის ძარაზე იდექი... სულით ხორცამდე შეიგრძნობდი. გომარეთ-სოფელში დიდი ხნის წინ დამდგარიყო მზისფერი ფოთოლცვენის დრო. შიშველი ტოტები გზისკენ იხრებოდნენ და გასაქანს არ გაძლევდნენ, თითქოს ქცდიდნენ, შენს გამძლეობას, შენს რწმენას... გცემდნენ, გტკენდნენ, შენს პირსახეს კაწრავდნენ თავს თუ არ გაწევდი. თითქოს იქ ასვლისას საკუთარ ცოდვებს გახსენებდნენ მოსანანილებლად.

ცასთან ახლოს იდგა წმინდა გიორგის საყდარი... სურვილების ხეზე გამობმული ნაირფერი ნაჭრები თვალს გჭრიდა ზევით ახედვისას, თითოეული ჩვენთაგანი რწმენას რომ ცხადყოფდა.

რომ ჩამოვდიოდი თვალებს ვხუჭავდი, თითქოს საკუთარი მაყვლისფერი თვალების დავიწყება მსურდა, რადგან იქ ყველა გომარეთელი და ყველა სტუმარი თავად იყო თვალი... სამყაროს თვალი.

ზოგს ცხვარი, ზოგს მამალი, ზოგს ქათამი მიჰყავდა. ზოგი შემოატარებდა საყდრის ირგვლივ და გაუშვებდა ტყეში... ზოგი, იქვე ფერდობის დასაწყისში გაშლიდა სუფრას და გამვლელ-გამომვლელს ეპატიჟებოდა დასალოცად... მორწმუნე ხალხია გომარეთელები, წმინდა გიორგის ხალხი.
დიდედას და პაპას ყოველთვის ჰყავდა სტუმარი. ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ პაპას მეგობრები და მოკეთეები. ხშირად თბილისიდან მოდიოდნენ ჩვენი ნათესავები წმინდა გიორგის საყდარში მოსალოცად. პაპასთან სტუმრობა ძალიან უყვარდა ბედუნი ჭალიძეს, პაპა განსაკუთრებულ პატივს სცემდა. ერთხელ მეც შევესწარი მოსალოცად მოსულ სტუმარს. თუმცა მაშინ პატარა ვიყავი. დმანისიდან აუცილებლად გვესტუმრებოდა პაპას ბიძაშვილი ომარი ბიძია, რომელიც დიდი ხანი თბილისში ცხოვრობდა და შემდეგ საკუთარ ფესვებს დაუბრუნდა მეუღლითურთ. არაჩვეულებრივი ოჯახის ჰყავს, განსაკუთრებულად რომ შეგიყვარდება ისეთი შვილები.

ირგვლივ სუსხი და ბურუსი იდგა, მაშინ როდესაც ცასთან ახლოს, კლდის ქიმზე აღმართული გომარეთის წმინდა გიორგის ტაძარი ნათელს ასხივებდა... დიდხანს გრძნობდი წამოსვლისას როგორ გითბობდა ზურგს ეს ნათელი.

დიდედა თავის თავშალს შემომახვევდა და უკან შემიკრავდა. თავ-შალს რომ მოიხსნიდა ერთი ცალი ნაწნავი გამოუჩნდებოდა. ბავშ-ვობაში მეც მიწნავდა თმას. ძალიან მიყვარდა ის ნაწნავები. ახლაც მიყვარს... და ხშირად მაქვს... ერთი ცალი დიდედასეული მაყ-ვლისფერი ნაწნავი.

✹ ✹ ✹

ახალგაზრდა სახე და ასაკოვანი ხელები ჰქონდა,
წლოვანება დიდი ხანია ჩამორჩენოდა ასაკს.
გაფითრებულ თმაში, ალაგ-ალაგ...
ჯერ კიდევ შერჩენოდა მიწისფერი ღერები.
. . . . . .
ნანგრევებთან იდგა,
ჯერ საკუთარი სახლის.
ნანგრევებს შორის ხვლიკებმა რომ დაიდეს ბინა...
ის მაინც ნანგრევებთან იდგა,
ახლა სხვისი სახლის...
იქამდე სანამ ხავსი მოედო...
მერე უცხო სახლის ნანგრევებს დაუწყო ძებნა.
. . . . . .
ახალ ნანგრევებთან უყვარდა დგომა.
ადამიანის სული რომ ტრიალებდა და...
დიდედას პურის ნამცეცები ირეოდა...
სხეულის ტკივილსა და სულის ტკივილს შორის.
ჯერ კიდევ კვამლისფრად ღვიოდა ნაპერწკალი
სოფლის თონეში...
. . . . . .
ათი ფოთოლი უთხოვია მზისთვის დიდედას.
ათ ფოთოლზე ათი პურის გუნდა დაუდია და

ჩამონგრეული ქვის ღობის ბოლოს,
წისქვილისკენ აუღია გეზი.
ერთი პური მეწისქვილეს,
ერთი სოფლის ნებიერას...
საკუთარ წინსაფარში გახვეული დაურიგებია მოკეთეებისთვის.
. . . . . .
ბოსტნის ბოლოში,
მზესუმზირა...
მზესუმზირის სხეულით და ორი მზის თავით,
ურცხვად დაუკორტნიათ ყვავებს.
. . . . . .
ახალგაზრდა სახე და ასაკოვანი ხელები ჰქონდა,
წლოვანება დიდი ხანია ჩამორჩენოდა ასაკს.
გაფითრებულ თმაში, ალაგ-ალაგ...
ჯერ კიდევ შერჩენოდა მიწისფერი ღერები.

მიხა პაპა

(წამდვილი ამბავი)

დიდი კაცი იყო. გულიც დიდი ჰქონდა.
მთელი სოფლის სიყვარულს რომ იტევდა ისეთი
ფართო... დაკოჟრილი ხელისგულები,
ალაგ-ალაგ ნახეთქებით, სახე მუდამ ღიმილიანი.
წისქვილის ქვაზე იჯდა მუდამ.
ჩვენი უბნისკენ რომ ჩადიოდა, იმ გზის დასაწყისში იდო ის ქვა, მისი სახლის წინ...
სოფლის განუყოფელი ნაწილი იყო მიხა პაპა.
რომ დაიბადა, ველისპირს მზის სხივები შემოეხვია და სამყაროს ამცნეს მისი დაბადება...

ქათქათა, თმაკულულა ბატკნებმა ბღავილით აიკლეს იქაურობა. ცხვარ-ძროხა ჯერ კიდევ არ გაერეკა მამას. ომი რომ დაიწყო, მას შემდეგ ხშირად იდგა ეზოში ბაგამიუსვლელი საქონელი პატრონის მოლოდინში. პატრონი არ დაბრუნებულა. მამის გარეშე დარჩენილი ოჯახი აირია და ველისპირს შემოხვეული მზის სხივები ტეხილტეხილად გაიბნა ნაცრისფერ სამყაროში.

პატარა მიხა ძმასთან ერთად ბიძა-ბიცოლას შეუფარებიათ და 12 წლამდე ველისპირის მწვანე ველ-მინდვრებს შეჰყურებდნენ ჰორიზონტს მიღმა მიმავალი მზერით ობოლი ბიჭები.

გამთენიისას გასდგომიან გზას...

ბიძა, ბიცოლა და თავშალში გამოკრული საგზლით ხელში პატარა მიხა... დიდი გულით, მთელი სამყაროს დარდს რომ დაიტევდა იმხელა გულით. ლუქსემბურგს, ახლანდელ ბოლნისს მიემართებოდნენ ველისპირელები. დიდხანს უფიქრია ბიძას რა გზას დასდგომოდა, როგორ გაეკვალა გზა ობოლი ძმისშვილისთვის, ბოლოს გერმანელ მჭედელს შეხვედრია შემთხვევით, მაშინდელ ლუქსემბრუგში რომ დასახლებულა ოჯახით, მოლაპარაკებია და შეგირდად მიბარება გადაუწყვეტია პატარა მიხასი. ემძიმებოდა პატარა ბიჭს საკუთარი სოფლის დატოვება... თუმცა ყოჩაღად, ველ-მინდვრებში დატოვებული გულით მიაბიჭებდა ბიძის გვერდით.

გერმანელები გამრჯე და პატიოსანი ხალხი აღმოჩნდა. პატარა მიხაც დაუზარებლად ეუფლებოდა მჭედლობას. ოჯახში მისი ტოლი ბიჭი ჰყავდათ ესაია. ბუნებით თბილ და მოსიყვარულე მიხას არც მი-სი შეყვარება გასძნელებია. ძმებივით იზრდებოდნენ ბიჭები, შრომას რომ მორჩებოდნენ, ჩამოჯდებოდნენ ხოლმე იქვე, სამჭედლოს წინ უწესრიგოდ დალაგებულ ქვებზე და თამაშს მიჰყვებოდნენ... თამაში რომ მობერზრდებოდათ სოფლის ამბებს უამბობდა მიხა... თმაკულულა, ქათქათა ბატკნების და ყაყაჩოებით გადაწითლებული ველ-მინდვრების ამბავს.

შეგირდობის დრო რომ გაუვიდა მიხა სოფელში დაბრუნდა. მძიმე იყო განშორება... თუმცა, ახლა, უკვე ყმაწვილებში, სისხლი ყიოდა და მიხა უკანმოუხედავად გაემართა საკუთარი სოფლისკენ მიმავალ გზაზე... თუმცა დიდხანს გრძნობდა ესაიას მზერას, ალაგ-ალაგ ცრემლი რომ სდიოდა წვეთებად...

ბიჭებს გული გაეცვლიათ ერთმანეთისთვის.

ბერიძეების ქალი მოსწონებია მიხას გომარეთ-სოფელში.

სოფელიც მაშინვე დატრიალებულა!

გამრჯე და უკვე ყველასთვის საყვარელი ახალგაზარდა მჭედელი ზედსიძედ მიუღიათ და სამუდამოდ ჩაუხუტებიათ გულში. იქამდე თესავდა სიკეთეს სანამ ომში არ მოუწია წასვლა...

მძიმე სანახავი იყო ომი, მძიმე გასავლელი...

ცალხელა ბავშვები,

დანგრეული სახლები,

დედები საკინძეგახსნილი,

ცრემლი, ტკივილი, უიმედობა.

ქერჩთან მოხვედრია ჭურვი მის გემს, ორ ნაწილად გაუხლეჩია. ერთი მაშინვე ჩაძირულა.

მეორე ნაწილი, რომელზეც მიხა სხვა გომარეთელ ბიჭებთან ერთად მსახურობდა ნაპირს მისდგომია. ძალიან უმძიმდათ ბიჭებს გაყინული თანამებრძოლების დატოვება, მაგრამ დრო არ ითმენდა. ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით ცდილობდნენ გემიდან გადასვლას. ზოგი ნაპირამდე ვერ აღწევდა და წყალში ვარდებოდა. მათი გადარჩენა შეუძლებელი იყო. ნაპირზე გადასულებმა თავი უსაფრთხოდ რომ იგრძნეს სწორედ მაშინ მოადგა გერმანელებით სავსე მანქანა.

მიხა პაპამ გერმანული, მისებურად „ნემენცური“ შეგირდობისას ისწავლა. ახლაც ჩაესმოდა ესაიას ხმა... დაჟინებით რომ ამეორებინებდა უცხო სიტყვებს. წინააღმდეგობის მიუხედავად წამში აღ-

მოჩნდნენ ალყაში. ტყვეები ერთმანეთის მიყოლებით დააყენეს და გზას გაუყენეს...

არავინ იცოდა საით... უხმოდ მიდიოდნენ, დახეთქილი ტერფებით. მხოლოდ გენს გრძნობდნენ ერთმანეთისას... გომარეთ-სოფლისას!

მზეს ჩამოტეხილი სხივები დედამიწას რომ ოდნავ შეეხნენ მაშინ შეწყვიტეს სვლა. იქვე, სადღაც საქონლის ფერმისმაგვარ შენობაში შეყარეს და ჩაკეტეს, საღამომდე არავინ გამოჩენილა. შეღამებულზე კარი გაიღო, გერმანელები სწრაფი ნაბიჯებით და ხმამაღალი საუბრით უახლოვდენოდნენ.

მიხას გული გაუჩერდა თითქოს.

არა, სხვა გული იგრძნო...

ხმა ეცნო! თვალები დახუჭა, მის წინ, ქვეცნობიერში გერმანელი ოსტატის პატარა ბიჭი, მისი გულგაცვლილი ესაია დარბოდა!

- ესაია! - იყვირა მიხამ.

დედამიწა თითქოს ნაფლეთებად იქცა!

- მიხა! - „ნემენცური“ ინტონაციით იყვირა შენობის ბოლოში მდგარმა გერმანელმა.

შეუჩერებლად ტრიალებდა ფერფლისფერი სამყარო. ესაიას ბრძანებით გერმანელებმა მომარჯვებული ავტომატები დაუშვეს და მარცხნივ, კარისკენ გადაინაცვლეს.

- არ თქვა „ნემენცური“ რომ იცი! - ეჩურჩულებოდა ესაია.

- არ თქვა, მოღალატე ეგონები შენებს და დაგხვრეტენ! - ემუდარებოდა ესაია!

ისევ გაცვალეს გულები.

ესაიას ბრძანებით პატიმრები ფერმიდან გამოიყვანეს და „კოლონაში ჩააყენეს. მას შემდეგ მიხა ესაიას გულით ხელში დადიოდა, მაშინაც კი როდესაც ტყეში გაიჭრნენ და საფრანგეთში გადავიდნენ. ესაია დარჩა იქ... მათი ბავშვობის „ნემენციაში“...

მძიმე გულებით ჩამოვიდნენ ომიდან... ომში წასული პატარა ბიჭე-ბი. სახლში შვილები და ახალი განსაცდელი ელოდა.
სამი შვილი დასტიროდა ბერიძეების ქალს.
.....
მზე-სოფლისთვის არც ცის და ჭროღათვალება ქალები დაუკლია უფალს!
წყაროსთან ჩავლილი „ეგრისელაანთ“ ჭროღათვალება ფოფოლას-თვის მოუკრავს თვალი...
უმალ დატრიალებულა სოფელი!
ჩვენი უბნის ჩასახვევში დგას მათი სახლი, იქვე წისქვილის ქვა.
წისქვილის ქვაზე, ჩემს ქვეცნობიერში ახლაც ზის დიდი კაცი მიხა პაპა!

სარჩევი

- **წინასიტყვაობა ---------- 2**
- **ჩემი ქვეცნობიერიდან ---------- 3**
- **ომის ჩანახატები ---------- 150**
- **ჩემი, გომარეთული ჩანახატები ---------- 182**